ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები

შრომების კრებული

თბილისი

2014

კრებულში წარმოდგენილ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დემოგრაფიის და ოჯახის პრობლემებთან საქართველოში. კრებულში მოტანილი სტატიები ეფუძნება როგორც დემოგრაფიულ-სტატისტიკურ ინფორმაციას, ისე 2013 წელს ჩატარებული დემოგრაფიულ-სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებს.

რედაქტორი
ისტორიულ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი *გიორგი წულაძე*

კრებული დააკაბადონა და გამოსაცემად მოამზადა დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელმა მარინა ხაჩატუროვამ.

კრებული გამოცემულია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ საკუთარი ხარჯით.

ISBN 978-9941-0-6459-3

შინაარსი

1. წინასიტყვაობა 4
2. *ლეო ჩიქავა* – საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი 6
3. *ავთანდილ სულაბერიძე, ვლადიმერ სულაბერიძე* – განქორწინების ტენდენციები საქართველოში 1960-2012 წლებში 22
4. *მზია შელია* – უფროსი თაობისადმი დამოკიდებულება ოჯახში 38
5. *შორენა წიკლაური* – სელექციური აბორტები საქართველოში – მითი თუ რეალობა?! 55
6. *ვანო შუშტაკაშვილი, შორენა წიკლაური* – შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში 63
7. *ნინო გომელაური* – ოჯახის ალტერნატიული ფორმები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა 76
8. *თამარ შინჯიაშვილი, ნატო ჭანტურია, შორენა მეტრეველი* – ქალთა დასაქმებისა და რეპროდუქციული ქცევის ურთიერთგავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში 88
9. *თამაზ ზუბიაშვილი* – ცალკეული ქვეყნების გამოცდილება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში 96
10. *ელგუჯა მენაბდიშვილი* – ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა 112
11. *ლელა მენაბდიშვილი* – ოჯახის ფორმირების პრობლემები ... 127
12. *ნანა მენაბდიშვილი* – მეუღლეთა ურთიერთობები და მოვალეობათა განაწილება თანამედროვე ოჯახში 139
13. *ციცინო გვრიტიშვილი, ნინო გომელაური* – ფამილისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები 149

ავტორები: 161

წინასიტყვაობა

მოცემულ კრებულს – „დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები“ – გარკვეული ისტორია გააჩნია. პირველი ტომი 1980 წელს გამოიცა ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის რედაქტორობით. რამდენადაც კრებული მოიცავდა შრომებს, ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური და ოჯახთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ, მას ეწოდა „სოციოლოგიის და დემოგრაფიის პრობლემები“

წარმოდგენილ კრებულს, რამდენადაც მასში წარმოდგენილია ძირითადად დემოგრაფისა და ოჯახის სოციოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები, ვუწოდეთ „დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები.“ იგი ეფუძნება როგორც არსებულ სტატისტიკურ-დემოგრაფიულ, ისე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ 2013 წელს ჩატარებული სოციო-დემოგრაფიული გამოკვლევის შედეგებს.

კრებული იწყება ინსტიტუტის ერთერთი დამფუძვნებლის და მისი პირველი დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ბატონ ლეო ჩიქავას სტატიით, რომელიც ეხება საქართველოს მოსახლეობის აღწარმოებას და მის რეგიონულ თავისებურებებს.

მომდევნო სტატიის ავტორები არიან ინსტიტუტის ერთერთი დამფუძნებელი და დღევანდელი დირექტორი, პროფესორი ავთანდილ სულაბერიძე და ინსტიტუტის მკვლევარი ვლადიმერ სულაბერიძე, რომლებიც განიხილავენ და აანალიზებენ განქორწინების თავისებურებებს საქართველოში.

მათ მოსდევს ეკონომიკის დოქტორის ქალბატონ მზია შელიას სტატია, რომელიც ეხება თაობათაშორის ურთიერთობებს, კერძოდ უფროსი თაობისადმი დამოკიდებულებას.

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოში სელექციური აბორტების პრობლემას. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დოქტორანტ შორენა წიკლაურის ნაშრომი.

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების მოცემულ ეტაპზე მეტად აქტუალურია შობადობასა და რეპროდუქციულ

ქცევასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც ეძღვნება ეკონომიკის დოქტორის ვანო შუშტაკაშვილის და ქალბატონ შორენა წიკლაურის სტატია.

ოჯახის ალტერნატიულ ფორმებს და ქორწინების გარეშე შობადობას ეძღვნება ინსტიტუტის მკვლევარის ნინო გომელაურის ნაშრომი.

არსებითი მნიშვნელობა გააჩნია ქალთა დასაქმებისა და რეპროდუქციული ქცევის ურთიერთგავლენის საკითხებს, რომლებსაც განიხილავენ ეკონომიკის დოქტორი თამარ შინჯიაშვილი და ქალბატონები ნატალია ჭანტურია და შორენა მეტრეველი.

თანამედროვე საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების პრობლემებს განიხილავს ეკონომიკის დოქტორი თამაზ ზუბიაშვილი.

აქტუალურია ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ელგუჯა მენაბდიშვილის სტატია, სადაც განიხილება ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე მოდელზე გადასვლა.

ზემოთქმულთან დაკავშირებით აღსანიშნავია ეკონომიკის დოქტორის ლელა მენაბდიშვილის ნაშრომი, რომელიც ეძრვნება ოჯახის ფორმირების პრობლემებს და ეკონომიკის დოქტორის ნანა მენაბდიშვილის სტატია, რომელშიც განხილულია ოაჯახში მეუღლეთა ურთიერთობები და მოვალეობათა განაწილება.

კრებულს ასრულებს ქალბატონების ციცინო გვრიტიშვილისა და ნინო გომელაურის სტატია, რომელიც ასევე ეხება ოჯახის პრობლემატიკას და საერთოდ ფამილისტიკის მეთოდოლოგიურ საკითხებს.

რედაქტორი
გიორგი წულაძე

ლეო ჩიქავა

საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი

დასმულ საკითხზე მეტ-ნაკლებად სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავდაპირველად სრულიად საქართველოში დღეისთვის შექმნილი დემოგრაფიული ვითარების მოკლე ანალიზი, ხოლო შემდეგ საკუთრივ რეგიონულ ასპექტებზე ყურადღების გამახვილება.

დემოგრაფიული ვითარების გაუარესება ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, რომელიც, 90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოქმნილ არაორდინარულ გარემოებათა მეოხებით, აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. დემოგრაფიული ვითარების გამწვავება ნათლად ვლინდება ისეთ მაჩვენებლებში, როგორიცაა შობადობის კლება, მოკვდაობის ზრდა და, როგორც ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი, მოსახლების ბუნებრივი მატების ტემპების დაცემა, რაც დეპოპულაციაში პოულობს თავის საბოლოო გამოხატულებას.

უწინარეს ყოვლისა, გავაანალიზოთ შობადობის დინამიკა. ეს მაჩვენებელი (შობადობის ზოგადი კოეფიციენტი) საქართველოში შეადგენდა: 1960 წელს 24,7 [1 გვ. 42], 1990 წელს – 17,1 [1 გვ. 43], ხოლო 2012 წელს – 13‰ [2 გვ. 8], რაც 7‰ ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (20‰). ანალოგიურ ტენდენციას გვიჩვენებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის (ბავშვთა რიცხოვნობა ერთ ქალზე საშუალოდ ფერტილური ასაკის მთელ მანძილზე) დინამიკაც. იგი ასე გამოიყურება: 1960 წ. – 2,6, 1990 წ. – 2,15 [3 გვ. 28], 2012 წ. – 1,7 [4 გვ. 12]. როგორც ჩანს, ყოველ 100 ქალზე საშუალოდ თუ 1990 წელს 215 ბავშვი მოდიოდა, 2012 წელს 170-მდე (ზოგიერთი არანაკლებ სარწმუნო წყაროს მიხედვით, კიდევ უფრო მეტად) შემცირდა, მაშინ როცა მოსახლეობის თუნდაც მარტივი აღწარმოების უზრუნველსაყოფად, ანუ თაობათა უცვლელი ოდენობით განახლებისთვის აუცილებელია ეს მაჩვენებელი იყოს არანაკლებ 210-სა.

საქართველოში მწვავე დემოგრაფიული ვითარების არსებობაზე, მრავალ სხვა გარემოებასთან ერთად, ისიც მეტყველებს, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტით მსოფლიოს საშუალოდ ჩამოვრჩებით 1,4-ჯერ, მათ შორის განვითარებად რეგიონებს – 1,5-ჯერ, ხოლო ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებს – 2,6-ჯერ [4 გვ. 10-12].

დღეისთვის საქართველოში მწვავედ დგას არა მარტო მეორე (მით უმეტეს, მესამე და მომდევნო), არამედ (არც თუ იშვიათად) პირველი შვილის გაჩენის პრობლემაც. ამის ნათელი მაჩვენებელია ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა დაბადების რიგითობის სტრუქტურაში მიმდინარე რადიკალური ცვლილებები. საქართველოში ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა მთლიან რიცხოვნობაში პირველ და მეორე შვილთა წილი 1960 წელს 63,5%-ს არ აღემატებოდა, 2011 წელს კი 85%-ს მიაღწია. შესაბამისად (36,5-დან 15%-მდე) შემცირდა მესამე და მომდევნო შვილების წილი [1 გვ. 47].

ყოველივე ეს შედარებით მრავალშვილიანობიდან მცირეშვილიანობაზე გადასვლასა და მცირეშვილიანი ოჯახების მომრავლებაზე მიგვანიშნებს.

დემოგრაფიული კრიზისის გამოვლინებაა ახალშობილთა რიცხოვნობის შემცირებაც. როგორც სტატისტიკური აღრიცხვის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ თუ 1960-1990 წლებში 93 ათასი ბავშვი იბადებოდა, 1991-2010 წლებში 55 ათასი, ანუ 38 ათასი ბავშვით ნაკლები დაიბადა. ასეთმა ტენდენციამ საგრძნობლად დაამძიმა დემოგრაფიული ვითარება საქართველოში.

მართალია, 2005-2009 წლებში ახალშობილთა რიცხოვნობა საქართველოში რამდენადმე გაიზარდა (2009 წელს 16,5 ათასით მეტი ბავშვი დაიბადა, ვინემ 2005 წელს), რაშიც თვალსაჩინო წვლილი უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მიერ მესამე და მომდევნო შვილების (მშობლების სურვილით) ნათლიად თავისთავის შეთავაზების თაობაზე გამოჩენილმა ინიციატივამაც შეიტანა (უკვე მონათლულია 18 ათასზე მეტი ბავშვი), რაც მისასალმებელია, მაგრამ ეს ფაქტი შობადობის კლების დიდმნიშვნელოვანი

პრობლემის გადაჭრის არგუმენტად, სამწუხაროდ, ვერ გამოდგება და აი რატომ:

ჯერ ერთი, ამჟამად დაბადებული ბავშვების დედები (455 ათასი) ძირითადად 1980-1989 წლებში დაბადებული გოგონები არიან, რომლებიც თითქმის 2-ჯერ ჭარბობენ 2000-2010 წლებში დაბადებულ გოგონებს (236 ათასი), ამიტომ თუ რაიმე რადიკალური ცვლილებები არ მოხდა, მშობადი კონტინგენტის საგრძნობლად შემცირების გამო, შემდგომ ათწლეულებში შობადობა, ექსპერტთა პროგნოზით, დაახლოებით 2-ჯერ შემცირდება და მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რიცხოვნობამ შეიძლება 25-ათასიანი მიჯნაც კი ვერ გადალახოს [5 გვ. 155-156].

და მეორე, საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით) 1980-1989 წლებში დაიბადა 455 ათასი გოგონა, 1990-1991 წლებში – 306 ათასი, ხოლო 2000-2009 წლებში – 236 ათასი. ეს იმას ნიშნავს, რომ შობადობა ამჟამად არსებული პარამეტრების პირობებში, 2012-2030 წლებში საგრძნობლად შემცირდება და ეს პროცესი უკვე 20-იანი წლების პირველ ნახევარში პიკს მიაღწევს [5 გვ. 154]. შობადობის კლების ახალი, კიდევ უფრო ძლიერი ტალღის დაწყება მოსალოდნელია 2017 წლიდან [6 გვ. 47].

თანაც, ყოველივე ეს შორეულ მომავალში მოსალოდნელი კი არა, უკვე რეალობაა, რამდენადაც ასეთი პროცესი გარკვეული ზომით დაწყებულია კიდეც. საქართველოში, მაგალითად, 2009 წელს დაიბადა 63,4 ათასი ბავშვი, 2010 წელს – 62,6 ათასი, 2011 წელს – 58 ათასი, ანუ, 2009 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, 5,4 ათასი ბავშვით ნაკლები [1 გვ. 44].

იმ მყარ ფაქტორთა შორის, რომლებიც განსაზღვრავენ შობადობის კლების პროცესისთვის ობიექტური დემოგრაფიული კანონის სტატუსის მინიჭებას, აღსანიშნავია: მოსახლეობის აღწარმოების ახალი (თანამედროვე) ტიპის დამკვიდრება. მხედველობაში გვაქვს დაქვეითებული რეპროდუქციული განწყობისა და მისი შესაბამისი ქცევის ჩამოყალიბება. ბავშვთა შობის შიგაოჯახური გაცნობიერებული რეგულირება და ბავშვის ყოლის მოთხოვნილების (ოჯახში შვილების სასურველი რაოდენობის) საგრძნობი კლება (ფრიად საგულისხმო ფაქტია ის,

რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერისას გათხოვილი ქალებისთვის დასმულ კითხვაზე, თუ რამდენი შვილის ყოლას აპირებენ, პასუხები ასე განაწილდა (%-ობით): არც ერთის – 2,2, ერთის – 12, ორის – 51, სამის – 26, ოთხის – 6, ხუთის – 1,5, ექვსის და მეტის – 1,3); ოჯახის ფუნქციების ძირეული ტრანსფორმაცია; ქალთა ემანსიპაცია; ბავშვთა ინტელექტუალური აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები; მოსახლების ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია; მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა; საცხოვრებელი ფართით არასაკმარისი უზრუნველყოფა და სხვ. [7 გვ. 23-35].

რაც შეეხება მოსახლების აღწარმოების მეორე უმნიშვნელოვანეს კომპონენტს – მოკვდაობას, საქართველოში მას შობადობის საპირისპირო – მატების ტენდენცია ახასიათებს. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა ჩვენს ქვეყანაში ასეთია (‰): 1960 წ. – 6,52, 1990 წ. – 9,33, 2012 წ. – 11 [8 გვ. 106-110], მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი მსოფლიოში საშუალოდ 8‰ არ აღემატება.

ის რეალობა, რომ მოკვდაობა 2012 წელს, 1960 წელთან შედარებით, მსოფლიოში საშუალოდ შემცირდა 7,1‰ მ.შ. აზიაში – 10, აფრიკაში – 11,8‰, ხოლო საქართველოში გაიზარდა 4,5‰ (ექსპერტთა გათვლებით, კიდევ უფრო მეტად), მრავლისმეტყველია და ნამდვილად არ იძლევა დამშვიდების საფუძველს.

მოსახლეობის აღწარმოებისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ბავშვთა, უწინარეს ყოვლისა, ჩვილ (1 წლამდე) ასაკის ბავშვთა მოკვდაობას აქვს. 2011 წელს ამ მაჩვენებელმა საქართველოში 12‰ (ექსპერტთა გათვლებით 19,8‰) [1 გვ. 283] შეადგინა. ეს დაბალია თუ მაღალი? – დაბალია მსოფლიოს განვითარებადი რეგიონების (45‰), განსაკუთრებით კი მსოფლიოს ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების (72‰) შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, ასევე, დაბალია მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელთან (41‰) შედარებითაც, მაგრამ საგრძნობლად მაღალია ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მიღწეულ მაჩვენებელთან (5‰) შედარებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ყოველ 1000

ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე გაანგარიშებით ჩვილთა მოკვდაობა მსოფლიოს 8 ქვეყანაში (იაპონია, ჩინეთი, შვედეთი, საბერძნეთი, სლოვენია, სინგაპური, ჰონკონგი, ლიხტენშტეინი) 3‰ არ აღემატება [4 გვ. 6-9], უადგილო არ უნდა იყოს ხაზგასმა იმაზე, რომ ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი არსებობს.

მოკვდაობის მაღალ დონესა და, მნიშვნელოვანწილად, მის ზრდას აპირობებენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის არაჯეროვანი დონე; სიღარიბე და მასთან დაკავშირებული სიძნელეები; მავნე ნივთიერებებით გარემოს ინტენსიური დაბინძურება; კვების რაციონში არასრულფასოვანი (გენმოდიფიცირებული) ნაწარმის წილის ამაღლება, განსაკუთრებით კი – მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერება.

როგორც ფაქტობრივი მონაცემები ცხადყოფს, საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 65 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი შეადგენდა (%-ობით): 1959 წელს 7,6-ს [8 გვ. 29], 1990 წელს – 9,2-ს [8 გვ. 30], ხოლო 2012 წელს – 14-ს [4 გვ. 12]. დღეისთვის საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული სიბერის მაჩვენებელი (14%) 1,8-ჯერ აღემატება მსოფლიოს მოსახლეობის შესაბამის საშუალო მაჩვენებელს (8%), 2,4-ჯერ – განვითარებადი ქვეყნების მაჩვენებელს (6%), 4,6-ჯერ – ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს (3%) და მხოლოდ 2% ჩამორჩება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების მაჩვენებელს (16%).

შობადობასა და მოკვდაობას შორის თანაფარდობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყანაში, რეგიონსა თუ კონტინენტზე ხორციელდება მოსახლეობის შეკვეცილი, მარტივი თუ გაფართოებული აღწარმოება. როცა გარდაცვლილთა რიცხოვნობა აღემატება ცოცხლად ახალშობილთა რიცხოვნობას და ასეთი თანაფარდობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში სტაბილურია, ადგილი აქვს მოსახლეობის შეკვეცილ აღწარმოებას, ანუ დეპოპულაციას. მათი თანამთხვევისას სახეზეა მოსახლეობის მარტივი აღწარმოება. მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების

წინაპირობა კი, მოკვდაობასთან შედარებით შობადობის წინმსწრები ტემპებია [9 გვ. 198-215]. საქართველოში, რამდენადაც შობადობა სწრაფი ტემპებით მცირდება, ხოლო მოკვდაობა მატულობს, ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპები კლებულობს და თანდათან ნულოვან ზღვარს უახლოვდება. ასე, მაგალითად, საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივი მატება შეადგენდა: 1960 წელს 18,2 [8 გვ. 18], 1990 წელს – 7,8 [8 გვ. 19], ხოლო 2012 წელს – 2‰ [4 გვ. 8]. გამოდის, რომ 2012 წლისთვის ეს მაჩვენებელი შემცირებულია, 1990 წელთან შედარებით, 4,5-ჯერ, ხოლო 1960 წელთან შედარებით – 9,1-ჯერ. ძალიან შთამბეჭდავია ასეთი შედარებები: მოსახლეობის ბუნებრივი მატებით საქართველო ჩამორჩება მსოფლიოს შესაბამის საშუალო მაჩვენებელს 6-ჯერ, მ.შ. განვითარებადი რეგიონებისას 7-ჯერ, ხოლო ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული რეგიონებისას 12-ჯერ [9 გვ. 6, 8]. მოსახლეობის ბუნებრივი მატების საქართველოზე ოდნავ უარესი მაჩვენებელი (-1%) დღეისთვის მთელი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას აქვს [9 გვ. 8].

ტერიტორიულ ჭრილში (ქალაქი-სოფელი) ეს პროცესი ასეთ სურათს იძლევა. 2012 წელს, 1990 წელთან შედარებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობაში (რომლის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 53,2%-ს შეადგენს) 3,1-ჯერ, ხოლო სოფლის მოსახლეობაში (რომლის წილია 48,6%) – 13-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, გაცილებით მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ვინემ ქალაქის მოსახლეობაში, საქართველოში კი რატომღაც პირიქითაა, რაც სპეციალურ გამოკვლევას და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენას საჭიროებს.

ასეთია დემოგრაფიული განვითარების საერთო ტენდენციები საქართველოში. რაც შეეხება ქვეყნის რეგიონებს, ამ მხრივ თითოეულ მათგანში გარკვეული თავისებურებები შეინიშნება, რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში.

ცხრილი 1. მოსახლეობის ბუნებრივი მატება (+) და კლება (–) საქართველოს რეგიონების ჭრილში[1]

რეგიონები	1990 წ.			2012 წ.		
	მოსახლეობა სულ	ქალაქი	სოფელი	მოსახლეობა სულ	ქალაქი	სოფელი
1. ქ. თბილისი	+8452	+8452	0	+4114	+3987	+127
2. აჭარის არ	+4400	+1321	+3079	+2459	+1431	+1028
3. გურია	+703	+488	+215	–388	–98	–290
4. იმერეთი	+5105	+4953	+152	–249	+666	–915
5. კახეთი	+2621	+870	+1751	–38	–75	+37
6. მცხეთა-მთიანეთი	+919	+429	+490	–278	–92	–186
7. რაჭა-ლეჩხუმი და ქვ. სვანეთი	–308	+126	–434	–507	–49	–458
8. სამეგრელო-ზემო სვანეთი	+2385	+1199	+1186	–364	–233	–131
9. სამცხე-ჯავახეთი	+2766	+950	+1816	+251	+10	+241
10. ქვემო ქართლი	+8912	+3948	+4964	+2190	+875	+1315
11. შიგა ქართლი	+3429	+2353	+1076	+493	+269	+224
საქართველო – სულ	+42094	+26184	+15910	+7683	+6691	+992

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ცხრილში მოტანილი ფრიად საგულისხმო და მრავლისმეტყველი მონაცემებიდან?

ჯერ ერთი, ის, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისთვის საქართველოს რეგიონებიდან დეპოპულაციას განიცდიდა მხოლოდ ერთი რეგიონი – რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, ხოლო ამჟამად ასეთივე მდგომარეობაშია კიდევ ხუთი რეგიონი (გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი). უფრო მარტივად და გასაგები ენით რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წელს გურიაში 388 კაცით მეტი გარდაიცვალა, ვინემ დაიბადა. ანალოგიური მაჩვენებლები

[1] შედგენილია ამ სტატიის ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე.

შეადგენდა: იმერეთში 249-ს, მცხეთა-მთიანეთში – 278-ს, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 364-ს, ხოლო კახეთში – 38-ს;

მეორე, უკანასკნელი 22 წლის განმავლობაში დეპოპულაციის პროცესი გაღრმავდა და თითქმის გაორკეცდა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში. მისი მოსახლეობა 1990 წელს შემცირდა 308 კაცით, 2012 წელს კი – 507 კაცით. ეს იმის მანიშნებელია, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული საგანგებო ზომები, საქართველოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი და თვალწარმტაცი რეგიონი, არც თუ შორეულ მომავალში, თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდება;

მესამე, ფაქტობრივი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, დეპოპულაცია განსაკუთრებით ინტენსიურად სოფლის მოსახლეობაში მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, 2012 წელს იმერეთში სოფლად 915 კაცით მეტი გარაიცვალა, ვინემ დაიბადა, მაშინ როდესაც ქალაქის მოსახლეობაში ბუნებრივი მატება 666 კაცს შეადგენდა. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთს, ამ რეგიონში 2012 წელს ქალაქის მოსახლეობამ იკლო 49 კაცით, სოფლის მოსახლეობამ კი 458 კაცით. ანალოგიური ვითარება შეინიშნება, ასევე, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში. ასეთი ვითარება მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სოფლად, ხანდაზმულთა მაღალი ხვედრითი წილის და ცხოვრების შედარებით მძიმე პირობების არსებობის გამო, მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გაცილებით მაღალია;

მეოთხე, შიდა ქართლში, მართალია, ჯერჯერობით არ შეიმჩნევა დეპოპულაცია, მაგრამ მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპი იმდენად ინტენსიურად ეცემა, რომ მწვავე დემოგრაფიული ვითარება ძლიან ახლოსაა. ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტობრივი მონაცემები. შიდა ქართლში მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1990 წელს 3429 კაცს შეადგენდა, 2012 წელს კი 493-მდე ანუ თითქმის 7-ჯერ შემცირდა და სულ უფრო უახლოვდება ნულოვან ზღვარს;

მეხუთე, დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, გარკვეული თავისებურებები შეიმჩნევა აჭარაშიც. როგორც ცნობილია, მის ტერიტორიაზე ძირითადად ქართველები სახლობენ, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანია (თურქეთის დაქვემდებარებაში დაახლოებით 300 წლის

განმავლობაში ყოფნის გამო), რაც დადებით გავლენას ახდენს შობადობაზე (მუსულმანური რელიგია კატეგორიულად კრძალავს ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტას და ყოველნაირად უწყობს ხელს ჩასახული ნაყოფის მოვლასა და ამ ქვეყნად ცოცხლად მოვლინებას). მიუხედავად ამისა, აჭარაშიც თვალში საცემია დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელთა გაუარესება, რაც ნათლად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მოსახლეობის რიცხოვნობა ამ რეგიონში (ბუნებრივი მატების შედეგად) 1990 წელს 4400 კაცით გაიზარდა, 2012 წელს კი მხოლოდ 2459 კაცით;

მეექვსე, რაც შეეხება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებს, ისინი მნიშვნელოვანწილად კომპაქტურად არიან დასახლებული მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე (შიგაოჯახური რეგულირების პრინციპებზე დამყარებული) ტიპისადმი ჯერ კიდევ ნაკლებად თაყვანისმცემელი ეთნოსებით – აზერბაიჯანელებითა და სომხებით. ამიტომ ქვემო ქართლი და სამცხე-ჯავახეთი, მართალია, ჯერჯერობით ინარჩუნებენ მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების უნარიანობას, თუმცა აღწარმოების ნულოვანი ზღვრისკენ ისინიც სწრაფი ტემპებით მიექანებიან. ეს დასტურდება ცხრილში მოტანილი ფაქტობრივი მონაცემებიდანაც. 2012 წელს, 1990 წელთან შედარებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება შემცირდა ქვემო ქართლში 4-ჯერ, ხოლო სამცხე-ჯავახეთში – 11-ჯერ და თითქმის აღარაფერი უკლია დეპოპულაციური ვითარების წარმოქმნას.

იმ ფაქტორთა შორის, რომელთაც ძალუძთ როგორც საქართველოში მთლიანად, ისე მის თითოეულ რეგიონში დემოგრაფიული ვითარების რამდენადმე მაინც გაჯანსაღება, აღსანიშნავია [10 გვ. 36-43]:

- ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი რეპროდუქტიული განწყობისა და ქცევის ჩამოყალიბება. მეტწილად ობიექტური ფაქტორებით განპირობებულობის გამო, ეს უაღრესად ძნელად მისაღწევი და შედეგის მოგვიანებით მომტანი, მაგრამ ამავე დროს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე ეფექტიანი მიმართულებაა;
- მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელშიც ძირითადად შობადობის

გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დახმარების გაწევა იგულისხმება.

ამ საკითხზე მსჯელობისას არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი საგულისხმო გარემოებაც, კერძოდ ის, რომ შობადობის მატერიალურ სტიმულირებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას რეალური შედეგის მოტანა შეუძლია საქართველოში (და მისნაირ მდგომარეობაში მყოფ სხვა ქვეყნებში), მაგრამ არა გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შვედეთსა თუ სხვა ეკონომიკურად მაღალ¬განვითარებულ ქვეყნებში. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენთან ოჯახში შვილების მოსალოდნელი რიცხოვნობა საგრძნობლად ჩამორჩება მათ სასურველ რიცხოვნობას, ეკონომიკური ხელმოკლეობის მიზეზით, შვილების სასურველი ოდენობით გაჩენა-აღზრდისგან თავშეკავების გამო. მდიდარ ქვეყნებში კი ოჯახში, როგორც წესი, იმდენი შვილი ჰყავთ, რამდენიც სურთ და ეს ორი მაჩვენებელი მეტწილად ემთხვევა ერთმანეთს. აქედან დასკვნა: მატერიალური სტიმულირების მოქნილი სისტემის გამოყენებასა და კეთილდღეობის ამაღლებას ყველგან და ყოველთვის არა, მაგრამ ჩვენს კონკრეტულ პირობებში ნამდვილად შეუძლია შობადობის გადიდების უაღრესად რეალური რეზერვის ამოქმედება;

- საცხოვრისით უზრუნველყოფა. ცხადია, ოჯახები, რომლებიც განიცდიან საცხოვრებელი ფართის დეფიციტს და რამდენიმე თაობის წარმომადგენლებს ერთ ოჯახად უწევთ ცხოვრება, ამ ვითარებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, დიდი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც, თავს იკავებენ მრავალშვილიანობისგან და კმაყოფილდებიან ერთი ან ორი შვილით. ამ პრობლემის გადაჭრა სახელმწიფოს პრეროგატივაა, რაც ნათლად უნდა აისახოს მის სამოქმედო პროგრამაში;

- შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით, შვებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განესაზღვროთ შვილების

ოდენობის გათვალისწინებით და მიეცეთ შინ მუშაობის უფლება;

- ქალთა გამოთავისუფლება ორგანიზმისთვის მავნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, ღამის ცვლებიდან; სპეციალური სამუშაო ადგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის. მათთვის ისეთი შრომისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

- ქმედითი ზომების მიღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევარი პირების სპეციალობის მიხედვით დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანისთვის, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ახალგაზრდების გარე შრომით მიგრაციას;

- ეკლესიის გააქტიურება შობადობის გადიდებაში, რამეთუ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მას ძალუძს განუმტკიცოს რწმენა ახალგაზრდობას იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ოჯახის დროული შექმნა (დაქორწინება), ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური ოდენობით ყოლა და ღირსეული ახალი თაობის აღზრდა;

- უშვილობის განმსაზღვრელ დაავადებათა მკურნალობის მასშტაბების გაფართოება და ამ გზით ბუნებრივად გაჩენილ ბავშვთა რიცხოვნობის გაზრდა. დღეისთვის ასეთ ბავშვთა რაოდენობა საქართველოში 1500-ს აღემატება და მომავალშიც გაზრდის სერიოზული რეზერვები არსებობს;

- მშობიარეთათვის უფასო მომსახურების შემოღება. მიზანშეწონილია ამასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფაროს ერთიანი სახელმწიფო სადაზღვევო ფონდიდან და იგი შეეხოს არა მარტო სოციალურად დაუცველ კონტინგენტს, არამედ უკლებლივ ყველას;

- ოჯახში შვილების რაოდენობასთან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიბმა. როცა ადამიანს ეცოდინება, რომ მისი პენსია დამოკიდებულია შვილების რიცხოვნობაზე, ამით უფრო მეტი შვილის გაჩენისა და აღზრდის სტიმული მიეცამა მას;

- სოფლად (განსაკუთრებით მთიანეთში, რომელიც ინტენსიურად იცლება მოსახლეობისგან, ძირითადად ახალგაზრდობისგან) ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდა კადრების ადგილზე დამაგრებას და ჯანსაღ გარემოში შვილების სასურველი ოდენობით აღზრდას;

- ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის ბარბაროსული მეთოდის (აბორტის) ჩვენი ცხოვრების პრაქტიკიდან აღმოფხვრა, გარდა ობიექტური მიზეზებით განპირობებული გამონაკლისებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიზიაროთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მიერ სააღდგომო ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრება: ”განა შეიძლება ბედნიერი იყოს ის ოჯახი, სადაც აბორტი კეთდება და უსუსური პატარა არსებების უღვთოდ დაჩეხილი სხეულების აჩრდილები დადიან? და როგორი საშინელებაა იმის წარმოდგენაც კი, რომ ყოველ წელს, არაოფიციალური მონაცემებით, მილიონამდე აბორტი (რაოდენობა აშკარად გაზვიადებულია – ლ.ჩ.) კეთდება საქართველოში და ამის შემჩერებელი არავინ არ არის” [11 გვ. 2].

როგორც მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, ამ მწვავე პრობლემის შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრის ერთადერთი გზაა ოჯახში ბავშვთა რიცხოვნობის კონტრაცეპტივების გამოყენებით დარეგულირება:

- პაციენტთა, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები და სხვ.) მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება, რათა

სრულყოფილი სამედიცინო დახმარების გარეშე არ დარჩეს ქვეყნის არც ერთი მოქალაქე;

- კვების რაციონის ოპტიმალური სტრუქტურის უზრუნველყოფა; მომხმარებელთა ორგანიზმისთვის სასურსათო პროდუქტების მიწოდება ეკოლოგიურად სუფთა სახითა და შესაბამისი ორგანოების მიერ მეცნიერულ საწყისებზე დადგენილი ფიზიოლოგიური ნორმების დაცვით; საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის, ისევე როგორც ფიზიკური კულტურისა და სპორტის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარება. თავისუფალი დროის გონივრულად და მიზანსწრაფულად გამოყენება;

- ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა. ამისთვის აუცილებელია საწარმოების აღჭურვა გამწმენდი ნაგებობებით და მათი მაღალტექნიკური ექსპლუატაციის უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, თანდათანობით წარმოების უნარჩენო ტექნოლოგიაზე გადასვლა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალოგიურად, გასამკაცრებელია ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისა და საწვავის ხარისხის კონტროლი;

- უმკაცრესი ზომების მიღება მწვანე ნარგავების უკანონოდ გამკაფავთა წინააღმდეგ. ჟანგბადის ძირითადი წყაროების – ტყეების, ნაკრძალების, ბოტანიკური ბაღების, პარკებისა და სკვერების საგანგებო მოვლა-პატრონობა, გამწვანებისთვის ხელის შეწყობის მიჩნევა თითოეული მოქალაქის ერთ-ერთ უპირველეს მოვალეობად;

- სასმელი წყლის სისუფთავის დაცვა. მისი გულმოდგინედ გაფილტვრა და ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის დონის სისტემური, გულმოდგინე კონტროლი. საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის დროულად ინფორმირება და გაფრთხილება;

- ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა ნაკვეთების ქიმიური შემადგენლობის გულმოდგინედ შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე შედგენილი კარტოგრამების

მიხედვით. მცენარეებისთვის შხამ-ქიმიკატების შესხურება (შეფრქვევა) ტექნიკური მოთხოვნებისა და დოზების დაცვით;

- ისეთი სასურსათო პროდუქტების რეალიზაციის აკრძალვა, რომლებიც ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს შეიცავენ დასაშვებ ნორმაზე გადამეტებით. იმ სამსახურის ფუნქციონირების ენერგიულად ამოქმედება, რომელთაც ევალება ტოქსიკური ნივთიერებების ჭარბად შემცველი კვების პროდუქტების მომხმარებლისთვის მიწოდების არდაშვება. სასუქით და მის გარეშე მოყვანილი ნატურალური პროდუქტების რეალიზაცია ერთიმეორისგან გამოცალკევებულად და დიფერენცირებულ ფასებში;

- ადამიანის სიკვდილის გამომწვევი სნეულებების დადგენასთან ერთად, შესწავლა თვით ამ სნეულებების წარმომშობი ეკოლოგიური ხასიათის მიზეზებისა და ბრძოლა მათ წინააღმდეგ;

- მოსახლეობის სისტემატური მასობრივი დისპანსერიზაცია და თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება. სახელმძღვანელო პრინციპად იმის აღიარება, რომ "გაცილებით ადვილია დაავადებათა თავიდან აცილება, ვინემ ავადმყოფობისგან განკურნება".

- ქმედით ღონისძიებათა განხორციელება მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, ლოთობა, სიგარეტის წევა გოგონების მიერ და სხვ.) ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ, რამდენადაც ეს მოვლენები ხელს უწყობენ არა მხოლოდ შობადობის კლებას, არამედ არაჯანსაღი (სნეული) ბავშვების დაბადებასა და ადრეულ ასაკში მათ გარდაცვალებას.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ ფაქტორების მაქსიმალური გათვალისწინებით შემუშავებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას უდავოდ შეუძლია თვალსაჩინო წვლილის შეტანა მოსახლეობის გამრავლების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მიზეზების აღმოფხვრასა და დემოგრაფიული ოპტიმუმის შექმნაში. მხედველობაში გვაქვს

მოსახლეობის ისეთი რიცხოვნობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის წარმოებრივი რესურსების რაციონალურ, მაღალეფექტიან გამოყენებას, საზოგადოებრივი (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) დოვლათის სიუხვის შექმნას, თავისუფალი დროის მაქსიმალურად გაზრდას, საყოველთაო კეთილდღეობას და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული – 2011. თბილისი, 2012, გვ. 42-43.
2. Population Reference Bureau. World Population Data Steet – 2012, გვ. 8.
3. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული – 2009. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2010, გვ. 28.
4. Population Reference Bureau. World Population Data Steet – 2012, p. 12.
5. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 10, გამომც. `სიახლე~, 2012, გვ. 155-156.
6. წულაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში – 2008, თბილისი, 2009, გვ. 47.
7. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 11, გამომც. „სიახლე“, თბილისი, 2013, გვ. 23-35.
8. წულაძე გ., მაღლაფერიძე ნ., ვადაჭკორია ა. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2012. თბილისი, 2013.
9. ჩიქავა ლ. დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა. გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

10. ჩიქავა ლ. დემოგრაფიული კრიზისი საქართველოში და მისი გაღრმავების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 11. გამომც. „სიახლე“, თბილისი, 2013, გვ. 36-43.
11. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 იანვარი, 2014 წელი #4 (7385), გვ. 2.

Leo Chikava

General Tendencies and Regional Peculiarities of Georgia's Population Reproduction

Abstract

The general tendency of Georgia's population reproduction is deterioration of demographic situation and introduction of families with small number of children. In regard to the regional peculiarities, it gives the following picture: by the end of the 80s of the 20th century only one region – Racha-Lechkhumi underwent depopulation; today such situation is in five regions (Guria, Samegrelo, Imereti, Kakheti and Mtskheta-Mtianeti); population of Tbilisi and Kvemo kartli is closing in on zero; despite the sharp deterioration of demographic situation, Adjara, Kvemo Kartli and Samtskhe-Javakheti still maintain the ability of population extended reproduction; one of the peculiarities is that depopulation process is going particularly intensively in rural population than in urban population.

These issues are discussed in the presented article.

ავთანდილ სულაბერიძე
ვლადიმერ სულაბერიძე

განქორწინების ტენდენციები საქართველოში 1960-2012 წლებში

საერთოდ, საქართველოს ევროპული ტიპის დემოგრაფიული ქცევა ახასიათებს. ამ თვალსაზრისით, გამონაკლისად განქორწინება შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ განქორწინების დონე საქართველოში ტრადიციულად ყოველთვის დაბალი იყო, ამას, ერთი მხრივ, ქორწინების და ოჯახური ყოფის მკაცრი სოციალურ-დემოგრაფიული ტრადიციები განაპირობებდა, მეორე მხრივ, საბჭოური მმართველობის პერიოდში, განსაკუთრებით, 1980-იან წლებამდე არსებული კომუნისტური იდეოლოგია. კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, განქორწინება ამორალურ ქცევად მიიჩნეოდა და ამ ფაქტის შემთხვევაში პიროვნებას (განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის წევრებს) სასჯელად გარდა სამსახურში ე.წ. კოლეგიალურ და ამხანაგურ სასამართლოებზე გაკიცხვისა, სამუშაოდან განთავისუფლება ემუქრებოდა.

დიაგრამა 1. განქორწინებათა დინამიკა (‰) საქართველოში 1960-2012 წწ. [1 გვ. 45]



ზემოთქმულიდან გამომდინარე, განქორწინების დინამიკას საქართველოში 1960-2012 წწ. ორ ეტაპად წარმოვაჩენთ: კომუნისტურ (1960-1992 წწ.) და პოსტკომუნისტურ პერიოდად.

როგორც დიაგრამა 1 გვიჩვენებს, 1960-1992 წლებში განქორწინება ზრდის ტემპით ხასიათდება. ამ წლებში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 3,5-3,8-ჯერ გაიზარდა. 1992 წლიდან, 2009 წლამდე აღინიშნება ნელი, მაგრამ არსებითი შემცირება, ხოლო 2009 წლიდან შესამჩნევი ზრდა და 2012 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 1960 წლის შემდგომ პერიოდში, ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია და 1,6 პრომილე შეადგინა.

საინტერესოა, რომ 1960-1992 წწ. პერიოდში განქორწინების ზრდის 3 ეტაპი შეიძლება გამოიყოს. პირველი – 1960-1965 წწ. განქორწინებათა სტაბილიზაცია დაბალ დონეზე 0,4, მეორე – 1966-1972 წწ. განქორწინებათა სტაბილური ზრდა 1,0‰-ის დონეზე და მესამე – 1972-1992 წწ. განქორწინებათა სტაბილიზაცია მაღალ დონეზე 1,1-1,5‰-ის ფარგლებში.

1993-2009 წწ. პერიოდში აღინიშნება განქორწინებათა შემცირება და მისი დონე 0,5-0,9, პრაქტიკულად, 1960-1966 წწ. პერიოდის მსგავსი იყო. 2009 წლიდან კი ისევ აღინიშნება განქორწინებათა ზრდა 1,6‰-მდე.

შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ საქართველოში განქორწინებათა 50-წლიან დინამიკას გარკვეულწილად წრებრუნვის ფორმა გააჩნია. კერძოდ, 1960-1992 წწ. პერიოდის მსგავსი სახით განმეორება 1993 წლის შემდგომ პერიოდში. თუმცა, ამ მოსაზრების დასასაბუთებლად გარდა სპეციალური გამოკვლევისა, მომავალ წლებზე (2012 წლის შემდგომი) დაკვირვებაა კიდევ საჭირო.

საერთოდ, განქორწინებათა დაბალი დონით საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის რესპუბლიკებისგან. მაგალითად, 1970 წელს საქართველოში განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 3,5-ჯერ ჩამორჩებოდა რუსეთის ანალოგიურ მაჩვენებელს, 1990 წელს – 2,5-ჯერ, ხოლო 1997 წლისთვის თითქმის 8-ჯერ.

ბუნებრივია, განქორწინებათა ინტენსივობა დამოკიდე-ბულია ქორწინებათა სიხშირეზე. თუ 1990 წლამდე ქორწინებათა სტატისტიკა საქართველოში მეტ-ნაკლებად მოწესრიგებული იყო. 1990 წლიდან, როდესაც საქართველოში გახშირდა ჯვრისწერა, ქორწინებათა სტატისტიკა არასრულად ასახავდა ქორწინების მაჩვენებელს, რამაც პრაქტიკულად გავლენა იქონია განქორწინებათა აღრიცხვის სიზუსტეზე.

საქმე ისაა, რომ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდა წყვილი ქორწინების ოფიციალურ, სამოქალაქო რეგისტრაციას არჩევდა ჯვრისწერას. ჯვრისწერა სახელმწიფოს მიერ დღემდე არ არის აღიარებული ოფიციალურად და გათანაბრებული სამოქალაქო ქორწინებასთან, ამიტომ მას ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს. ამის გამო, ჯვარდაწერილები განქორწინების შემთხვევაში განქორწინებულთა საერთო რაოდენობაში არ აღირიცხება. ამას ემატება, განსაკუთრებით 2000 წლის შემდეგ თანაცხოვრების ცალკეული შემთხვევები, რომელთა რაოდენობა მართალია ბევრი არ არის, მაგრამ გარკვეულ გავლენას ახდენს ქორწინების და განქორწინების სტატისტიკაზე.

როგორც დიაგრამა 2-დან ჩანს, ყოველ 100 ქორწინებაზე განქორწინებები იზრდებოდა 1970-იანი წლების შუა პერიოდამდე და 1990 წლისათვის პიკს მიაღწია, რომლის შემდეგ, 2000 წლამდე ისევ კლების, შემდეგ კი, ისევ არც თუ შესამჩნევი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 1990 წლიდან ამ მაჩვენებლის სიზუსტეზე არსებითი გავლენა სწორედ სტატისტიკური აღრიცხვის ზემოაღნიშნულმა მომენტებმაც იქონია. კერძოდ, გაანგარიშებისას მნიშვნელში არ ხვდება ის შეწყვეტილი ქორწინებები, რომელთა განქორწინების აქტი ოფიციალურად არ შემდგარა. მაგალითად, იგივე ჯვრისწერის ან თანაცხოვრების შემდეგ განქორწინებები. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა და ა.შ.

დიაგრამა 2. განქორწინებათა რაოდენობა 100 ქორწინებაზე საქართველოში 1960-2012 წწ. [1 გვ.45]



განქორწინების ინტენსივობას და დონეს, უფრო ზუსტად ასახავს განქორწინების ასაკობრივი და ჯამობრივი კოეფიციენტები.

1960-1980 წწ. იზრდებოდა როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა განქორწინების ინტენსივობა ყველა ასაკში, ხოლო 1980-1990 წწ. სხვა ასაკების კლების ფონზე მამაკაცთა შორის 35-49 ასაკობრივი ჯგუფის განქორწინების მაღალი დონე გამოიკვეთა, ხოლო ქალთა შორის 25-29 და 35-44 წლის ასაკის ქალების.

წინა წლებთან შედარებით, 1990-2000 წლებში აშკარაა განქორწინებათა კლების ტენდენცია ყველა ასაკობრივ ჯგუფში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, 1995 წლიდან, 50-54 ასაკის, როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა განქორწინების დაბალი დონე, რომელთა 2000 წლის მაჩვენებელმა შესაბამისად, 1990 წლის დონის 42 და 28% შეადგინა.

თუ 1960-2000 წწ. განქორწინებულ მამაკაცთა მაღალი დონე ძირითადად 30-39 წლის ასაკებზე მოდიოდა, 2000 წლის შემდეგ, განსაკუთრებით 2005 წლიდან წინა წლებისგან განსხვავებით, 1990-1992 წლების მსგავსად, განქორწინებათა ინტენსივობა გაიზარდა 40-44 წლის მამაკაცებში, რომლის მაჩვენებელმა 2008 და 2009 წლებში შესაბამისად 3,3 და 3,2, ხოლო 2012 წლისთვის 3,6 პრომილე შეადგინა.

განქორწინებათა დონის შემცირება 1990-2000 წწ. სავარაუდოდ გამოწვეული იყო ამ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით. ვფიქრობთ, ოჯახში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე (უმუშევრობის ზრდა, ოჯახთა გაღარიბება, შემოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება და სხვ.) წყვილებმა ამჯობინეს განქორწინებათა გადავადება, რამდენადაც ცალკ-ცალკე ცხოვრება, რომ აღარაფერი ვთქვათ მცირეწლოვან ბავშვებზე, ბევრად გაუუარესებდათ ყოფით პირობებს.

განქორწინებულთა 65-75% საქართველოში უშვილოა. 1990-იან წლებში განქორწინებულ წყვილებს საშუალოდ 0,4-0,5 ბავშვი ჰყავდათ, ფაქტიურად არ გაზრდილა ეს მაჩვენებელი 2000-2012 წწ. აღნიშნული შეიძლება ვივარაუდოთ, განქორწინების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად1, განსაკუთრებით 30-39 წლის ასაკებში.

1960-2012 წწ. საქართველოში განქორწინებათა ინტენსივობის დინამიკას კარგად ასახავს განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი, რომელიც დიაგრამა 3-ზეა წარმოდგენილი.

დიაგრამა 3. განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტების დინამიკა (გ.წულაძის შეფასებითი მაჩვენებლები) საქართველოში 1990-2012 წწ. [1 გვ. 88-89]



1960-1990 წწ. იზრდებოდა განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი და პიკს 1990 წელს მიაღწია, რომლის შემდეგ, იგი მკვეთრად დაეცა და 1998-2006 წწ. დაბალ დონეზე გარკვეული

სტაბილიზაცია აღინიშნა. 2009 წლიდან კი ისევ იზრდება და 2011 წლისთვის შემდეგ ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია (მამაკაცებში 0,254, ხოლო ქალებში 0,220).

დიაგრამა 4. განქორწინებათა ინდექსის დინამიკა საქართველოში 1990-2009 წწ. [1 გვ. 71-72, 88-89]



განქორწინების ინტენსივობას უფრო ადეკვატურად ასახავს ინდექსთა მეთოდის გამოყენება, რაც დიაგრამა 4-ზეა წარმოდგენილი. ვიდრე 1990-2012 წწ. განქორწინებათა ინდექსის დინამიკას განვიხილავდეთ, აღვნიშნავთ, რომ 1960-1990 წლებში ეს მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით (განსაკუთრებით 1970-1990 წწ.) ხასიათდებოდა და მთელი 50 წლის მანძილზე მან, ისევე, როგორც განქორწინებათა ჯამობრივმა კოეფიციენტმა, როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა შორის პიკს 1990 წელს მიაღწია.

1990 წლის შემდგომ პერიოდში, განქორწინებათა ინდექსის დინამიკა აშკარად ასახავს ამ მაჩვენებლის ცვალებადობას ბოლო 20 წლის მანძილზე. აღსანიშნავია, რომ გარკვეული შემცირების შემდეგ მისი ზრდა 1999-2001 წწ. აღინიშნება, რომლის შემდეგ იგი როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში 2009 წლამდე მცირდება, ხოლო შემდეგ, 1999-2001 წწ. 3-წლიანი პერიოდის მსგავსად 2009-2011 წლებში ისევ იზრდება და 2011წლისთვის 1993 წლის შემდეგ ყველაზე მაღალ დონეზეა.

ამასთან, საინტერესოა, რომ ქალებთან შედარებით, გარდა 1997-2005 წწ. პერიოდისა, მამაკაცთა განქორწინების ინდექსი უფრო მაღალია.

დიაგრამა 5. განქორწინებულთა საშუალო ასაკი საქართველოში 1990-2012 წწ. [1 გვ. 90]



განქორწინებულ მამაკაცთა და ქალთა უმრავლესობა 25-დან 39 წლამდე ასაკისაა (დიაგრამა 5), განქორწინებისას მამაკაცთა საშუალო ასაკი ყველაზე დაბალი 1992 წელს 37, ხოლო ქალთა შორის 33 წელი იყო, ყველაზე მაღალი კი 2004 წელს (მამაკაცები 41,2 წელი, ქალები 36 წელი). ამასთან, მთელი პერიოდის (1990-2012 წწ.) მანძილზე მათ საშუალო ასაკს შორის სხვაობა საშუალოდ 3,0 წელს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 1990 წლიდან 2012 წლამდე განქორწინებულთა საშუალო ასაკთა შორის სხვაობა 2,4 წლიდან 3,4 წლამდე გაიზარდა, თუმცა, 2004 წლიდან, როგორც განქორწინებულ მამაკაცთა, ისე ქალთა საშუალო ასაკი მცირდება და 2012 წლისთვის მან შესაბამისად, 39,3 და 35,9 წელი შეადგინა.

განქორწინებულთა მაღალი საშუალო ასაკი არსებითად დაკავშირებულია ქორწინების ხანგრძლივობასთან (იხ. ცხრილი 1). ამ თვალსაზრისით, ერთი შეხედვით ალოგიკურია მეუღლეთა 10 წელზე მეტი ერთად ცხოვრების შემდეგ განქორწინება.

განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევიან ის განქორწინებულები, რომელთა ქორწინებაში ყოფნის პერიოდში 2012 წლისთვის 10-14 წელი (19,4%) და 20 წელზე მეტი (19,9%) იყო.

ცხრილი 1. განქორწინებები ქორწინების ხანგრძლივობის მიხედვით [1 გვ. 92]

წელი	ქორწინებისხანგრძლივობაგანქორწინებისრეგისტრაციისას (წლებში)								
	0	1	2	3	4	5-9	10-14	15-19	20+
1990	4.2	6.9	7.3	7.6	6.3	26.5	17.7	11.3	12.2
1991	4.3	8.5	8.3	6.7	6.1	26.2	17.4	11.3	11.2
1992	4.8	15.5	7.9	6.5	6.3	23.6	16.6	9.0	9.8
1993	4.4	10.1	6.7	7.3	6.5	24.2	17.2	10.3	13.3
1994	3.9	4.6	5.5	8.0	6.7	24.8	17.8	11.5	16.8
1995	40.0	4.2	5.5	6.0	6.4	27.7	17.6	12.8	15.8
1996	4.3	8.8	4.6	5.2	5.5	26.1	16.1	14.1	14.7
1997	4.9	5.7	5.4	4.7	6.0	26.5	18.3	12.8	15.7
1998	6.3	4.3	7.1	5.5	4.9	26.1	18.4	12.0	15.4
1999	5.5	5.4	6.0	5.7	5.0	26.6	19.7	10.9	15.2
2000	2.5	6.6	4.0	5.2	4.0	22.8	21.1	13.9	19.9
2001	2.9	3.9	4.3	4.3	2.8	23.2	20.1	14.7	26.0
2002	3.4	3.6	6.9	5.5	3.8	23.0	20.1	13.6	20.1
2003	10.4	2.8	2.2	3.6	4.8	16.0	22.1	12.8	22.3
2004	4.4	3.7	3.0	3.6	4.2	20.4	19.6	16.6	22.5
2005	6.3	3.1	4.5	3.1	4.1	19.8	20.1	14.6	23.8
2006	6.3	4.5	4.1	3.5	4.2	19.3	19.4	16.0	22.4
2007	17.4	3.5	3.8	3.2	2.8	15.1	17.4	14.6	21.1
2008	3.3	4.8	4.0	3.9	3.6	18.4	19.3	16.9	20.1
2009	4.3	4.6	4.8	4.4	4.4	18.7	19.4	17.3	19.9
2010	4.3	4.8	4.9	5.6	4.5	17.6	16.3	17.5	22.1
2011	5.4	5.1	5.4	5.2	5.0	17.9	14.0	15.4	24.4
2012	5.9	5.3	5.5	5.7	5.5	18.5	12.5	14.5	25.6

საერთოდ, 1990-2009 წწ. პერიოდში განქორწინებულთა ყველაზე მაღალი რაოდენობა იმ განქორწინებულებზე მოდის, რომელთა ქორწინებაში ყოფნის პერიოდი 5 წელზე მეტს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში 2002 წლიდან შემცირდა იმ განქორწინებულთა როდენობა, რომელთა ქორწინების პერიოდი 5-9 წელს შეადგენდა და მათთან შედარებით გაიზარდა იმ განქორწინებულთა წილი, რომელთა ქორწინების პერიოდი 20 და მეტი წელი იყო, რომელთა რაოდენობამ 2012 წლისთვის ყველა განქორწინებულთა შორის შესაბამისად, 25,6 % შეადგინა.

რაც შეეხება ქორწინებაში 1 წლამდე მყოფთა განქორწინების მაჩვენებელს, 1990-2009 წწ. პერიოდში თუ მხედველობაში არ

მივიღებთ 2003 წელს (10,4%) და 2007 წელს (17,4%), იგი გარკვეულწილად დაბალია და 2,5-დან (2000 წ.) 6,3%-მდე (2006 წ.) ფარგლებში ვარირებს.

დიაგრამა 6. განქორწინებულთა დინამიკა ქორწინებაში ყოფნის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით % [1 გვ. 92]



განქორწინების ანალიზისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განქორწინების იურიდიული რეგისტრაცია ფაქტობრივი განქორწინებიდან მხოლოდ გარკვეული პერიოდის (ზოგჯერ რამდენიმე წლის შემდეგაც) შემდეგ წარმოებს. ამიტომ, ქორწინების ხანგრძლივობის ოფიციალური მაჩვენებლები აღემატება ფაქტობრივ მაჩვენებლებს და შესაბამისად, განქორწინების ფაქტობრივი პერიოდი მეტია იურიდიულად რეგისტრირებულ განქორწინებაში ყოფნის პერიოდზე.

რაც შეეხება განქორწინებისას, ქორწინების საშუალო ხანგრძლივობას, მის დინამიკას 1990-2012 წწ. კარგად ასახავს დიაგრამა 6, რომლის თანახმად, 2000 წლის შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა განქორწინების მომენტში ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც 9,3 წლიდან 12,2 წლამდე ვარირებს. განქორწინებათა შეფასება არც თუ ისე ადვილია და მასზე პასუხი განქორწინების შედეგების შესახებ, ანუ, რამდენად იყო გამართლებული მათი განქორწინება სპეციალურმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ უნდა გასცეს.

ამ თვალსაზრისით, განვიხილოთ ხელახალი ქორწინებები. სამწუხაროდ, საქართველოს ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკა ხელახალ ქორწინებებში ცალკე არ გამოყოფს

განქორწინებულთა ხელახალ ქორწინებებს სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში და მათ ქვრივთა ხელახალ ქორწინებასთან ერთად წარმოგვიდგენს.

ყველა დაქორწინებულთა შორის 1990-2012 წწ. პირველ ქორწინებაში შესულთა წილი სხვადასხვა წლებში 92,6%-დან 98,8%-მდეა. რაც შეეხება ქვრივთა და განქორწინებულთა ხელახალ ქორწინებას, ის დაბალია და საერთო ჯამში 1,1%-დან 7,4%-დეა. ამ უკანასკნელთა შორის თითქმის 90%-ზე მეტს განქორწინებულთა ხელახალი ქორწინებები შეადგენს, რომელთა ინტენსივობა განსაკუთრებით მაღალი იყო 1990-1996 წწ, თუმცა, 2009 წლიდან აღინიშნება მისი ზრდა და 2012 წლისთვის მან 5,0% შეადგინა (თითქმის 1990 წლის დონე – 5,8%)

დიაგრამა 7. განქორწინებულთაგან ხელახალ დაქორწინებულთა წილი დაქორწინებულთა საერთო რაოდენობაში სქესის მიხედვით 1990-2012 წწ. [1 გვ. 83]



როგორც დიაგრამა 7 გვიჩვენებს, ხელახალ ქორწინებაში განქორწინებულ ქალებთან შედარებით უპირატესად განქორწინებული მამაკაცები შედიან, რომელთა რაოდენობა, გარდა 2003 წლისა, 1990-2009 წწ. ყველა წელს აჭარბებდა ქალთა მაჩვენებელს. მათ შორის მაღალი სხვაობა, განსაკუთრებით აღინიშნებოდა 1990-1996 წწ., მომდევნო წლებში ეს უპირატესობა შემცირდა, ხოლო 2008-2009 წლებში ისევ გაიზარდა, თუმცა, წინა წლებთან შედარებით მაინც დაბალ დონეზე დარჩა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დემოგრაფიული სტატისტიკა, ისევე, როგორც ორჯერ და მეტად დაქორწინებულების, ცალკე არ გამოყოფს ხელახალ ქორწინებაში შესულ განქორწინებულთა სქესობრივ-ასაკობრივ მაჩვენებლებს და იძულებულები ვართ იგი ხელახალ ქორწინებაში შესულ ქვრივებთან ერთად განვიხილოთ. თუმცა, ამ უკანასკნელთა სიმცირე ხელახალ ქორწინებაში შესულ განქორწინებულთა საშუალო ასაკის სიზუსტეზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

დიაგრამა 8. ხელახალ ქორწინებაში შესულთა საშუალო ასაკი საქართველოში[1 გვ. 30]



როგორც დიაგრამა 8-დან ჩანს, ადრე ქორწინებაში მყოფ, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა ხელახალი ქორწინების საშუალო ასაკი 1990-2012 წწ. მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდება და მამაკაცთა შორის 38,8 წლიდან (1997 წ.), 45,9 წლამდე (2007 წ.), ხოლო ქალთა შორის 36,7 წლიდან 40,5 წლამდე მერყეობს. ასევე ცვალებადია ხელახალ ქორწინებაში შესვლისას მათ საშუალო ასაკთა შორის სხვაობაც, რომელიც 2,0 წლიდან 6,5 წლამდე ვარირებს. მათ შორის ხელახალ ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკში მაღალი სხვაობები აღინიშნა 1995, 1999, 2003, 2004 და 2007 წლებში. აღსანიშნავია, რომ ხელახალი ქორწინების საშუალო ასაკი, როგორც მამაკაცთა, ისე ქალთა შორის 2008 და 2009 წლებში შემცირდა, ასევე შემცირდა მათ შორის არსებული სხვაობაც. 2010 წლიდან კი საპირისპირო ვითარება აღინიშნება და 2012 წლისთვის

ხელახალ ქორწინებაში შესვლის საშუალო ასაკმა მამაკაცთა შორის 42,3 წელი, ხოლო ქალებისთვის 38,8 წელი შეადგინა.

განქორწინებული მამაკაცების და ქალების ხელახალი ქორწინების დინამიკა უფრო ზუსტად გვიჩვენებს ამ პროცესის მიმდინარეობას და მათ ინტენსივობას. როგორც დიაგრამა 9 გვიჩვენებს, ხელახალ ქორწინებაში შესულთა რაოდენობა 1990 წლიდან 1990-1997 წწ. სწრაფი ტემპით მცირდება, შემდეგ (1998-2006 წწ.) სტაბილიზდება დაბალ დონეზე, ხოლო 2007 წლიდან ისევ იზრდება და 2009 წლისთვის 1995 წლის დონეს აღწევს. მიუხედავად უკანასკნელ წლებში განქორწინებულთა ხელახალი ქორწინებების ზრდისა, მისი დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება 1990-1995 წწ. დონეს, მით უფრო ამ პერიოდში იგი სწრაფი ტემპით მცირდებოდა.

დიაგრამა 9. ხელახალი ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტები [1 გვ. 75]



ამ ფონზე ინტერესმოკლებული არ იქნებოდა განგვეხილა საქართველოში განქორწინების ძირითადი მიზეზები და განქორწინების შედეგები, ანუ, მისი დადებითი და უარყოფითი შედეგების ზოგადი ანალიზი. ეს საკითხი სპეციალურ გამოკვლევას ითხოვს, რასაც ართულებს სასამართლოში და სამოქალაქო რეესტრში, განქორწინების პროცედურის გამარტივება. ამასთან, წყვილები განქორწინების ძირითად მიზეზად ერთმანეთთან შეუთავსებლობას ასახელებენ და მალავენ განქორწინების რეალურ მიზეზებს.

რამდენადაც, პროფესორ მზია ბექაიას1970-იანი წლებში ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ [3], ამ მხრივ ფართომასშტაბური მეცნიერული კვლევა არ განხორციელებულა. დაფინანსების შემთხვევაში ვაპირებთ პროფესორ მზია ბექაიას მეთოდით განქორწინების მიზეზების და შედეგების შესწავლას. ამიტომ აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ რეტროსპექტივის სახით პროფესორ მ. ბექაიას გამოკვლევიდან.

სამწუხაროდ, მეცნიერულ დონეზე კომპლექსური კვლევა 1985-2009 წლებში არ ჩატარებულა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა პროფ. მ. ბექაიას 1975 წ. და 1985 წ. ჩატარებული პერმანენტული კვლევები.

მან შეისწავლა რა 1970 წელს განქორწინებულთა მიზეზები, 5 წლის შემდეგ, იგივე განქორწინებულ პერსონათა შორის ჩაატარა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო, გაერკვია განქორწინების დადებითი და უარყოფითი მხარეები. საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში კომუნისტური საზოგადოება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აღითქვამდა განქორწინებას და მის დადებით მხარეზე საუბარს საერთოდ ტაბუ ჰქონდა დადებული. ამ თვალსაზრისით, მის მიერ 1975 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევა რბილად რომ ვთქვათ, მნიშვნელოვანი პროგრესი იყო საბჭოთა მეცნიერებაში (რომელსაც მოსკოვი აკონტროლებდა), რომ აღარაფერი ვთქვათ თავისა და კარიერის გაწირვით გმირობაზე.

გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა სხვა ქვეყნებში ჩატარებული ანალოგიური კვლევის შედეგები, რომ განქორწინების ძირითად მიზეზებად ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ბიოსოციალური ფაქტორებია, რომლებიც თავის თავში შეიცავენ როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ მხარეებს, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციას ხშირად მწვავე კონფლიქტში გადაზრდიან.

1975 წელს ჩატარებული გამოკვლევის ერთ-ერთი ამოცანა 1970-1975 წწ. განქორწინების შედეგების გამოვლენა იყო. გამოკვლევამ აჩვენა, რომ 1975 წლისთვის განქორწინებულთა 34% ხელმეორედ დაქორწინდა. მათგან, შერიგდა – 13 წყვილი (შერიგების ძირითად მიზეზად აღმოჩნდა ბავშვებზე ერთობლივი ზრუნვა და გარკვეული აზრით, განქორწინებაზე ტრადიციულად

საზოგადოების უარყოფითი შეხედულება); განქორწინებულთა 10%-მა განქორწინების აუცილებლობა მიზანშეწონილად მიიჩნია; 14%-მა განქორწინებისგან თავშეკავება მიიჩნია და აღნიშნა, რომ ის ნაჩქარევი იყო; 26% – განქორწინებით ნანობს, ხოლო დანარჩენს განქორწინებასთან დაკავშირებით არ ჰქონდა ჩამოყალიბებული შეხედულება.

1985 წელს ამ საკითხზე ჩატარებული პერმანტული გამოკვლევის მიზანი იყო შეეჯერებინა გასული 5 და 15 წლის მანძილზე განქორწინების შედეგები და გამოევლინა საზოგადოებრივ და ცალკეული ადამიანების ცხოვრებაში განქორწინების ფუნქციონირების ხარისხი. გამოსაკითხ რესპონდენტთაგან 13% ვერ მოიძებნა, დანარჩენ რესპონდენტებთან ჩატარებულმა განმეორებითმა ინტერვიუმ კი აჩვენა, რომ: განქორწინებულთა ოჯახური მდგომარეობა, მართალია ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ ისევ განიცდის ცვლილებებს. ხელახალმა ქორწინებებმა გაამართლა და ისინი თვლიან, რომ ბედნიერები არიან; ისინი კი ვინც არ შერიგებულან, პირიქით, საბოლოოდ გაიყვნენ ორ შერიგებულ ოჯახად (აქვთ ერთმანეთთან ურთიერთობები); გაიზარდა განქორწინებით უკმაყოფილოთა რაოდენობა. ამ უკანასკნელებზე პირადი დაკვირვების შედეგად მ. ბექაიას აზრით, მათი უმრავლესობა პიროვნულად დაბალი სოციალურ-კულტურული ტიპისა და ურთიერთგაგების დაბალი კულტურის გამო ექვემდებარებოდა განქორწინებას და ამ აქტმა პარტნიორი გაათავისუფლა მათთან მძიმე ურთიერთობებისგან.

ამ გამოკვლევით დადგინდა განქორწინებულ ქალთა და მამაკაცთა, აგრეთვე, ბავშვთა დამოკიდებულება განქორწინების შემდგომი პერიოდში განქორწინებისადმი და განქორწინების შედეგები. გამოვლინდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

მ. ბექაიას მიერ განქორწინების მიზეზების შესწავლისას (ძირითადად სასამართლო არქივი) აღმოჩნდა, რომ განქორწინებათა უმრავლესობაში ეს მიზეზები კომპლექსურია, სადაც ერთი შეხედვით უმნიშვნელო ერთი მიზეზიც კი (თუნდაც ქმარი გვიან მოდის სახლში, მეუღლის მშობლებთან შეკამათება, ეჭვიანობა, ბავშვის სკოლაში არ წაიყვანა და ა.შ.) მწვავე

კონფლიქტში გადაიზარდოს და გადამწყვეტად შეიძლება მოგვევლინოს.

განქორწინებათა ძირითადი მიზეზები კი შემდეგნაირად წარმოჩინდება: ადრეული ქორწინება, ეგონა, რომ მეუღლეს უყვარდა და სხვა უყვარს და ამ ნიადაგზე მეუღლის ღალატი, ძალადობა ქალისა და ბავშვის მიმართ, ლოთობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, მეუღლის მშობლების ცოლ-ქმრის ცხოვრებაში ჩარევა და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ მიზეზებით განქორწინების ინიციატორებად ძირითადად ქალები გვევლინებიან. ამასთან, სასამართლოში განქორწინების თაობაზე უწინარესად მატერიალური მოთხოვნის მიზნით შედის. ქალები ითხოვენ მეუღლეთა საცხოვრებელი სახლის (ბინის) და ქონების წილს, ალიმენტს და ა.შ.

ქალებისგან განსხვავებით, მამაკაცები ნაკლებად (იშვიათად) მიმართავენ სასამართლოს და განქორწინების რეგისტრაციას ძირითადად არჩევენ სამოქალაქო რეესტრს. საქმე ისაა, რომ სამოქალაქო რეესტრში სასამართლოსთან შედარებით განქორწინების პროცედურა (თუ ორივე მეუღლე თანახმაა განქორწინებაზე და მათ შორის ყველა მატერიალური საკითხი სასამართლო დავის გარეშე გადაწყვეტილია) ბევრად უფრო ადვილია და ნაკლები დროც სჭირდება. ამიტომ, ვფიქრობთ, სამოქალაქო რეესტრში განქორწინების ძირითადი მიზეზი მეუღლეთა მხრიდან ნაკლებად გულწრფელია და შეიძლება ის რეალურად სხვა იყოს. რამდენადაც მეუღლეთა მიზანი განქორწინებაა, სამოქალაქო რეესტრში ისინი ძირითად მიზეზს ხშირად არ ასახელებენ და მიზეზად მოჰყავთ არარეალური მარტივი მიზეზები (ხასიათის შეუთავსებლობა, ეჭვიანობა და ა.შ.).

ჩვენი აზრით, ანალოგიური სოციოლოგიური გამოკვლევის ჩატარება ერთობ საინტერესო ინფორმაციას მოგვცემდა გარდამავალი პერიოდში განქორწინების ძირითად მიზეზებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო საქმეების შესწავლასთან ერთად აუცილებელია ჩატარდეს სოციოლოგიური გამოკვლევაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. წულაძე, ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2012.
2. გ. წულაძე, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება 2012 წ.
3. მ. ბექაია. ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები. თბილისი, 1980.

Avtandil Sulaberidze
Vladimer Sulaberidze

The tendencies of divorce in Georgia in 1960-2012

Abstract

The European type of demographic behavior is characteristic of Georgia. From this point of view only divorce can be considered as an exception. The point is that the level of divorce in Georgia traditionally always was low. This, on the one hand, was conditioned by strong social and demographic traditions of divorce and family life, on the other hand, by communist ideology existing during the period of Soviet rule, particularly, until the 1980s. Following from the above-noted, the dynamics of divorce in Georgia in 1960-2009 is presented in two stages: communist (1960-1992) and post-communist periods (1992-2012).

In the article,divorcedynamics in 1960-2012 isdiscussed in the sex-age and marriage context. The average lengthof stay in marriage of divorced people, childbearing, the average age of re-marriageandintensity are analyzed in the paper.

According to the authors, the real causes of divorce in Georgia are not studied on scientific level and it should be also studied how divorce was justified taking into consideration its results. In this respect the authors suggest to study permanently marital status of divorced people after a certain period of time (5 years), which will allow us to determine the positive and negative social consequences of divorces.

მზია შელია

უფროსი თაობისადმი დამოკიდებულება ოჯახში

თაობათაშორისი ურთიერთობის საკითხი უძველესი პრობლემაა. მან განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა თანამედროვე საზოგადოების ტრანსფორმაციის პირობებში. ბოლო ათწლეულებში მსოფლიო მოსახლეობის განუხრელმა დაბერებამ კი ამ პრობლემას კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მისცა და შესაბამისად, მსოფლიოს მეცნიერ-მკვლევართა მუდმივი თვალთახედვის არეში მოექცა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში შობადობის შემცირების ფონზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მომატებამ ხანდაზმულთა რიცხოვნობის ზრდა გამოიწვია. ჩამოყალიბდა მრავალთაობიანი საზოგადოება, რომელიც მრავალკულტურულიც გახდა. მომრავლდა სამ და ოთხთაობიანი ოჯახებიც. ბუნებრივია, თუ ამ პროცესს იმავდროულად თაობათა დაახლოების პროცესიც არ ახლავს თან, მაშინ მთელი საზოგადოების მართვა რთულდება. რასაკვირველია, საზოგადოებაში, სადაც არ არსებობდა მრავალთაობიანი საზოგადოების ცხოვრების გამოცდილება, ლოგიკურად ბევრი კითხვა დაიბადა ე.წ. "თაობრივი სიტუაციის" მიმართ.

თაობათაშორისი ურთიერთობის საკითხმა განსაკუთრე-ბული სიმწვავით იჩინა თავი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. საბაზრო მეურნეობის დამკვიდრების პროცესში, ახალი ღირებულებებით ცხოვრებისკენ სწრაფვამ, თაობათა ურთიერთობები მეტ-ნაკლებად დაძაბა. ამან ბევრ ქვეყანაში, პოლიტიკურ ბრძოლაში, ეკონომიკურ და ოჯახურ ურთიერთობებშიც ჰპოვა ასახვა.

დემოგრაფიული დაბერების განუხრელი პროცესი საქართველოს მოსახლეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მახასიათებელიცაა. 1970-იან წლებიდან ჩვენი ქვეყანა დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყნების ჯგუფს შეუერთდა. აქ დაბერების მაღალი დონე ჩამოყალიბდა სუსტად განვითარებული ეკონომიკის პირობებში, რამაც მძიმე სოციალური ყოფა კიდევ

უფრო გააუარესა. სახელმწიფო ბიუჯეტის სიმცირის პირობებში საქართველოს საზოგადოებას უხდება ბევრად მეტი პრობლემის დაძლევა სხვა ქვეყნებთან შედარებით. აქ ობიექტურად შექმნილი ვითარება ბევრად რთულია, ვიდრე დაბერებულ დასავლეთში. ეს კი ევროპის ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტ თავსატეხს აჩენს. აქედან გამომდინარე, თაობათა ცვლის ტემპის შენელებით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური შედეგების კვლევა, მათ შორის, თაობათაშორისი ურთიერთობის შესწავლაც, განსაკუთრებით აქტუალური საკითხია ჩვენი ქვეყნისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ თაობათაშორისი ურთიერთობები, ზოგადად, ქართულ დემოგრაფიულ, განსაკუთრებით, სოციოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკითხის მნიშვნელობის შესაბამისად არაა გამოკვლეული. ჩვენი ნაშრომი ერთ-ერთი მცდელობაა ამ ნაკლის შევსებისა. კერძოდ, ვეცადეთ გამოგვევლინა უფროსი ასაკის მოსახლეობის ადგილი და როლი ოჯახში და შერჩევითი სოციოლოგიური კვლევის მასალების მიხედვით გაგვესაზღვრა ის ცვლილებები, რაც ბოლო ხანს მიმდინარეობს თაობათაშორის ურთიერთობებში. ვფიქრობთ, რომ ყოველივე ამით ხელი შეეწყობა ქვეყნის წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი სოციალური ამოცანების განხორციელებას.

ცნობილია, რომ სიტყვა "თაობა" ლათინური წარმოშობისაა და სიცოცხლის დაწყებას ნიშნავს, რომელიც მუდმივად მოძრავი, განმეორებადი პროცესის ამსახველია.ძველ რომში ეს ტერმინი ბერძნებისაგან აიღეს და ნიშნავდა "დაბადებას", "წარმოშობას", "შთამომავლობას". ამ ტერმინის შინაარსმა ისტორიულად სამი ფაზა განვლო:

პირველი ფაზა მოიცავს დროს ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე. ამ პერიოდში არსებობდა მცდელობა ამ ტერმინით აწმყო წარსულით, ტრადიციებით ახსნილიყო. თაობათა მემკვიდრეობითობის საკითხზე ცოდნის გადაცემას უფრო მეტად დიდაქტიკური ხასიათი ჰქონდა.

მეორე ფაზა იწყება შუა საუკუნეებიდან და გრძელდება თანამედროვეობამდე. ტერმინი "თაობა" მოიაზრება, როგორც შესვლა ახალ მომავალში. თაობას ენიჭება პროგრესის განმახორციელებლის როლი, სცდება ოჯახის სივრცეს და

მნიშვნელოვანი ყურადღების საგანი ხდება ხელოვნებასა და მეცნიერებაში.

მესამე ფაზაში, დღეს, მას, ძირითადად, იყენებენ მოცემული ეპოქის დიაგნოსტირებისას. მის შინაარსში ასახულია კავშირი წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. ამ ფაზაში თაობათა მემკვიდრეობითობის საკითხი კიდევ უფრო მეტი ყურადღების საგანი ხდება, იგი სცდება ოჯახისა და ცალკეული დარგების სფეროს და მთელი საზოგადოების მასშტაბით განიხილება. ამის მაგალითია თუნდაც, რესურსების თაობათაშორის გადანაწილების სამართლებრივი ასპექტის განხილვა[11].

ქართულ ენაშიც, ცნება თაობა, ბერძნულიდანაა შემოსული. ძველ ქართულ ენაში ტერმინი “თაობა”, “თა-ვ-ობა” ნიშნავს “დასაწყისს”, “დასაბამს”[1; 2] .

ამჟამად ამ ტერმინს სხვადასხვა მეცნიერება მისი შესატყვისის შესაბამისად იყენებს. მაგალითად, დემოგრაფიაში თაობა განსაზღვრულ პერიოდში მცხოვრებ სხვადასხვა ასაკის პირთა ერთობლიობაა. მაგალითად, 80-იანელთა თაობა, 60-იანელთა თაობა და ა.შ.

ცნობილი სოციოლოგი, იგორ კონი, თაობის განმარტებისას რამდენიმე ნიშანს გამოყოფს. კერძოდ, თაობად შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანთა ერთობლიობა, რომელთაც ჰყავთ საერთო წინაპარი, ან არიან ერთი და იმავე დროს დაბადებული, ან არიან სხვადასხვა ასაკის, მაგრამ ერთ პერიოდში ცხოვრობენ, ან კიდევ, თაობა არის დრო, მშობლების დაბადების წლიდან მათი შვილების დაბადების წლამდე.

საგულისხმო ფაქტია, ისიც, რომ მსოფლიოში ყველაზე ძველ წიგნად წოდებული პრისის პაპირუსის (დაიწერა ჩვენს წერლთაღრიცხვამდე 3350 წელს და ნაპოვნია ქალაქ ფივის ერთ-ერთ პირამიდაში) თემა არის ე.წ. თაობათა ბრძოლა. ყველაზე ძველი წიგნის ავტორი წუხს იმაზე, რომ ახალგაზრდები გამოუცდელები, ზარმაცები და ჯიუტნი არიან[3].

თობათა ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფიზიოლოგიის და მედიცინის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, კონრად ლორენცი (1903-1989), როცა თავის გახმაურებულ ნაშრომში –”ცივილიზებული კაცობრიობის 8 მომაკვდინებელი ცოდვა”(1972წ.),აღნიშნავს, რომ მოსახლეობის

ზრდის, ტექნოლოგიური პროცესის დაჩქარების, ბირთვული იარაღით აღჭურვის და სხვათა გვერდით, რიგით მეექვსე ცოდვა არის თაობათა დაპირისპირება, როგორც კულტურული ტრადიციისაგან მოწყვეტის საფუძველი, ანუ სიტუაცია, როცა "უმცროსი თაობა კარგავს უფროსთან კულტურულ ურთიერთგაგებას, ისე უყურებს, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს და მას ნაციონალურ სიძულვილს უპირისპირებს"[4].

თაობრივი სიტუაციის საკითხი საკმაოდ აქტუალური იყო გასულ საუკუნეებში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევშიც (დ. გურამიშვილი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. საღარაძე, ნ. თავდგირიძე და სხვ.). საყოველთაოდ ცნობილია რა დიდი გამოხმაურება ჰქონდა ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა პუბლიცისტურ წერილებს (1861-1863 და 1871 წლებში), რომელიც ეხებოდა ახალი ენობრივი ნორმების დამკვიდრებას, ბრძოლას ე.წ. მაღალი სტილის წინააღმდეგ. ამასთან, ახალი თაობის უკმაყოფილება უფროსი თაობის მიმართ განაპირობა იმანაც, რომ ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცის განვითარებას ისინი სხვადასხვა კუთხით უყურებდნენ. უფროსი თაობა თვლიდა, რომ უპირატესად სამხედრო სასწავლებელი გვჭირდებოდა, როცა ახალი თაობის მოთხოვნა იყო უნივერსიტეტის გახსნა, მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების გასავითარებლად, მრავალფეროვანი ცოდნის მისაღებად და ქვეყნის კულტურული დონის ასამაღლებლად.

ზოგადად, განათლების სისტემის მაშინდელი ნაკლოვანებებით ხსნიდნენ ქვეყნის სოცილური და ეკონომიკური განვითარების სირთულეებს, და მკვეთრად გამოხატავდნენ ახალგზრდობისადმი წყენასაც მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი. მათ მიაჩნდათ, რომ ახალგაზრდობა, ვინც თითქოს რაღაც ისწავლა, ხალხის მოთხოვნილება – საჭიროებისაგან მოწყვეტილია. "ყოველ წლოვანებას აქვს თავისი მნიშვნელობა და ღირსება, ყველაზე უფრო მეტი კარგი თვისება თან სდევს სიყრმეს, ახალგაზრდობას, მაგრამ ვინც ნამდვილი სიყვარულით ეპყრობა ახალ თაობას, ის ყველაზე მეტად უნდა აფასებდეს მისი ძალღონის ნაყოფიერად და ცხოვრების საჭიროების შესაფერათ მომზადებას და შენახვას. ბავშვების... ჩარევა საერთო მოღვაწეობაში სრულწლოვანთათვის სამოქმედოდ დასახულ საქმეებში, ანუ ბავშვების განწყობილება-

მოთხოვნილობით ხელმძღვანელობა არა თუ არ შეფერის ჭკვა დამჯდარ ვაჟკაც ადამიანს, არამედ ეს მაჩვენებელია მთელი საზოგადოების სულიერი თვისების დაცემის და დაძაბუნების.”– წერდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე ნ. თავდგირიძე 1911 წელს ქ. ქუთაისის გაზეთ „კოლხიდაში“[5]. ახალგაზრდობას არასაკმარის განათლებასა და ცოდნაზე მიუთითებს მე-19 საუკუნის ბოლოს მ. საღარაძე და აღნიშნავს: „მართალია, ევროპიულმა ცივილიზაციამ, რომელიც ნელ-ნელა იდგამს ფეხს ჩვენში, დაანგრია ჩვენი ქვეყნის წინანდელი წეს-წყობილება და შექმნა იმისთანა პირობები, რომელთაც განვითარება საუკეთესო მერმისის მომასწავებელია, მაგრამ მაინც ჩვენი ეხლანდელი მდგომარეობა იმ გვარი თვისებისაა, რომ ცხოვრების რაციონალური მიმდინარეობა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ გვაკლია, უწინარეს ყოვლისა, ცოდნა, სწავლა-განათლება, რომელიც შეადგენს საფუძველს ყოველი რეგიონის მდგომარეობისა, ჩვენ გვაკლია საზოგადო კულტურა, საშუალებანი ჩვენი მძლავრი და მდიდარი ბუნების დამორჩილებისათვის, ჩვენ გვაწუხებს საზოგადო სიღარიბე, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენი ახლანდელი ცხოვრების სხვადასხვა პირობებთან[6]. ავტორი ახალგაზრდებს მოუწოდებდა უფრო ღმა ცოდნა მიეღოთ, არ დასჯერებოდნენ მხოლოდ სპეციალურ განათლებას, რათა უკეთესად შეძლებოდათ საკუთარი ქვეყნის სამსახური.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს რომ, თაობის სპეციალური მეცნიერული შესწავლა საქართველოში მეტად გვიან, 1970-1980-იან წლებში დაიწყო (პ. გუგუშვილი, ბ. ლუტიძე, ა. სულაბერიძე, ა. თოთაძე, ა. ლეჟავა და სხვ.).

ამჟამად სხვადასხვა დარგის მეცნიერები ხშირად მიუთითებენ ადამიანსა თუ საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებზე. კერძოდ, იმაზე, რომ მარტო ბავშვებს კი არა, მოწიფულთაც აკლიათ პასუხისმგებლობა, გაზრდილია შფოთიანობა, აგრესიულობა; თვისებრივი ცვლილებებია პიროვნებათა ურთიერთობაში, თაობათაშორის ურთიერთობაში. მათი აზრით, იმისათვის, რომ თაობათა დეტალური ანალიზი მოხდეს, საჭიროა მთელი რიგი საკითხების შესწავლა. მაგალითად, რაზე აქვთ დღეს თაობებს რეფლექსები? როგორი სახით ფორმირდება ისინი? როგორ იცვლება მათი მოტივაცია? რა

გავლენას ახდენს მათზე არსებული გარემო და ა.შ. ამის გარეშე ძნელია საზოგადოების განვითარების პროგნოზის გაკეთება. ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოში შეიქმნა განსაკუთრებით მწვავე ე.წ. "თაობრივი სიტუაცია", რაც განსაკუთრებით ახასიათებს რთულ, გარდამავალი ხასიათის საზოგადოებებს, სადაც, ერთი მხრივ ღრმა ნაპრალი გაჩნდა თაობებს შორის, მეორე მხრივ, ახალი სიტუაციის ათვისებით ადგილი აქვს სხვადასხვა თაობის ადამინთა დაახლოების პროცესს. აქედან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ თაობათა ურთიერთკავშირის, ურთიერთ-ზემოქმედების, ურთიერთგაგების პრობლემების შესწავლა სრულიად ახალ მიმართულებას იძენს. საქმე ეხება არა მარტო დაგროვილ ფასეულობათა გადაცემას ახალ თაობაზე, ან ბუნებრივ კავშირებს თაობათა შორის, ან წინააღმდეგობებს ძველსა და ახალს შორის, არამედ ამ კავშირთა ძირეულ ცვლილებებს. ბუნებრივია ამან 1990-იანი წლებიდან საკითხის კვლევას ახალი ბიძგი მისცა.

2013 წელს დემოგრაფიისა დასოციოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, გარკვეულიყო, რამდენად მჭიდროა თაობათა შორის კავშირი, რამდენად ესმით მათ ერთმანეთის და როგორ რეაგირებენ ურთიერთის შენიშვნებზე, როგორია მათი დამოკიდებულება თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობაზე და როგორია მზადყოფნა ოჯახის უფროსი ასაკის წევრთა დახმარებაზე. სად ხედავენ ისინი მოხუცთა ადგილს ოჯახსა და საზოგადოებაში, როგორია მათი დამოკიდებულება მოხუცთა მხარდაჭერის პროგრამებზე; შეიცვალა თუ არა ახალგაზრდობის დამოკიდებულება ბოლო ათი წლის მანძილზე უფროსებისადმი და ა.შ.

თობათა სიახლოვეს მნიშვნელოვნად განაპირობებს ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა და კონტაქტების სიხშირე, რაც მათ ურთიერთობებს უფრო მგრძნობიარეს ხდის. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მატების ფონზე, სწავლის ხანგრძლივობის ზრდამ, სტაბილური სამუშაოს მოძიების სირთულემ, ქორწინების ასაკის გადაწევამ თაობათა ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა გაზარდა. საკომუნიკაციო საშუალებათა სწრაფმა განვითარებამ კი ხელი შეუწყო მშობლებთან კონტაქტების გახშირებას იმ შემთხვევაშიც, როცა მშობლები და შვილები ერთად არ ცხოვრობენ.

საქართველოში ბოლო დროს ჩატარებული გამოკვლევების თანახმად, 60 წლისა და უფროსი ასაკის ადამიანთა უმრავლესობა შვილებთან ერთად ცხოვრობს. "საფრანგეთთან, რუსეთთან და გერმანიასთან შედარებით საქართველოში 60 წელს გადაცილებულ რესპონდენტებს შორის 3-4-ჯერ ნაკლებია მათი წილი, ვინც მარტო ცხოვრობს [7].

ჩვენი კვლევით დადგინდა, რომ შვილებისა და შვილიშვილების კონტაქტი მშობლებთან და ბებია-ბაბუებთან რეგულარულია და რესპონდენტთა უმრავლესობა მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც ხვდება მათ (დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „რა სიხშირით ნახულობთ თქვენს მშობლებს, ბებია-ბაბუებს?"პასუხების მიხედვით(%)



ამასთან, კონტაქტები უფრო ხშირია პროვინციაში მცხოვრებ შვილებისა და შვილიშვილების მხრიდან, ვიდრე დიდ ქალაქებში მცხოვრებთაგან.

კონტაქტების სიხშირეზე გავლენას ახდენს დასაქმება. კერძოდ, დასაქმებულნი ძირითადად თვეში ან კვირაში ერთხელ ნახულობენ მშობლებს, როცა უმუშევრებში ყოველდღიური კავშირი მეტად აღინიშნება. უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ დაუქორწინებელთა კონტაქტი უფრო ხშირია ბებია-ბაბუებთან, ვიდრე დაქორწინებულებისა.

საგულისხმოა, რომ ქალებისა და მამაკაცების კონტაქტების სიხშირე მშობლებთან თითქმის ერთნაირია, ბებია ბაბუებთან, კი – მამაკაცებისა მეტია. ტელეფონით კონტაქტიც მამაკაცებში 2-ჯერ მეტია ქალებისაზე. მაშინ, როცა, უცხოური გამოკვლევებით სხვა შედეგია მიღებული. მაგალითად, ფრანგი მკვლევარი დ. შოფო, მიუთითებს, რომ საფრანგეთში გეოგრაფიული სიახლოვის მიუხედავად, ქალები მამაკაცებზე უფრო ხშირად ნახულობენ მშობლებს და ტელეფონითაც ისინი უფრო ხშირად უკავშირდებიან მათ[8]. ქალიშვილებისა და დედების ურთიერთობათა განსაკუთრებულ სიახლოვეზე მიუთითებენ ნიდერლანდელი მკვევარებიც[9].

ზოგადად, კონტაქტების სიხშირე უამრავ (გეოგრაფიულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ) ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორთა გამოკვლევა შემდგომი კვლევის საგანია. სამწუხაროდ, აღნიშნული სახის კვლევა პირველად ჩატარდა, რაც არ გვაძლევს საშუალებას არსებული მდგომარეობა წინანდელს შევადაროთ და თაობათაშორისი კონტაქტების სიხშირეში ცვლილებები განვსაზღვროთ. თუმცა, ვფიქრობთ ამ კვლევამაც გარკვეული საწყისები შექმნა მომავალში საკითხის უფრო კომპლექსური შესწავლისათვის.

რესპონდენტთა უმრავლესობა, მათ შორის, უფრო მეტად ახალგაზრდები აცნობენ თავის მეგობრებს ბებია-ბაბუებს და ამავე დროს თვლიან, რომ პოულობენ ბევრ საერთოს მოხუცებთან. კვლევამ გამოავლინა, აგრეთვე, რომ მათი უმეტესობის დამოკიდებულება მოხუცთა ქცევისადმი ნებისმიერ ვითარებაში თავშეკავებულია. მათგან 66%-სათვის მოხუცი, მიუხედავად მისი ქცევისა, მუდმივ პატივისცემას იმსახურებს, მხოლოდ 2,5% აღნიშნა, რომ ის ვერ იტანს მის სასაცილო თუ მიუღებელ ქცევას.

რესპონდენტთა უმნიშვნელოვანესი ნაწილი ღებულობს და ცდილობს მეტად აღარ დაიმსახუროს კრიტიკული შენიშვნა ბებია-ბაბუებისაგან. ყოველი მეექვსე სთხოვს მას თავი დაანებონ; უმცირესობისათვის (9,8%) კი მიღებული შენიშვნა არ არსებობს, თითქოს, არც არავის გამოუთქვამს ის.

კითხვაზე, „როგორ რეაგირებენ მოხუცები თქვენს მიუღებელ საქციელზე?“ რესპონდენტთა 62% უპასუხა, რომ „რჩევას მაძლევენ“, ყოველი მეხუთე აღნიშნავს, რომ მოხუცები თავშეკავებულნი არიან და არ რეაგირებენ.

ტრადიციულად, ხანდაზმულობა და სიბერე ასოცირდება გამოცდილებასთან, ცხოვრებისეულ სიბრძნესთან. უფროსი ასაკის ადამიანები ის ასაკობრივი კონტინგენტია, რომლიც, შესაძლებელია, სრულყოფილად ვერ იყენებს უახლეს ტექნოლოგიებს, მაგრამ ფლობს ადამიანებთან ურთიერთობის, სოციალური კავშირების გამოყენების მდიდარ ცოდნას. ამიტომ რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, უფროსი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა მათთვის სასარგებლოა, რადგან მათგან იღებენ სასარგებლო რჩევებს, უადვილდებათ მომავალ პრობლემებში გარკვევა(55%). გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (38,3%) კი აღნიშნა, რომ მოხუცები მათში დადებით ემოციებს იწვევენ და უყვართ ისინი. მხოლოდ 6% მიუთითა, რომ მოხუცებთან ურთიერთობა მათ აღარაფერს აძლევთ (ისინი, ძირითადად, 45-55წლის ასაკობრივი ჯგუფია), უმნიშვნელო ნაწილისათვის (0,7%) კი – ისინი მხოლოდ უარყოფითი განწყობას ქმნიან.

ცნობილია, რომ საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარება და ეროვნული ტრადიციები განსაზღვრავს უფროსი ასაკის ადამიანთა ადგილს ოჯახში. ოჯახური ურთიერთობები ხანდაზმულთა სიცოცხლისუნარიანობის წყაროა, პენსიაზე გასვლით დაკარგული სოცილაური კავშირების კომპენსაციაა. ნაწილი თავის ფუნქციას ოჯახის დამხმარედ ხედავს, ნაწილი ცდილობს სამეურნეო აქტივობა საზოგადოებრივი აქტივობით შეცვალოს, ნაწილს კი მიაჩნია, რომ ხანგრძლივი შრომის შემდეგ ღირსეულად იმსახურებს დასვენებას და თუ განვითარებული ქვეყნების მსგავსად საპენსიო უზრუნველყოფა საშუალებას მისცემს, სურს, მნიშვნელოვანი დრო ტურისტულ მოგზაურობასა და კულტურულ აქტივობას დაუთმოს.

ჩვენს მიერ ჩატარებული 2004-2009წწ. წინა საპენსიო ასაკის (50-64წლის) მოსახლეობის გამოკვლევისას, რესპონდენტთა უმრავლესობამ უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა შემდეგი მოსაზრების მიმართ: პენსიონერი უნდა იჯდეს შინ და ახალგაზრდებს მიეხმაროს ბავშვების აღზრდაში. ამ დამოკიდებულებას რესპონდენტები ხსნიდნენ იმით, რომ ოჯახის მცირეშემოსავლიანობის გამო, მათი დასაქმება საჭიროა. 2013 წელს ჩატარებულმა ზემოთ აღნიშნულმა კვლევამ კი გამოავლინა, რომ ახალგაზრდები და შუა ასაკის ადამიანები ხანდაზმულის ფუნქციას სხვაგვარად უყურებენ. კერძოდ, კითხვაზე, ”რაა ხანდაზმულის ძირითადი ფუნქცია, რით შეიძლება ის იყოს დაკავებული”, რესპონდენტთა თითქმის ნახევარმა უპასუხა, რომ შვილიშვილების აღზრდით, ყოველმა მეხუთემ – ცხოვრებისეული გამოცდილების სხვაზე გადაცემით, დაახლოებით ამდენივემ მათ ფუნქციად საოჯახო საქმეებში დამხმარედ ყოფნა მიიჩნია.

საგულისხმო ფაქტია, რომ ახალგაზრდა და ზრდასრული თაობა ხანდაზმულთა თაობას „დასვენებისათვის“ ვერ იმეტებს. გარდა ამისა, ის ვერ ხედავს ხანდაზმულის ადგილს შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში და თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნია მისი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობით დაკავება. ქართული ოჯახისადმი დამახასიათებელი ცენტრისტული დამოკიდებულება შვილისადმი, მოწიფულობის ასაკში გადადის ცენტრისტულ დამოკიდებულებაში შვილიშვილისადმი. შვილი არამარტო ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ითხოვს მშობლის განსაკუთრებულ ყურადღებას, არამედ შრომის ასაკშიც, საკუთარი შვილის, ანუ შვილიშვილების აღზრდასა და საოჯახო საქმეებში დახმარებისათვის. მაშინ, როცა საპენსიო ასაკის მიღწევისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უფროსი თაობის ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებაში დამკვიდრებული ადგილის შენარჩუნებას გეგმავს. მოტივი, რომ ოჯახს სჭირდება მათი შემოსავალი, უსაფუძვლო არაა, მაგრამ, ამასთან ერთად, ხანდაზმულებს ფარულად საკუთარი ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების სურვილიც ამოძრავებთ.

ბუნებრივია, ეს გარკვეულ დაძაბულობას ქმნის თაობათა ურთიერთობაში. ოჯახში გამწვავებულ ურთიერთობათა არსებობას უფრო მეტად ქალები და შუა ასაკის ადამიანები შენიშნავენ (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რერესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „თაობებს შორის გამწვავებული ურთიერთობაა?“ პასუხების მიხედვით(%)



მეტად საგულისხმოდ განაწილდა რესპონდენტთა პასუხები იმ კითხვაზე, რომელიც თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობებში ახალგაზრდებისა და მოხუცების პასუხისმგებლობას შეეხებოდა. გამოკითხულებმა ცალმხრივად არ შეაფასეს ეს ურთიერთობები და პასუხისმგებლობა თანაბრად გადაანაწილეს თაობებს შორის (დიაგრამა 3).

აღსანიშნავია ისიც, რომ თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობებში ქალებზე მეტად, მამაკაცებმა (განსაკუთრებით ახალგაზრდა კონტინგენტმა) ახალგაზრდებს დააკისრეს პასუხისმგებლობა.

როგორც ცნობილია, ახალი სახელმწიფოს ფორმირებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის პერიოდში პენსიონერთა ცხოვრების დონე გაუარესდა. მათი პენსია საარსებო მიმიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საერთოდ, პენსიონერის მოხმარება მეტია შრომის ასაკის პირის მოხმარებაზე, ცხადია გასაკვირი არც შეიძლება ყოფილიყო ის, რომ საზოგადოების ეს ფენა ყველაზე მეტად მოხვდა ღარიბთა შორის. ბუნებრივია ხანდაზმულთა შენახვაზე პასუხისმგებლობა ოჯახმა აიღო. შესაბამისად, 2009 წელს ოჯახურ ურთიერთობაზე ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ უფროსი ასაკის ადამინებს მიაჩნიათ:

დიაგრამა 3. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „ვინ არის დამნაშავე თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობებში, მოხუცები თუ ახალგაზრდები?" პასუხების მიხედვით(%).



- საჭიროების შემთხვევაში ოჯახში მათ მოვლაზე შვილებმა უნდა იზრუნონ;

- იმ შემთხვევაში თუ ისინი საკუთარი თავის მოვლას ვერ შეძლებენ, შვილებთან ერთად უნდა იცხოვრონ;

- იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფინანსურ გაჭირვებას განიცდიან, შვილები უნდა დაეხმარონ მათ, მაგრამ ამავე დროს, სიღარიბის პირობებში მცხოვრებ მოხუცებულთა ფინანსური მხარდაჭერის ვალდებულება უნდა იკისროს საზოგადოებამ[7].

ახალგაზრდებისა და შუა ასაკის ადამიანების მხრიდან იგივე განწყობა დადასტურდა 2013 წელს ჩატარებული კვლევითაც. კითხვაზე: ”პირველყოვლისა ვინ უნდა იზრუნოს ხანდაზმულებზე?”, რესპონდენტთა პასუხებში გამოიკვეთა აზრი, ოჯახისა და სახელმწიფოს თანაბარ პასუხისმგებლობაზე (დიაგრამა 4). ეს მაშინ, როცა სოციალური გერონტოლოგიის წარმომადგენელთა მიერ 2002 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 74% ხანდაზმულთა და მოხუცთა სოციალური დაცვის პასუხისმგებლობას მხოლოდ სახელმწიფოს აკისრებდა[10].

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ცხოვრებისას საზოგადოება მიხვდა, რომ არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობის დროს, მხოლოდ სახელმწიფო უზრუნველყოფის იმედზე ყოფნა, სტაბილურობის განცდას არ იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პენსია უკვე გაუთანაბრდა ქვეყანაში არსებულ საარსებო მინიმუმს, უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში უფროსი ასაკის ადამიანთა ცხოვრების დონე მაინც უკიდურესად დაბალია.

დიაგრამა 4. რესპონდენტთა განაწილება კითხვაზე: „პირველყოვლისა, ვინ უნდა იზრუნოს ხანდაზმულზე?“ პასუხების მიხედვით(%)



ბუნებრივია, მათ სჭირდებათ დამატებითი დახმარება. კვლევით გამოვლინდა, რომ პირველყოვლისა ეს დახმარება მიმართული უნდა იყოს სამედიცინო, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ვფიქრობთ, ეს

გასათვალისწინებელია სოცილური დაცვის სისტემის რეფორმირებისას.

საბოლოოდ, ოჯახში თაობათა ურთიერთობის კვლევამ გვიჩვენა, რომ:

- ზრდასრული შვილებისა და შვილიშვილების კონტაქტი მშობლებთან და ბებია-ბაბუებთან რეგულარულია და რესპონდენტთა უმრავლესობა მინიმუმ თვეში ერთხელ მაინც ხვდება მათ;
- კონტაქტების სიხშირე უფრო ინტენსიურია პატარა ქალაქში მცხოვრებ შვილებისა და შვილიშვილებისმხრიდან, ვიდრე დიდ ქალაქში მცხოვრებთაგან;
- დადგინდა, რომ დასაქმება გავლენას ახდენს კონტაქტების სიხშირეზე. კერძოდ, დასაქმებულნი ძირითადად თვეში, ან კვირაში ერთხელ ნახულობენ მშობლებს, როცა უმუშევრებში ყოველდღიური კავშირის სიხშირე მეტია;
- ქორწინებითი მდგომარეობის ზეგავლენა კონტაქტების ინტენსიურობაზე გამოიხატება იმით, რომ დაუქორწინებელთა კონტაქტი უფრო ხშირია ბებია-ბაბუებთან, ვიდრე დაქორწინებულებისა;
- ქალებისა და მამაკაცების კონტაქტების სიხშირე მშობლებთან თითქმის ერთნაირია, თუმცა ბებია - ბაბუებთან მამაკაცებისა მეტია. ამასთან, ტელეფონით კონტაქტიც მამაკაცებში 2-ჯერ მეტია ქალებისაზე;
- შვილიშვილი აქტიურად აცნობს თავის მეგობრებს ბებია-ბაბუებს და თვლის, რომ პოულობს საერთოს მოხუცებთან. კვლევამ აჩვენა, აგრეთვე, რომ ახალგაზრდების უმეტესობის დამოკიდებულება მოხუცთა ქცევისადმი ნებისმიერ ვითარებაში თავშეკავებულია. მოხუცების პოზიტიური დამოკიდებულება კი რჩევის მიცემით განისაზღვრება;
- რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, უფროსი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა მათთვის სასარგებლოა, რადგან მათგან იღებენ სასარგებლო რჩევებს, უადვილდებათ მომავალ პრობლემებში გარკვევა (55%). გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (38,3%) კი

აღნიშნა, რომ მოხუცები, უბრალოდ, მათში დადებით ემოციებს იწვევენ და უყვართ ისინი;

- ხანდაზმულის ძირითად ფუნქციად მიჩნეული იქნა შვილიშვილების აღზრდა, ცხოვრებისეული გამოცდილების სხვაზე გადაცემა და საოჯახო საქმეებში დამხმარედ ყოფნა;
- ახალგაზრდა და ზრდასრული თაობა ხანდაზმულ თაობას დასვენებისათვის ვერ იმეტებს. გარდა ამისა, ის ვერ ხედავს ხანდაზმულის ადგილს შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში და თითქმის წარმოუდგენლად მიაჩნია მისი აქტიური საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საქმიანობით დაკავება;
- ოჯახში გამწვავებულ ურთიერთობათა არსებობას უფრო მეტად ქალები და შუა ასაკის ადამიანები მიუთითებენ;
- თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობებში ახალგაზრდებისა და მოხუცების პასუხისმგებლობა გამოკითხულებმა თანაბრად გადაანაწილეს თაობებს შორის;
- თაობათაშორის გამწვავებულ ურთიერთობებში ქალებზე მეტად, მამაკაცებმა (განსაკუთრებით ახალგაზრდა კონტინგენტმა) ახალგაზრდებს დააკისრეს პასუხისმგებლობა;
- კვლევით გამოვლინდა, რომ ხანდაზმულთა დახმარება უპირატესად მიმართული უნდა იყოს სამედიცინო, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურებისაკენ, რაც გასათვალისწინებელია სოცილური დაცვის სისტემის რეფორმირებისას;
- საბოლოოდ, ამ კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დემოგრაფიული დაბერების მოცემულ ეტაპზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი ხანდაზმულობის ასაკშია, თაობათაშორისი ურთიერთობა მყარ ტრადიციულ ურთიერთობებზეა აგებული და მიუხედავად ახალგაზრდა თაობის ახალი ფასეულობებით გაჯერებული ცხოვრებისაკენ სწრაფვისა, თაობათაშორის არსებულ კონფლიქტს საქართველოში, ჯერჯერობით, გამწვავებული გამოხატულება არ აქვს;
- ხანდაზმულთა რიცხოვნობის ზრდას ქვეყანაში თვით ეკონომიკური კრიზისის პირობებშიც კი არ შეურყევია

საუკუნეების განმავლობაში ფორმირებული სოლიდარული ურთიერთობები თაობათა შორის; ფრანგი მხატვრის ჟ. გრეზის ფერწერულ ტილოში („სამი ასაკი“) გამოხატული იდეა „მე შენ გატარებდი, შენ მე მატარებ, ის შენ გატარებს“, ჯერჯერობით, კვლავაც ცოცხალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. მეცნიერება, თბილისი. 1973. გვ.174
2. დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. საბჭოთა საქართველო. თბილისი. 1984. გვ.553.
3. ყველაფერი წიგნებზე. http://blog.leaf.ge/directory=blog/article
4. გურამთევზაძე. ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება. http://burusi.wordpress.com/2010/10/27/guram-tevzadze/
5. ნ. თავდგირიძე. ჩვენი ახალი თაობის უკუღმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები. გაზ. „კოლხიდა“. ქუთაისი 1911 წ. 18-24 აგვისტო.
6. მ. ი. საღარაძე. ჩვენი ახალი თაობა: კრიტიკული მიმოხილვა. (ი. კილაძის და ი. ხელაძის სტ.). ქუთაისი, 1897. გვ.40-42.
7. ი. ბადურაშვილი, ე. კაპანაძე, შ. წიკლაური. ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება საქართველოში. გამოკვლევის მეორე ტალღის ანგარიში.თბილისი, UNFPA. 2010. გვ.72-73.
8. D. Chauffaut.(2001).L’évolution des relations entre générations dans un contexte de mutation du cycle de vie / CREDOC, novembre.pp.55, 49.
9. Susan ter Bekke, Pearl Dykstra, Tineke Fokkema. Solidarity between parents and adult children in Europe: intra- and inter country variation of intergenerational solidarity and its determinants. http://epc2008.princeton.edu/papers/80325
10. პენსიონერთა უფლებები, სახელმწიფო ვალდებულებები (სიმპოზიუმის მასალები). თბილისი, 2002. გვ. 9.
11. Kurt Lüscher, Ludwig Liegle, Andreas Lange, Andreas Hoff, Martine Stoffel, Gil Viry et Eric Widmer. Générations,relation sintergenerationnelles, politiques des générations. Bern.2010. http://www. sagw.ch.pp.62-63.

Mzia Shelia

Attitude Towards Older Generation in Family

Abstract

The work presents the results of the selective-sociological research conducted by the Institute of Demography and Sociology of Georgiain 2013. The research, inter alia, aimed at studying intergenerational family relationships, in particular, the issue of intergenerational relationships between adult children and their parents, and grandchildren and their grandparents. The present work discusses a number of issues, including the influence made by the demo-economic transformation developed in the country in the post-Soviet period on the intergenerational proximity, the relationships between various generations. It has been identified that at this stage of demographic aging, when one fifth of the country's population is aged, intergenerational relations have been founded on stable traditional relationships. Given the economic crisis developed in the country over the past two decades, the rise in the number of the elders has not undermined the solidary relationships established between the generations.

შორენა წიკლაური

სელექციური აბორტები საქართველოში – მითი თუ რეალობა?!

სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა, როგორც ხშირად მას უწოდებენ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა დაბადებისას წარმოადგენს ბიჭებისა და გოგონების რაოდენობის თანაფარდობას ცოცხლად დაბადებულთა შორის, ანუ 100 გოგონაზე რამდენი ბიჭი მოდის. როგორც წესი ეს მაჩვენებელი ძალიან ახლოს არის 105-თან (Hardy 2002: 288), თუმცა ის ქვეყნების მიხედვით შეიძლება მერყეობდეს 103-სა და 107-ს შორის. მეორეული სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებელი თუ აჭარბებს 107-ს ითვლება, რომ ის „მნიშვნელოვნად“ არის გადახრილი ნორმისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებით (Chahnazarian, 1988).

ლიტერატურაში ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევისა მიჩნეულია ოჯახებში შვილი – ვაჟისათვის უპირატესობის მინიჭება, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ბავშვთაშობის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. აზიის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის დიდ ქვეყნებში (Filmer, Friedman and Schady, 2008) ოჯახები აჩენენ შვილებს მანამ სანამ არ ეყოლებათ ვაჟი, ხოლო შემდეგ წყვეტენ ბავშთაშობის პროცესს (Widmer, McClelland and Nickerson, 1981).

სპეციალისტები გამოყოფენ სამ ძირითად ფაქტორს, რაც ხელს უწყობს სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობის ზრდას აზიის ქვეყნებში: 1) ულტრაბგერითი გამოკვლევები, რაც საშუალებას იძლევა ორსულობის ადრეულ სტადიაში დადგინდეს ნაყოფის სქესი და ამის შედეგად მოხდეს შერჩევითი (სელექციური) აბორტები არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების მიზნით (Arnold et al., 2002; Belanger, 2002a; Mason and Bennett, 1977); 2) მდედრობითი სქესის ცოცხლად დაბადებულების არასრული რეგისტრაცია (Lai, 2005); 3) ქალთა ჭარბი მოკვდაობა

ადრეულ ბავშობაში, განსაკუთებით ნეონატალური მოკვდაობა (Kana Fuse and Crenshaw, 2006; Wu, Viisainen and Hemminki, 2006). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები (განსაკუთრებით მესამე) ბოლომდე არ არის შესწავლილი და დღესაც წარმოადგენს სპეციალისტებს შორის განხილვის საგანს.

მეცნიერები ასკვნიან, რომ როდესაც პირველი შვილი არის ბიჭი, ინტერვალი პირველ და მეორე შვილს შორის საშუალოდ 3 თვით მეტია, ვიდრე როდესაც პირველი შვილი არის გოგონა (Westoff et al., 1961). ამერიკელმა მკვლევარებმა ჩაატარეს გამოკვლევა, სადაც გამოიკითხეს კოლეჯის მოსწავლეები, მათ მომავალ ოჯახებში პირველი შვილის სქესის უპირატესობის მინიჭების გამოსავლენად, ანუ მომავალ ოჯახებს პირველი შვილი ბიჭი სურდათ, თუ გოგონა. მათი კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ერთი შვილის ყოლის შემთხვევაში მამაკაცების 91%-ს და ქალების 66%-ს სურდათ ყოლოდათ ბიჭი, სხვა ვითარებაში (ანუ თუ ეყოლებოდათ ერთ შვილზე მეტი), 60%-მა აღნიშნა, რომ პირველი შვილი სურდათ ყოლოდათ ბიჭი, 5%-მა მიუთითა გოგონა, ხოლო დანარჩენისთვის პირველი შვილის სქესს არ ჰქონდა მნიშვნელობა (Dinitz et all., 1964). 1971 წელს ჩატარებულ კვლევაშიც აღმოაჩინეს მსგავსი ტენდენცია, როდესაც კოლეჯის მოსწავლეების 79%-ს სურდა პირველი შვილი ბიჭი, მაშინ როცა მხოლოდ 8%-ს სურდა გოგონა, დანარჩენებისათვის კი ბავშვის სქესს არ ჰქონდა მნიშვნელობა (Markle and Nam, 1971). აქედან გამომდინარეობს, რომ ოჯახის დაგეგმვისას წყვილები უპირატესობას ანიჭებენ ბიჭ-შვილს (Markle, 1974).

1980-იან წლებში საქართველოშიც ჩატარდა გამოკვლევა, რომელიც შეისწავლიდა ანალოგიურ საკითხებს: გამოიკითხა 6 წლისა და უფროსი ასაკის სკოლის მოსწავლეები, რომლის შედეგებმაც აჩვენა, რომ პირველი შვილის სქესის განსაზღვრისას, პატარა ასაკში რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ საკუთარი სქესის შვილს, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად უპირატესობა ენიჭება მამრობითი სქესის შვილს (წულაძე, 1986).

რეპროდუქციული განზრახვები ძირითადად გავლენას ახდენს ქვეყნის შობადობის დონის განსაზღვრაზეც.

1990-იანი წლებიდან, საქართველოში სქესთა მეორეული თანაფარდობა მნიშვნელოვნად გაიზარდა (ოფიციალური

სტატისტიკური მონაცემებით გადააჭარბა 107 ბიჭს 100 ცოცხლად დაბადებულ გოგონაზე). უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის სტატისტიკა ბოლო პერიოდამდე იყო საკმაოდ არასრული, ეს ეხება როგორც დაბადებულების, ისე გარდაცვლილების რაოდენობას, მათ შორის ჩვილთა მოკვდაობას. რა თქმა უნდა, ეს გარკვეულწილად გავლენას ახდენდა სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაზეც.

დიაგრამა 1. სქესთა მეორეული თანაფარდობა საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შენიშვნა: წყვეტილი ხაზით (....) – აღნიშნულია სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის „ნორმა“.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საქართველოს შემთხვევაში დაფიქსირდა 2008 წელს – 127.7, ხოლო 2009 წელს დაფიქსირდა 104.5, ასეთი ცვალებადობა (მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის) შეუძლებელია ფიქსირდებოდეს დროის მცირე მონაკვეთში. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში არ მომხდარა რაიმე განსაკუთრებული მოვლენა, რითიც შესაძლებელია აიხსნას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ნორმიდან გადახრა. აღნიშნული შეიძლება გამოწვეული იყოს ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების არასრული აღრიცხვით.

აღსანიშნავია აგრეთვე 1996-2002 წლის მაჩვენებლები, რომლებიც 111.0-ია. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ 2002 წლის აღწერის შემდეგ მოხდა აღწერათაშორისი პერიოდის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემების გადაანგარიშება და

შესაბამისად შეიცვალა დაბადებულთა რაოდენობა სქესის მიხედ-ვით, გამომდინარე ერთწლამდე ასაკის მოსახლეობის სქესიდან.

დიაგრამა 2. სქესთა მეორეული თანაფარდობა საქართველოში სხვადასხვა წყაროს მიხედვით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; Tsuladze G. Maglaperidze N., Vadachkoria A., 2001. Demographic Yearbook of Georgia

როგორც ჩანს, პრობლემები სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის მაჩვენებლებში არსებობს 1990-იანი წლების დასაწყისიდან, ამ პერიოდიდან მოსახლეობის სტატისტიკაში არსებობს გარკვეული პრობლემები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაბადებულების მოცვა სქესის მიხედვით იყო არასრული.

საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებიდან ჩანს, რომ აბორტი მიიჩნევა შობადობის კონტროლის ძირითად მეთოდად (ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010 (GeoRHS-2010)) და ბიჭი-შვილი უფრო „ფასეულია“. ამასთან, თანამედროვე ულტრა-ბგერითი ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი გახდა ნაყოფის სქესის დადგენა ორსულობის ადრეულ სტადიაზე, რის შედეგადაც არასასურველი სქესის მოშორების მიზნით გაკეთებული აბორტი (ანუ აბორტი გაკეთებული სქესის შერჩევის მიზნით) გახდა უფრო გავრცელებული ბოლო პერიოდში (Duthe et all., 2012; Meslé et all., 2007). აღნიშნულს მართლაც აქვს ადგილი საქართველოში, თუმცა

სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის „დარღვევის“ ძირითად მიზეზს, ჩვენი აზრით, წარმოადგენს დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა. ისევე როგორც, ოფიციალური მონაცემები აბორტების შესახებ არ არის სრული და ამასთანავე არ გვაძლევს ინფორმაციას აბორტის მიზეზების შესახებ. ამ საკითხების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ დემოგრაფიული და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების მეშვეობით, რომლებიც დეტალურად შეისწავლის როგორც მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე აბორტების გამომწვევ მიზეზებსაც.

1990-იანი წლებიდან, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ჩატარებული დემოგრაფიული გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს შევადაროთ აბორტების დონე ოფიციალური სტატისტიკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს.

ცხრილი 1. ცოცხლად დაბადებულების რაოდენობა და აბორტის ზოგადი კოეფიციენტები (15-49 წლის ასაკის 1000 ქალზე) საქართველოში

	აბორტის ზოგადი კოეფიციენტები			ცოცხლად დაბადებულების რაოდენობა		
	1999-2001	2003-2005	2008-2010	1999-2001	2002-2004	2008-2010
ოფიციალური მონაცემები	17.7	14.6	19.3	48361	47457	60842
კვლევის მონაცემები	125	104	56	53110	52695	67907

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში – 2005, 2010

როგორც ვხედავთ, ოფიციალური მონაცემები და გამოკვლევის შედეგად მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მიიჩნევა, რომ გამოკვლევის შედეგები იძლევა უფრო რეალურ სურათს როგორც აბორტების, ისე ცოცხლად დაბადებულთა დონის შესაფასებლად, ვიდრე მიმდინარე ოფიციალური სტატისტიკა. 2010 წელს, საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის

მიხედვით, აბორტის მიზეზებს შორის 1.4% შეადგენს სქესის შერჩევის მიზნით გაკეთებულს ე.წ. სელექციურ აბორტს (GeoRHS-2010) და ის გაცილებით ნაკლებია სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, სადაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა აზერბაიჯანში – 3.3%, სომხეთში – 9.1%, (AzDHS-2006, ArDHS-2010). ამასთანავე უნდა აღინიშნოს რომ, აღნიშნულ პერიოდში სქესთა მეორეული თანაფარდობის კოეფიციენტი საკმაოდ არამყარია და არარეალურიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაჩვენებლების ასეთი ცვალებადობა ძირითადად გამოწვეული უნდა იყოს არასრული აღრიცხვით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მიხედვით, საქართველოში აბორტის მიზეზებს შორის 1.4% გაკეთებულია სქესის შერჩევის მიზნით. ამასთან, აბორტების ზოგადი კოეფიციენტი (15-49 წლის ასაკის 1000 ქალზე გაკეთებული აბორტების რაოდენობა) შეადგენდა 56‰-ს, ანუ დაახლოებით 52881 აბორტს. სპეციალური გაანგარიშებებიდან გამომდინარეობს, რომ არასასურველი სქესის გამო 2008-2010 წლებში გაკეთდა საშუალოდ ყოველწლიურად 740 აბორტი. ამასთან, ამავე წლებში, იგივე კვლევის მონაცემების საფუძველზე საშუალოდ წლიურად ცოცხლად დაბადებულების რაოდენობამ შეადგინა 67907, რაც 10.4%-ით მეტია ამავე წლებში ოფიციალური სტატისტიკის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებზე.

საქართველოში, ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2008-2010 წლებში, ცოცხლად დაბადებულების რაოდენობამ შეადგინა საშუალოდ წლიურად 60842, მათ შორის 32198 ბიჭი და 28648 გოგონა, რაც შეადგენს 100 ცოცხლად დაბადებულ გოგონაზე 112.4 ბიჭს. თუ დავუშვებთ, რომ სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობა არ არის დარღვეული ანუ შეადგენს 105.8-ს, მაშინ 2008-2010 წლებში ცოცხლად დაბადებულების რაოდენობა სქესის მიხედვით უნდა ყოფილიყო 31273 ბიჭი და 29569 გოგონა, რაც 925-ით განსხვავდება არსებული მონაცემებისაგან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 2008-2010 წლებში საშუალოდ წლიურად დაიბადა „925 ბიჭით მეტი“. როგორც აღინიშნა მოტანილი ეფუძნება ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს. რაც შეეხება რეპროდუქციული ჯანმრთელობის

კვლევიდან გამომდინარე შედეგებს, ამ შემთხვევაში სურათი შემდეგნაირად გამოიყურება: რეალურად უნდა დაბადებულიყო 34904 ბიჭი და 33003 გოგონა (სულ 67907), შესაბამისად არასრული აღრიცხვის წილი გოგონებში შეადგენს 13.2%, ხოლო ბიჭებში 7.8%.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის „დარღვევის“ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ხარვეზები მოსახლეობის სტატისტიკაში, თუმცა გარკვეულწილად ადგილი აქვს სელექციურ აბორტებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე გ., 1986 – შობადობის პრობლემა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე (საქარტველოს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე). ავტორეფერატი. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი (რუსულად).
2. ცხოვრებაძე ზ., 1993 – რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების თავისებურებანი (თბილისის მაგალითზე). დისერტაცია ეკ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
3. ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010 (GeoRHS-2010).
4. Chahnazarian, A., 1988 - Determinants of the sex ratio at birth: review of recent literature. Social Biol., 35, 214–235.
5. Gustavus,O. Susan., 1968 - The formation and stability of ideal family size norms among young people, Unpublished doctoral dissertation, Florida State University.
6. Gustavus, O. Susan. and Charles B. Nam., 1970 - THE FORMATION AND STABILITY OF IDEAL FAMILY SIZE AMONG YOUNG PEOPLE. in DEMOGRAPHY, Volume 7, Number 1.
7. James W. 2009. The variations of human sex ratio during and after wars, and their potential explanations, Journal of Theoretical Biology, 257: 116-123.
8. Meslé F., Vallin J., and Badurashvili I., 2007 – A sharp increase in Sex Ratio at Birth in the Caucasus. Why? How?, in: Attané I. and

Guilmondo C.Z. (eds.) Watering the Neighbour's Garden: the Growing deficit in Asia, p. 73-88, Committee for International Cooperation in National Research in Demography, Paris, 425 p.
9. Pörtner, Claus C. 2010. Sex Selective Abortions, Fertility and Birth Spacing, working paper (May 25, 2010), University of Washington – Department of Economics.
10. Serbanescu, F., Morris, L., Nutsubidze, N., Imnadze, P., and Shaknazarova, M., 2001 – Women´s reproductive health survey Georgia, 1999-2000: Final report. Atlanta, Georgia: Centers for Disease Control and Prevention.
11. Serbanescu, F., Imnadze, P., Bokhua, Z., Nutsubidze, N., Jackson, D.B., and Morris, L., 2007 – Reproductive health survey Georgia, 2005: Final report. Atlanta, Georgia: Centers for Disease Control and Prevention.

Shorena Tsiklauri

Selective abortion in Georgia – Is it reality?!

Abstract

Sex ratio at birth (SRB) in Georgia has increasing significantly since 1990's. Some experts argue thatone of the most plausible underlying causes for artificially high SRB is a sex-selective abortion.

In the recent period, some demographic and reproductive health surveys show that share of sex-selective abortion in the total number of abortions is too small and it could not caused this increased level of SRB. This is mainly caused by incomplete data of vital statistics in Georgia.

ვანო შუშტაკაშვილი
შორენა წიკლაური

შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში

თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს შობადობს დონის შემცირება. რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მრავალი მიზეზის გამო. თუმცა შობადობის შემცირების ძირითად მიზეზად მიჩნეულია ოჯახში „ბავშვების ყოლის მოთხოვნილების“ შემცირება. ბავშვების გაჩენა ბილოგიური შინაარსის მქონეა, ბავშვების ყოლა კი სოციალური შინაარსის და გულისხმობს ბავშვების ყოლის ფასეულობას, მათდამი მისწრაფებას. “ბავშვების ყოლის მოთხოვნილება” აერთიანებს როგორც ბიოლოგიურ, ისე სოციალურ ელემენტებს.

თანამედროვე საზოგადოებაში, ადამიანებისათვის უფრო მეტად ფასეული ხდება თვითაქტივობა, თვითკმაყოფილება, პრესტიჟი, წარმატება და სხვა მსგავსი მისწრაფებები, რასაც სადღეისოდ შეიძლება მეტი ფასეულობა გააჩნდეს, ვიდრე ბავშვებს. ამიტომ ადამიანები უფრო მეტად არიან ორიენტირებული აღნიშნული მისწრაფებების მოპოვებისაკენ, ვიდრე ბავშვების ყოლისაკენ.

შობადობის კლების რეალური მიზეზების შესწავლა ყოველთვის წარმოადგენდა მეცნიერების ინტერესის საგანს. სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური მიზეზების გარდა დემოგრაფების კვლევის ობიექტს წლების მანძილზე წარმოადგენდა ამა თუ იმ საზოგადოების რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები. უფრო კონკრეტულად, მოსახლეობის მოსაზრება იმის შესახებ თუ ბავშვების რა რაოდენობა არის იდეალური მათი და ზოგადად საშუალოდ ოჯახებისთვის (Freedman and Sharp, 1954; Whelpton, Campbell, and Patterson, 1966; Westoff, Potter, and Sagi, 1963; Blake, 1966). თანამედროვე საზოგადოებაში შობადობის კონტროლის ხელმისაწვდომობამ კონტრაცეპტივებითა და აბორტებით შესაძლებელი გახადა ოჯახში

ბავშვების იდეალური და ფაქტობრივი რაოდენობის თითქმის გათანაბრება.

როგორც ცნობილია, მოსახლეობას ბავშვების იდეალურ და სასურველ რაოდენობაზე შეხედულებები უყალიბდებათ ადრეულ ბავშობაში. ამის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მათი რელიგია, ეთნიკური წარმომავლობა, სკოლა, საზოგადოება და ა.შ. (Westoff and Potvin., 1966, p. 496). ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიის თანახმად, 5-6 წლის ასაკის ბავშვებს უკვე აქვთ თავიანთი შეხედულებები საგნებისა და მოვლენების ფარულ თვისებებზე. ამასთანავე, გოგონები უფრო ადრეულ ასაკში იწყებენ ფიქრს ბავშვების იდეალურ რაოდენობაზე, ვიდრე ბიჭები. ხოლო ბიჭების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო იდეალური რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე გოგონების (Gustavus, 1968). ოჯახში ბავშვების საშუალო რაოდენობაზე წარმოდგენის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ოჯახის ზომაც, რომელშიც ბავშვს უწევს ყოფნა.

1980-იანი წლების ბოლოს, საქართველოში ჩატარებული კვლევების (რომლის დროსაც გამოიკითხა 6 წლისა და უფროსი ასაკის მოსწავლეები) შედეგებმა აჩვენეს, რომ გამოკითხულ მოსწავლეების მშობლებს საშუალოდ ჰყავდათ 2.2 ბავშვი, ხოლო რესპონდენტების მიერ დასახელებული ბავშვთა სასურველმა რაოდენობამ საშუალოდ შადგინა – 2.9. სავარაუდოა, რომ გამოკითხულ მოსწავლეებს ეყოლებათ იმაზე ნაკლები შვილი, ვიდრე სურთ. რადგან სასკოლო ასაკის ბავშვებს ჯერ არ შეუძლიათ ისეთი ნეგატიური ფაქტორების (პირველადი და მეორეული უნაყოფობა და სოციალურ-ეკონომიური პირობები) გათვალისწინება, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი გავლენის მოხდენა მათ განზარახვებზე. აქედან გამომდინარე, მათ საშუალოდ ეყოლებათ იმაზე ნაკლები შვილი, ვიდრე ჰყავთ მათ მშობლებს (ცხოვრებაძე, 1993).

ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობაში რეპროდუქციული ქცევა მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი მშობლების რეპროდუქციული ქცევისაგან, როგორც ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობით (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი), ისე სტრუქტურული

მახასიათებლებით, როგორიცაა ასაკი და ქორწინებითი მდგომარეობა.

საქართველოში, 1990-იანი წლებიდან შობადობის დონე კლებულობს, ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი. ამასთან ერთად, მცირდება მესამე და მომდევნო რიგითობის დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულებს შორის. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ოჯახები ძირითადად ორიენტირებული არიან ორშვილიან ოჯახებზე და პრობლემა უკავშირდება ოჯახში მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვის ყოლას.

დიაგრამა 1. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 1970-იანი წლებიდან კლების ტენდენციით ხასიათდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოლო პერიოდს, როდესაც ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა წინა წლებთან შედარებით გაიზარდა.

აღსანიშნავია, 1990-იანი წლების დასაწყისი, როდესაც შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მკვეთრად შემცირდა. 1991-1993 წლებში ერთი ქალის მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა შემცირდა 2.1-დან 1.5-მდე და მთელი მომდევნო პერიოდის განმავლობაში იღებდა საკმაოდ დაბალ მნიშვნელობას.

ამასთან ერთად, შემცირდა შობადობის დონის განმსაზღვრელი სხვა ინდიკატორებიც, მესამე და მომდევნო რიგითობის ცოცხლად დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულებს შორის.

დიაგრამა 2. მესამე და მომდევნო რიგითობის ცოცხლად დაბადებულთა წილი ყველა დაბადებულებს შორის



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2009 წლიდან ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში შობადობის დონემ მოიმატა. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული ერთის მხრივ დაკავშირებულია უწმინდესი და უნეტარესი ილია-II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინიციატივასთან, რომლის მიხედვითაც პატრიარქი გახდება ნათლია მართმადიდებლურ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვის, ხოლო მეორეს მხრივ ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების რეგისტრაციის გაუმჯობესებასთან.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სანდოობა ყოველთვის იყო განხილვის საგანი, თუმცა 1990-იანი წლებიდან დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა მკვეთრად გაუარესდა. 1990-იანი წლებში ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ გამოიწვია მოსახლეობის რეგისტრაციის სისტემის მოშლა, არასრული გახდა დაბადებულებისა და გარდაცვლილების რეგისტრაცია,

განსაკუთრებით კი მიგრანტთა რეგისტრაცია გაუარესდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლიდან საქართველოში სავალდებულო გახდა დაბადებულებისა და გარდაცვლილების რეგისტრაცია, რამაც გამოიწვია ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხისა და სანდოობის გაუმჯობესება.

1990-იანი წლების დასაწყისში მოხდა შობადობის დონის მნიშვნელოვანი და არსებითი კლება და შემდგომ პერიოდში მისი გარკვეული სტაბილიზაცია იმ დონეზე, რომელიც საკმარისი არ არის მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისათვისაც კი, რის შედეგადაც გარკვეული დროის შემდეგ მომავალი თაობა ნაკლები აღმოჩნდება წინაზე. ამასთან ერთად, შემცირებულია რეპროდუქციული ორიენტაციებიც. საქართველოში ოჯახებს ყავთ და ორიენტირებულები არიან ორშვილიან ოჯახებზე.

უნდა აღინიშნოს რომ, შობადობის დონის კლების მიზეზების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევების მეშვეობით, რომლებიც დეტალურად შეისწავლის მოსახლეობის რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. 2013 წელს, საქართველოში ჩატარდა სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევა „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“, რომელის შედეგები სხვა საკითხებთან ერთად საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნას 18-49 წლის ქალებისა და მამაკაცების რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხები – ორიენტაციები, მოლოდინები და განზრახვები.

ნაშრომში, შესწავლილი იქნება საქართველოში შობადობის დონის კლების გამომწვევი მიზეზები, რეპროდუქციული ქცევა და ორიენტაციები სხვადასხვა დემოგრაფიულ, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით, გამოკვლევის „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“ შედეგების საფუძველზე.

როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენა, საქართველოში მამაკაცების და ქალების ,,ბავშვების ყოლის მოთხოვნილება”, საშუალოდ, მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვისაც კი არ არის საკმარისი. ზოგადად, მამაკაცების და ქალების რეპროდუქციული ორიენტაციები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. 18-49 წლის მამაკაცებს, საშუალოდ

ყავთ 0.93 შვილი, ქალებს კი –1.17, ხოლო სულ მოსალოდნელი შვილების რაოდენობა მამაკაცებისათვის საშუალოდ არის 2.51, ქალებისათვის კი – 2.31.

დიაგრამა 3. მამაკაცებისა და ქალების ბავშვების საშუალო რაოდენობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ახალგაზრდა ასაკში, როგორც ქალების ისე მამაკაცების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა ერთმანეთის მსგავსია. ამასთან ერთად, 45 წლის და უფროსი ასაკის ქალების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო ფაქტობრივი და სასურველი რაოდენობა მიახლოებულია ერთმანეთთან. ხოლო მამაკაცების ბავშვთა ყოლის მოთხოვნილება ბოლომდე რეალიზებული არ არის.

ცხრილი 1. ქორწინებაში მყოფი ქალებისა და მამაკაცების ბავშვების საშუალო რაოდენობა

	მამაკაცები	ქალები
იდეალური	3.3	3.0
სასურველი	2.6	2.4
მოსალოდნელი (სულ)	2.5	2.4
ფაქტობრივი	1.5	1.7

საქართველოში, ოჯახები ძირითადად ორიენტირებულები არიან ორ შვილიან ოჯახებზე. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების მიერ დასახელებული ბავშვების საშუალო

სასურველი და სულ მოსალოდნელი რაოდენობა დაახლოებით 2.5-ია.

გარე ფაქტორების გათვალისწინებით (სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უნაყოფობა) შეიძლება დავასკვნათ, რომ ამჟამად ქალები აჩენენ უფრო ნაკლებ ბავშვს, ვიდრე მათი მშობლები, რაც მიუთითებს რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარ ცვლილებებს.

დიაგრამა 4. რეპროდუქციული ასაკის ქალების ბავშვების საშუალო რაოდენობა



კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ამჟამად ქალებს ყავთ იმაზე ნაკლები შვილი ვიდრე მათ მშობლებს.

20-39 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალები ორიენტირებული არიან ყავდეთ იმდენი შვილი, რამდენიც ყავდათ მათ მშობლებს, თუმცა 40-49 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალებს ფაქტობრივად ყავთ იმაზე ნაკლები შვილი, ვიდრე მათ მშობლებს.

აღსანიშნავია, რომ ქორწინებაში მყოფმა ქალებმა როდესაც დაასახელეს ბავშვების მოსალოდნელი (სულ) რაოდენობა ნაკლები, ვიდრე სასურველი რაოდენობა ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად ქალების 44.2% დაასახელე მატერიალური პირობები, 42.9% ჯანმრთელობის მდგომარეობა, ხოლო 13.0 მიუთითა სხვა მიზეზი.

დიაგრამა 5. ბავშვების საშუალო რაოდენობა რეპროდუქციული ასაკის ქალებისათვის საქმიანობის სტატუსის მიხედვით



საქართველოში, რეპროდუქციული ასაკის ქალების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური და სასურველი საშუალო რაოდენობა არ განსხვავდება დასაქმების სტატუსის მიხედვით. თუმცა დასაქმებულ ქალებს ყავთ და მოსალოდნელია, რომ ეყოლებათ უფრო ნაკლები შვილი, ვიდრე ქალებს რომლებიც არ არიან დასაქმებული.

დიაგრამა 6. ბავშვების საშუალო რაოდენობა რეპროდუქციული ასაკის ქალებისათვის განათლების მიღწეული დონის მიხედვით



საქართველოს ქალაქებში, რეპროდუქციული ასაკის ქალებს რომელთაც უფრო მაღალი განათლების დონე აქვთ მოსალოდნელია, რომ ეყოლებათ უფრო ნაკლები შვილი, ვიდრე მათ ვისაც შედარებით დაბალი განათლების დონე აქვთ.

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, ქალების მიერ დასახელებული ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა არ არის მაღალი და იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსალოდნელია შობადობის დონის შემდგომი კლება. საქართველოში, შობადობის კონტროლის ძირითად საშუალებას წარმოადგენს აბორტები. ოჯახის დაგეგმვა ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირებით განისაზღვრება, რომელიც გულისხმობს კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდებისა და აბორტის გამოყენების შესაძლებლობას.

1990-იანი წლების დასაწყისამდე, საქართველო აბორტების მაჩვენებელით ლიდერობდა კავკასიის რეგიონში. 1990-იანი წლებიდან აბორტების მაჩვენებლები კლების ტენდენციით ხასიათდებოდა და ამასთანავე იზრდებოდა თანამედროვე კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენება (Popov and David, 1999), თუმცა საქართველოში, ჩატარებული სხვადასხვა დემოგრაფიული და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ აბორტების დონე კვლავ საკმაოდ მაღალია.

გამოკვლევა „ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებანი“ საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ აბორტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

კვლევამ აჩვენა, რომ რეპროდუქციული ასაკის, ქორწინებაში მყოფი ქალების თითქმის ნახევარს (48.9%) ერთი აბორტი მაინც აქვს გაკეთებული.

როგორც ჩანს, ქორწინებაში მყოფი ქალების 33.8%-მა აბორტი გაიკეთა იმ მიზნით რომ აღარ სურდა (მეტი) შვილი, მხოლოდ ქალების დაახლოებით 30%-მა გაიკეთა აბორტი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის და იმ მიზეზით, რომ ოსულობა საფრთხეს უქმნიდა მის ჯანმრთელობას, ხოლო დანარჩენმა აბორტი გაიკეთა სხვა მიზეზის გამო.

დიაგრამა 7. ქორწინებაში მყოფი რეპროდუქციული ასაკის ქალების განაწილება ბოლო აბორტის მიზეზების მიხედვით



გამოკვლევის დროს, 233 ქალმა მიუთითა რომ ერთი აბორტი მაინც აქვს გაკეთებული და მათ შორის მხოლოდ 4-მა ქალმა აღნიშნა, რომ აბორტი გაიკეთა არასასურველი სქესის გამო.

გამოკითხული რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, რომ საქართველოს ქალაქებში მცხოვრები მოსახლეობა ორიენტირებულია ყავდეთ 2 შვილი, რესპონდენტებმა ბავშვების სასურველ საშუალო რაოდენობად დაასახელეს 2.51, მათ შორის 1.23 ბიჭი და 1.28 გოგო.

ამასთან ერთად, საქართველოს ქალაქებში ოჯახების თითქმის ნახევარი წარმოადგენს ორშვილიან ოჯახებს. კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ რესპონდენტებს საშუალოდ ყავთ 1.79 შვილი, მათ შორის 0.91 ბიჭი და 0.89 გოგო.

ცხრილი 2. ბავშვების საშუალო ფაქტობრივი რაოდენობა ქალაქების მიხედვით

	ბიჭი	გოგო	სულ
თბილისი	0.94	0.93	1.87
ქუთაისი	0.87	0.81	1.68
კასპი	0.87	0.93	1.80

როგორც ჩანს, საქართველოს ქალაქებში ყავთ და ორიენტირებულები არიან ყავდეთ ორი შვილი და ბიჭი-შვილისათვის უპირატესობის მინიჭება არ ფიქსირდება.

დასკვნა

- საქართველოში ოჯახებს ყავთ და ორიენტირებულნი არიან ორშვილაინ ოჯახებზე და შობადობის შემცირების ძირითადს მიზეზს წარმოადგენს რეპროდუქციულ ქცევაში მომხდარი ცვლილებები;
- შობადობის დონე დაბალია და ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას, რის შედეგადაც გარკვეული დროის შემდეგ მომავალი თაობა ნაკლები აღმოჩნდება წინაზე;
- საკმაოდ დაბალია ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა, რომლის ყოლასაც საბოლოოდ აპირებენ ქორწინებაში მყოფი ქალები (2,34). კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა რეპროდუქციული განწყობის თვალსაზრისით. დაქორწინებული ქალები საშუალოდ აპირებენ კიდევ მხოლოდ 0,62 ბავშვის ყოლას;
- სელექციური აბორტისათვის მოტივი რომ ბიჭ-შვილს ანიჭებენ უპირატესობას არ მტკიცდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წულაძე გ., 1986 – შობადობის პრობლემა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე (საქარტველოს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე). ავტორეფერატი. დისერტაცია ისტ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი (რუსულად)
2. ცხოვრებაძე ზ., 1993 – რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირების თავისებურებანი (თბილისის მაგალითზე). დისერტაცია ეკ. მეც. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.
3. Blake, Judith. 1966 - Ideal family size among white Americans: a

quarter of a century's evidence. Demography 3:154-173.
4. Freedman, Ronald. and Harry Sharp. 1954 - Correlates ofvalues about ideal family size in the Detroit metropolitan area, Population Studies 8:35-45.
5. Gustavus,O. Susan. 1968 - The formation and stability of ideal family size norms among young people, Unpublished doctoral dissertation, Florida State University.
6. Popov AA, David HP, 1999 – Russian Federation and USSR Successor States: Sex and Society. In: From abortion to contraception; a Resource to Public Policies and Reproductive Behaviors in Central and Eastern Europe from 1917 to the present. Greenwood Press, Westport, CT.
7. Westoff, Charles F., Robert G. Potter, Jr., and Philip C. Sagi. 1963 – The Third Child: A Study in the Prediction of Fertility. Princeton: Princeton University Press.
8. Westoff, Charles F., and Richard H. Potvin, 1966 – Higher education, religion, and women's family size orientations. American Sociological Review 31:489-496.
9. Whelpton, Pascal K., Arthur A. Campbell, and John E. Pattersan. 1966 - Fertility and Family Planning in the United States, Princeton: Princeton University Press.

Vano Shushtakashvili
Shorena Tsiklauri

Fertility and Reproductive Behavior in Cities of Georgia

Abstract

Georgia experience low level of fertility during the dramatic economic, social and political instability since 1990's. In addition, changes reproductive behavior caused decline of fertility level, the country experience below-replacement fertility (lower than 2.1 children per women) level. Themost Georgian women have and oriented to have two children and problem is related to have third and next order of birth in the family.

This study aims to explored changes in recent fertility trends and current fertility preferences in Georgia. This paper is going to study reproductive behavior and orientation according to demographic, social-economic factors.

ნინო გომელაური

ოჯახის ალტერნატიული ფორმები და რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა საერთო შობადობის ნაწილია, წარმოქმნილი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებით. მთელ რიგ კულტურებში მიუხედავად მკაცრი სოციალური თუ რელიგიური შეზღუდვებისა იგი ყოველთვის მაინც არსებობდა. ქორწინების გარეშე დაბადებად ითვლება ქალის მიერ ბავშვის გაჩენა, რომელიც მოცემული მომენტისათვის არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში. გამონაკლისს ზოგიერთი ის ქვეყ ნაწარმოადგენს, სადაც კანონმდებლობით საეკლესიო ქორწინება გათანაბრებულია იურიდიულ ქორწინებასთან. კონსესუალურ ქორწინებასა და თანაცხოვრებაში დაბადებული ბავშვები მიმდინარე სტატისტიკაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულებად ითვლებიან.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ფონზე, ინდივიდუალიზმის ფართოდ განვითარებამ, ოჯახის მოდერნიზაცია განაპირობა.ოჯახის თანამედროვე სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაცია განიხილება, როგორც ახალი სოციალურ-დემოგრაფიულ ფასეულობათა შესაბამისი ნორმების ჩამოყალიბება ოჯახში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს მისი ერთ-ერთი მიმართულება – იურიდიულად გაუფორმებელი ერთობლვი ცხოვრების (არარეგისტრირებული ქორწინება) და ოჯახის ალტერნატიული ფორმების ფართოდ გავრცელება.ოჯახის ეს ფორმები, ჯერ კიდევ, 1970 წლის შემდეგ, ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ)და აღმოსავლეთ აზიაში (იაპონია)არსებითად ჩამოყალიბდა. განსაკუთრებით მაღალი ტემპი მე-20 საუკუნის ბოლოათწლეულში აღინიშნება. მსოფლიოსმაღალგანვითარებულ ქვეყნებში 1970-ანი წლებიდან ოჯახში მნიშვნელოვანი სოციალურ-დემოგრაფიული ძვრები მოხდა. გადაიწია პირველ ოფიციალურ

ქორწინებაში შესვლის ასაკმა და გავრცელდა ქორწინების სხვადასხვა ფორმები. გაიზარდა განქორწინებები, რამაც რეპროდუქციული ქცევის მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია.

თანამედროვე ოჯახში ოფიციალური ქორწინება აუცილებლად აღარ მიაჩნიათ და ოჯახი მის გარეშეც იქმნება. შესაბამისად ბავშვთაშობა ყოველთვის აღარ ხდება რეგისტრირებულ ქორწინებაში. არარეგისტრირებულ ქორწინებათა ფართოდ გავრცელებას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1980-იან წლებში,შვედეთში 25 წლის ასაკში არარეგისტრირებულ ქორწინებაში შევიდა 1960-1965 წწ. დაბადებულ ქალთა 74%. აღსანიშნავია, რომ არარეგისტრირებული ქორწინებების ხვედრითი წილი დაბალია სამხრეთ ევროპაში, მაგალითად ამ პერიოდში იტალიაში ანალოგიური მაჩვენებელი 5,0% იყო. არარეგისტრირებული ქორწინებები დასავლეთ ევროპასთან შედარებით გვიან გავრცელდა აღმოსავლეთ ევროპაში. აღმოსავლეთ ევროპაში მისი ინტენსივობა განსაკუთრებით 1990-იან წლებში გაიზარდა და ამჟამად მათ დონეთა შორის დიდი განსხვავება აღარ არის. მაგალითად: ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი 1960 წლის მერე 1-ს ჩამოსცილდა და 1998-1999 წლებში მან ლუქსემბურგში 0,53, ხოლო დანიაში 0,57 შეადგინა. აღმოსავლეთ ევროპაში ეს პროცესი 20-25 წლით გვიან დაიწყო და 1998-1999 წწ. იგი 0,37-დან (ესტონეთი) – 0,84-ის (ბელორუსია) ფარგლებში მერყეობს [1 გვ. 17].

როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს ევროპაში იურიდიული რეგისტრაციის გარეშე ერთობლივი ცხოვრების ძირითად მიზეზად მიჩნეულია სქესობრივი ურთიერთობების ნორმების მკვეთრი ცვლილება. დღეს იმ მორალურმა იმპერატივმა, რომ სქესობრივ ურთიერთობას და ბავშვის გაჩენას წინ ქორწინება უნდა უძღოდეს მნიშვნელობას კარგავს (ბუმასი, 1990; ტონტონო, 1989). ბევრი წყვილისთვის თანაცხოვრება მართლაც ქორწინების პრელუდია ხდება. თუმცა სტატისტიკა უჩვენებს, რომ მათი მხოლოდ 50% ქორწინდება საბოლოოდ. მათ შორის ქორწინებაში ზუსტად იმდენივე რჩება, რამდენიც ყოველგვარი წინასწარი

თანაცხოვრების გარეშე დაქორწინდა (ბუთი და ჯონსონი, 1988; ნოკი, 1995). თანამცხოვრებთა მხოლოდ 10% რჩება ბოლომდე ერთად ქორწინების გარეშე. ასეთი წყვილებისათვის თანაცხოვრება ქორწინების გრძელვადიანი ალტერნატივაა იმ სოციალურ ინსტიტუტების ჩართვის გარეშე, რაც ქორწინებას აკანონებს. ქორწინების დეინსტიტუტიზაციის ამგვარ ტენდენციაზე გავლენას ახდენს განქორწინების მაღალი რისკი და გართულებები, რაც ე.წ. ”ნაცვალ'' ოჯახებს ახლავს თან. თანაცხოვრებას ქორწინებასთან შედარებით არ გააჩნია ის მტკიცე, შეთანხმებული ნორმები, ფორმალიზებული კავშირი და ახლო ურთიერთობები, რაც ადამიანში მოვალეობის გრძნობას აძლიერებს (ჩერლინი და ფურსენბერგი, 1994).

1970 და 1981 წლებში მაშინდელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოიცა ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მარტოხელა დედა სახელმწიფო სოციალური დახმარების თვალსაზრისით გაუთანაბრდა მრავალშვილიან დედას, რითაც ფაქტიურად მოხდა ქორწინების გარეშე შობადობის ლეგიტიმაცია და შემდგომ მათზე დახმარება კიდევ უფრო გაფართოვდა. სავარაუდოდ ამან გარკვეულწილად განსაზღვრა 1980-იან წლებში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობის ზრდა საქართველოში. საქმე ისაა, რომ იმის გამო, რომ კანონით არ იყო განსაზღვრული მარტოხელა დედის სტატუსი (რაც არც დღეისთვისაა განსაზღვრული არამხოლოდ მარტოხელას, არამედ საერთოდ დედის, მცირეშვილიანის, მრავალშვილიანის, განქორწინებულის და სხვ.) წყვილთა ნაწილი შეგნებულად არ შედიოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში, ან ფიქტიურად განქორწინდებოდა, რათა მიეღოთ მარტოხელა დედისთვის განკუთვნილი დახმარება. ამის შედეგად გამოჩნდნენ 2 და მეტ-შვილიანი ე.წ. მარტოხელა დედები, რაც ანომალიაა და არ შეესაბამება მარტოხელა დედის არსს. ანუ მარტოხელა დედად უნდა მივიჩნიოთ ქალი, რომელმაც ქორწინების გარეშე, საკუთარი სურვილით გააჩინა ბავშვი, მისცა საკუთარი გვარი და ზრდის მას. შემდეგში თუ მან კიდევ იყოლია შვილი, თუნდაც არარეგისტრირებულ ქორწინებაში რათქმაუნდა მას მარტოხელა დედის სტატუსი უნდა მოეხსნას.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართველ ახალგაზრდობაში გაიზარდა ეკლესიისკენ ლტოლვა და შესაბამისად გახშირდა ჯვრისწრები, რაც არც მაშინ და არც დღეს კანონით ქვეყანაში არ აღიარებულა. ამის შედეგად კი ჯვარდაწერილი ოჯახი, რამდენადაცკანონით დადგენილ, ხელმოწერილ სამოქალაქო რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებოდა, წარმოგვიდგა, როგორც არარეგისტრირებულ თანაცხოვრებაში მყოფი წყვილი, ხოლო მათი შვილი (შვილები) არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებულნი. ამ უკანასკნელმა კი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში ხელოვნურად გაზარდა ოფიციალური ქორწინების გარეშე შობადობის მაჩვენებელი (მაგალითად მან 2006 წელს 54,1%, ხოლო 2012 წელს – 32,4% შეადგინა, ანუ შესაბამისად ყოველი მეორე და მესამე ბავშვი რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაიბადა). ჯვრისწერა რომ სამოქალაქო ქორწინებასთან ერთად ოფიციალურად აღიარებული იყოს სულ სხვა სურათი იქნებოდა.

როგორც გამოკვლევები ადასტურებენ, რეალურად, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობამ, გარდა საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისა, კავკასიის და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებში გავრცელება ვერ ჰპოვა. რაშიც გადამწყვეტი როლი ეროვნულმა და რელიგიურმა ტრადიციებმა ითამაშა. მოსახლეობაში გამჯდარი ეროვნული და რელიგიური ტრადიციების გადაფასებას გარკვეული დრო დასჭირდა და დაახლოებით 30 წლი შემდეგ, 1980-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობამ დაბადებულთა საერთო რაოდენობის 4%-ს გადააჭარბა.1980-1989 წწ. აღნიშნული კატეგორიის ბავშვთა წილი დაბადებულთა საერთო რაოდენობაში 13 პუნქტით გაიზარდა და 17,7% შეადგინა. მსგავსი მატება არ დაფიქსირებულა ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში. შეიძლება დაგვეშვა, რომ ქორწინების გარეშე შობადობის ზრდას ხელი შეუწყო 1985 წელს საქართველოში შობადობის სტიმულირების მიზნით გატარებულმა სამთავრობო ღონისძიებებმა, მაგრამ შემდგომ წლებში არა თუ მარტოხელა დედაზე, არამედ საერთოდ შობადობის სტიმულირების მიზნით არავითარი სახელმწიფო

დახმარებები არ ყოფილა. ამიტომ, რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა ზრდა, ძირითადად სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არაღიარებული ჯვრისწერის რაოდენობათა ზრდის შედეგია. ქორწინების ისეთი ზოგადი მაჩვენებელიც კი, როგორიცაა ქორწინებათა რაოდენობა მოსახლეობის 1000 სულზე, უჩვენებს რეგისტრირებულ ქორწინებათა სიხშირის კლებას საქართველოში 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით მნიშვნელოვან კლებას – 1992 წლიდან[3გვ.37].

2000-იან წლებში საქართველოში მატულობს დაბადებულთა საერთო რაოდენობაში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი, რომელმაც სარეკორდო მაჩვენებელს 2006 წელს მიაღწია 54,4%-ს. მათგან მშობელთა ერთობლივი განცხადებით, რომ არ იმყოფებიან სამოქალაქო, რეგისტრირებულ ქორწინებაში და ჯვარდაწერილნი, ან მის გარეშე ერთად ცხოვრობენ შეადგენდა 48,8%-ს, ხოლო დედის განცხადებით (იყოლია საკუთარი სურვილით და გვარს თვითონ აძლევს, ანუ მარტოხელაა) 5,1%. 2000 წელს, 1990 წელთან შედარებით, რეგისტრირებული ქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი როგორც ყველა, ისე პირველი ქორწინებისას, დაახლოებით 2-ჯერ ნაკლები იყო. 2006 წელს გაიზარდა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების წილი ყველა ასაკობრივ ჯგუფში. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოდის 25 წლამდე ასაკის ქალებზე.ასეთი მაღალი მაჩვენებელი კი ძირითადად განაპირობა დაქორწინებულთა საერთო რაოდენობაში მხოლოდ ჯვარდაწერილთა მაღალმა მაჩვენებელმა, რომელთა ნაშობი ბავშვი ოფიციალურ სტატისტიკაში აღირიცხება, როგორც იურიდიულად რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული.

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა საერთო რაოდენობა 2012 წლისთვის 18528ბავშვია,რაც დაბადებულთა საერთო რაოდენობის 32,4%-ს შეადგენს.ამ ბავშვთა 29,9%მშობელთა ერთობლივი განცხადებით იურიდიული ქორწინების გარეშეა დაბადებული,ანუ წყვილი არ არის რეგისტრირებულ ქორწინებაში და არიან ან ჯვარდაწერილნი ან ეწევიან თანაცხოვრებას. რამდენადაც ამ უკანასკნელთა აღრიცხვა

არ ხდება, ძნელია განსაზღვრო რამდენი ბავშვი დაიბადა თანაცხოვრებაში. მხოლოდ დედის განცხადებით აღიარებულია 2,5%, რაც ფაქტიურად რეალურად ქორწინების გარეშე დაბადებულთა რაოდენობაა და მარტოხელა დედათა რაოდენობად უნდა მივიჩნიოთ.

დიაგრამა 1. დაბადებულთა განაწილება დედის ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით (%) [2 გვ. 57]



საინტერესოა რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა დედის ასაკის მიხედვით. 2012 წლის მონაცემებით, 20 წლამდე გოგონათა მიერ დაბადებულ ბავშვთა 49,8%-ზე მეტი რეგისტრირებული ქორწინების გარეშეა გაჩენილი, 20-24 წლის გოგონათა გაჩენილ ბავშვთა რაოდენობაში 29,8%, 25-29 წლის ასაკში – 29,1%, 30-34 წლის ასაკში– 31,4%, 35-39 წლის ასაკში 35,9%, 40-44 წლის ასაკში – 38,2%.

რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულთა ანალიზისას დედის ასაკის მიხედვით 1989-2006 წწ. ყველა ასაკობრივ ჯგუფში მნიშვნელოვანი მატება აღინიშნა. განსაკუთრებით მაღალი იყო (50%-ზემეტი) 20 წლამდე, 20-24 წწ. და 25-29 წლის ასაკში.როგორც გამოკვლევა ადასტურებს, მათი უმრავლესობა ფაქტიურად ერთად ცხოვრობს, ჯვარდაწერილია ან

ქორწინების იურიდიულად არაღიარებულ თანაცხოვრებას ეწევა. რადგან სახელმწიფოს მიერ ქორწინების ეს ფორმები სამართლებრივად არ არის აღიარებული, მათ მიერ გაჩენილი შვილი სტატისტიკაში აღირიცხება როგორც რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული და ხელოვნურად ზრდის ამ მაჩვენებელს. ამიტომ, აუცილებელია იურიდიულად გათანაბრებულ იქნას ქორწინების ორივე ფორმა და მოსახლეობას მიეცეს თავისუფალი არჩევანის საშუალება.

დიაგრამა 2. არარეგისტრირებულ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების წილი დედის ასაკის მიხედვით 1989, 2006 და 2012 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი).

2002 წელს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმდა კონკორდატი, რომლის მესამე მუხლის მიხედვით–"სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები". აქედან გამომდინარე ჯვარდაწერილი წყვილები ოფიციალურ სტატისტიკაში არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფებად აღირცხება.

2013 წლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ მოგვცა საინტერესო

მაჩვენებლები საზოგადოების დამოკიდებულებისა არარეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობისადმი. საქართველოს სამ ქალაქში–თბლისში, ქუთაისსა და კასპში გამოკითხულ იქნა 18-50წლის 1212 რესპონდენტი.მათგან 45,2%ორივე სქესის რესპონდენტი იმყოფება რეგისტრირებულ და რელიგიურ ქორწინებაში, მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფება 27,0%, ხოლო მხოლოდ რელიგიურ ქორწინებაში 12,3%. იმ რესპონდენტი მამაკაცების წილი, რომლებიც იმყოფებიან რელიგიურ ქორწინებაში და პარტნიორთან ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ შეადგენს 12,7%-ს, ქალთა შორის შეადგენს 11,9%-ს.

პარტნიორთა წილი, რომლებიც ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ცხოვრობენ 15,4%-ია,რაც საგრძნობი მატებაა. გამოკითხულთა 79,6%-მა ერთდროულად დაიწერა ჯვარი და ოფიციალურად იქორწინა, 10,4%-მა ჯერ ოფიციალურად იქორწინა და გარკვეული დროის შემდეგ ჯვარი დაიწერა,ხოლო 10,1%-მა ჯერ ჯვარი დაიწერა და მერე ოფიციალურად იქორწინა. ქორწინებამდე ურთიერთობის საშუალო ხანგრძლოვობა4,2 წელია.

რესპონდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ წყვილს ქორწინების გარეშეც შეუძლია იცხოვროს ერთად. ეს ეხება როგორც დაქორწინებულ, ისე განქორწინებულ და ქორწინებაში არასოდეს მყოფ რესპონდენტებს. გამოკითხულთა 52,6%-ს მიაჩნია, რომაუცილებელია ქორწინება გაფორმებული იყოს იურიდიულად, აქედან ასე თვლის მამრობითი სქესის 49,5% და მდედრობითი სქესის 55,2%. გამოკითხულთა 33,0% არ ეთანხმება ქორწინების იურიდიულად გაფორმების აუცილებლობას, აქედან არ ეთანხმება გამოკითხულ მამაკაცთა 34,9%, ხოლო გამოკითხულ ქალთა 31,4%. არა აქვს გამოკვეთილი აზრი 14,4%-ს, აქედან მამაკაცთა 15,5%-ს, ხოლო ქალთა 13,4%-ს.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობა 69,5% თვლის, რომ აუცილებელია საეკლესიო ქორწინება იურიდიულად აღიარებული იყოს სახელმწიფოს მიერ; ამ შეხედულებას არ ეთანხმება 16,8%; არა აქვს გამოკვეთილი აზრი 13,7%-ს. მათგან მამაკაცთა66,4% ეთანხმება ამ აზრს, ხოლო არ ეთანხმება 19,4%, არა აქვს გამოკვეთილი აზრი 14,3%-ს. მათგან

განსხვავებით, ქალთა 72,0% ეთანხმება საეკლესიო ქორწინების აღიარებას იურიდიულად სახელმწიფოს მიერ, ხოლო 14,7% არ ეთანხმება, არა აქვს გამოკვეთილი აზრი 13,2%-ს.

გამოკვლევით აშკარა ტენდენცია იკვეთება – რაც უფრო ახალგაზრდავდება რესპონდენტთა ჯგუფი, მით უფრო იმატებს საეკლესიო ქორწინებაში მყოფი ადამიანების პროცენტი. სავარაუდოდ მომავალში გაიზრდება რელიგიური ქორწინებების რიცხვი, რაც დღევანდელი კანონებიდან გამომდინარე გაზრდის არარეგისტრირებულ ქორწინებათა რიცხვს და შესაბამისად ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა წილს. აქედან გამომდინარე საჭიროა ქორწინების ორივე ფორმა იყოს კანონიერად აღიარებული.

რესპონდენტთა შეხედულებით, ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენას 14,6%ყოველმხრივ გამართლებულად თვლის; (აქედან თბილისში 21,2%, ქუთაისში 7,5%, კასპში 9,1%).26,5% თვლის რომ გამართლებულია, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ჯერ მზად არ არის. ასევე 26,5% თვლის, რომ გამართლებულია თუ ქალს გათხოვების იმედი აღარ აქვს. ზნეობრივად გაუმართლებლად თვლის 11,4%. ყოველმხრივ გაუმართლებლად თვლის გამოკითხულთა 21,0%. (აქედან თბილისში 15,4%, კასპში 13,4%, ქუთაისში 33,5%).

დიაგრამა 3. რესპონდენტთა შეხედულება რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ქალის მიერ შვილის გაჩენის შესახებ



მდედრობითი სქესი უფრო ამართლებს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენას, ვიდრე მამრობითი. თუმცა წინა წლებში მამაკაცები უფრო ლოიალურად იყვნენ განწყობილი ამ პრობლემისადმი. ჩვენი აზრით ეს გამოწვეულია ქალის აქტიური ჩართვით არასაოჯახო დასაქმების სფეროში. ბევრ ოჯახში ქალებმა ითავეს ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, გახდნენ მატერიალურად დამოუკიდებელნი. ქალთა შესვლა ანაზღაურებით სამუშაო ძალაში „ჩვენი დროის ძირითად სოციალურ რევოლუციად მოინათლა'' (ჰოშილდი, 1989, გვ.249). გენდერული როლები ახლა უფრო გახსნილია, ვიდრე თუნდაც ერთი თაობით ადრე იყო. დღეს ქალები ბევრად უფრო მეტი თანასწორობის მისაღწევად იბრძვიან, თუმცა უთანასწორობა არსებობს და ეს ეხება ყველას, ქალებსაც და მამაკაცებსაც.

გამოკვლევა ადასტურებს, რომ მიმდინარე ტრანსფორმაცია გარკვეულწილად აისახება ოჯახის წევრების მეტ ინდივიდუალიზმსა და ავტონომიაში. ცალკეულ წყვილთა გამონაკლისების გარდა, ფარულად არსებობს ოჯახის ისეთი ალტერნატიული ფორმა, როგორიცაა თანაცხოვრება.საერთოდ, თანაცხოვრების ზრდა, განქორწინებათა და იმ პრობლემების ერთგვარი ფუნქციური ადაპტირებაა, რომელთა წინაშეც დღეს დგას რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი ცოლქმარი. მათი გადაწყვეტილებაა ჯერ ერთად ცხოვრება სცადონ და მერე იურიდიულად დააკანონ ურთიერთობა. მიუხედავად ამისა საქართველოში ოჯახი მაინც ყველაზე ღირებულ სოციალურ ინსტიტუტად რჩება.

მიუხედავად საქორწინო სფეროში არსებული განსხვავებული ტენდენციისა, საზოგადოებაში მაინც არსებობს ტრადიციული ოჯახისადმი ორიენტაცია. ჩვენი კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ოჯახი, მიუხედავად რეგისტრაციის ფორმისა, ეფუძნება სიყვარულს და აგებული უნდა იყოს ადამიანებს შორის ურთიერთპატივისცემის, ღია ურთიერთობებისა და ურთიერთმხარდაჭერის სურვილზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სულაბერიძე ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკა გარდამავალ პერიოდში. ავტორეფერატი ეკ.მეცნ. დოქ. ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2003 წ.
2. საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული, 2012 წელი (შემდგენელები გ.წულაძე, ნ.მაღლაფერიძე, ა.ვადაჭკორია). თბილისი, 2013 წ.
3. წულაძე გ., მელაძე გ. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში. თბილისი, 1998 წ.
4. შინჯიაშვილი თ. ახალგაზრდების დამოკიდებულება ქორწინების თანამედროვე ფორმებისადმი საქართველოში. ჟ. ”დემოგრაფია” № 1(12) 2008 წ.
5. Bozon M. Demography and Sexualiti//Demography: Analysis and Synthesis. Caselli G., Vallin J., Wunsch G.v. L. Amsterdam, Boston: Eisevier. 2006.
6. Elder G., Bowermann CH. Family Structure and Child-Rearing Patterns. The Effect of Family Size and Sex Composition//Social Demography. N.Y., 1970.

Nino Gomelauri

The Rate of Alternative forms of family andOut-of-Wedlock Births

Abstract. One of the socio-demographic problems of modern life – the problem of alternative family forms and out-of-wedlock births – is considered in the paper. The authors believe that the official data of Georgian statistics do not show the real picture of the rate of out-of-wedlock births. Traditionally, it was very low and not quite peculiar to Georgia. Usually, in the Soviet period there were mostly registered civil marriages. However, since the end of the 1980s the number of religious marriages has

increased but such a marriage has never been legally recognized along with the civil marriage. Since legally the religious marriage is not equal to civil marriage in Georgia, the children born to a couple who are in a religious marriage are recorded as the children born out of wedlock. Therefore, the number of out-of-wedlock births exceeds that of the well-developed countries of Europe by several times. The fact that in 2006 and 2012 the rate of out-of-wedlock births was 54.4% and 32%, respectively, which means thatin 2006 every second child and in 2012 every third child was born out of wedlock, indicates that the data are wrong. Their real rate in those years was within 5.1% and 2.5%, respectively. As far as the religious marriage is not legally recognized, it can be considered as an alternative form of marriage. Therefore, the authors find it necessary to consider the religious and civil marriages to be equal.

თამარ შინჯიაშვილი,
ნატალია ჭანტურია,
შორენა მეტრეველი

ქალთა დასაქმებისა და რეპროდუქციული ქცევის ურთიერთგავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში

ყოფილი საბჭოთა კავშირის ევროპული სივრცის ქვეყნები მსოფლიო გლობალური ეკონომიკური კრიზისით ხასიათდება, რაც მეტად აქტუალურს ხდის დასაქმების, განსაკუთრებით ქალთა დასაქმების პრობლემატიკის შესწავლას რეპროდუქციულ ქცევასთან კონტექსტში, არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარების ფონზე. როგორც ცნობილია, ქალის სოციალური სტატუსი ქორწინებასა და დედობასთან მჭიდრო კავშირშია. ოჯახის რეპროდუქციული გეგმები ხშირად აიძულებს თანამედროვე ქალს უარი თქვას პროფესიულ კარიერაზე, რის გამოც მათი ნაწილი უარს ამბობს იყოლიოს შვილი (შვილები) რათა არ დაკარგოს კვალიფიკაცია იძულებული დეკრეტული პაუზის გამო. ქალთა უმუშევრობა დღეს, არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ხშირად მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს, რაც თავის მხრივ ოჯახის რეპროდუქციულ გეგმებს ზღუდავს. იქმნება დახურული ციკლი.

ცნობილია, რომ ქალის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან. იგი უპირისპირდება საყოფაცხოვრებო ვალდებულებებს ოჯახში. ქალის საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობამ და სხვადასხვა ტიპის დატვირთვამ მთელი რიგი სიძნელეები წამოჭრა, ხოლო შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქალის შიდაოჯახურ შრომასთან ერთად დაქირავებული შრომის მომეტებული აქტივობა გამოიწვია. ცხოვრებისეულმა პრაქტიკამ ცხადჰყო, რომ ქალის – საზოგადოებრივ-საწარმოო და საოჯახო დატვირთვა ყოველთვის არ არის თანაბარი სოციალური ეფექტის მქონე. უფრო მეტიც, მან უარყოფითი გამოხატულება ჰპოვა ერთ შემთხვევაში საზოგადოებრივ-საწარმოო

საქმიანობაში და, მეორეს მხრივ, ოჯახში, სადაც ქალის დედობრივი ფუნქცია შეუცვლელია. რეპროდუქციის ფუნქცია კი უმნიშვნელოვანესია ერის გენოფონდისა და ტრადიციების გადარჩენისათვის.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა მოიტანა, რამაც თავისი გავლენა იქონია მათ ცხოვრების წესზე: შეიცვალა ქალისა და მამაკაცის ტრადიციული როლი ოჯახში თუ ოჯახს გარეთ.

თუმცა აღნიშნული ცვლილებები ძირითადად საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხება და არ ვრცელდება ოჯახზე მთლიანად: დღეს ქალს, აღმზრდელის ტრადიციული ფუნქციის გარდა, ხშირად ოჯახის მარჩენალის ფუნქციაც ეკისრება. თანამედროვე ქალის შრომითი და საზოგადოებრივი აქტივობა და პრესტიჟი დაუპირისპირდა საყოფაცხოვრებო ვალდებულებებს ოჯახში, რამაც წამოჭრა მთელი რიგი სიძნელეები, ვინაიდან ოჯახისა და ბავშვის მოვლის პასუხისმგებლობა შესაბამისად ვერ აისახა კანონმდებლობაში და უფლებათა კონვენციებში.

საკმაოდ სერიოზული პრობლემების მიღმა რჩება ქალთა შრომის და საერთოდ უფლებების დაცვის პრობლემა, რომელიც დღესაც და მომავალშიც ჩვენი საზოგადოებისათვის უპირველესი შესწავლის საგანია. ქალთა უმრავლესობამ არც კი იცის მათი უფლებები სამოქალაქო კოდექსის მიხედვითაც კი, რომ არაფერი ვთქვათ შრომის კოდექსზე.

ცნობილია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ქალები, ტრადიციისამებრ, საოჯახო საქმიანობაში უფრო მეტად იყვნენ ჩაბმულნი, ვიდრე მამაკაცები, ვინაიდან ქალისათვის ოჯახი იყო არა მხოლოდ პირადი ბედნიერებისა და კეთილდღეობის უმთავრესი პირობა, არამედ ერთგვარი საზოგადოებრივი სტატუსიც და ასპარეზიც.

მზრდადი უმუშევრობის ფონზე დედის თანამედროვე ყოფამ და რეალობამ მოითხოვა კორექტივების შეტანა ქალის სტერეოტიპში, რადგანაც პასიურობის ნაცვლად, დღეს იგი მოგვევლინა როგორც მედიატორი მრავალი ოჯახური პრობლემის (მათ შორის ეკონომიკური პრობლემის) გადალახვის დროს.

დღეისათვის, განსაკუთრებით ქალაქში, დასაქმებული ქალების ოფიციალური სტატისტიკა ასეთია:

ცხრილი 1. 15 წლის და უფროსი ასაკის ქალების განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, 2003-2012 წწ.

	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	968.7	971.3	949.5	935.9	933.5	889.7	920.5	907.9	915.6	947.7
დასაქმებული	857.0	856.9	829.4	826.8	816.2	746.3	778.6	776.7	795.3	816.9
დაქირავებული	294.9	296.5	286.4	287.4	293.5	259.2	278.5	300.2	297.9	303.0
თვითდასაქმებული	561.7	560.1	542.8	539.0	522.6	487.0	500.0	475.6	493.2	509.7
გაურკვეველი	0.4	0.2	0.2	0.4	0.1	0.1	0.1	0.8	4.3	4.2
უმუშევარი	111.7	114.4	120.1	109.1	117.3	143.4	141.9	131.2	120.3	130.8
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	711.5	735.4	749.5	808.9	763.6	772.9	774.4	728.1	725.3	703.4
უმუშევრობის დონე, %	**11.5**	**11.8**	**12.6**	**11.7**	**12.6**	**16.1**	**15.4**	**14.5**	**13.1**	**13.8**
აქტიურობის დონე, %	**57.7**	**56.9**	**55.9**	**53.6**	**55.0**	**53.5**	**54.3**	**55.5**	**55.8**	**57.4**
დასაქმების დონე, %	**51.0**	**50.2**	**48.8**	**47.4**	**48.1**	**44.9**	**45.9**	**47.5**	**48.5**	**49.5**

ქალთა დასაქმების დონე 2003-2012 წ.წ. შემცირდა 51%-დან 49.5 %-მდე (თუმცა აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2008 წ. დაფიქსირდა-44.9%), უმუშევრობის დონე, ამავე წლებში, 11.5%-დან 13.8%-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ უმეშევარ და თვითდასაქმებულ ქალთა შორის, უმეტესად ჭარბობენ განათლებული, კვალიფიციური კადრები, რომლებიც გაწეული შრომის სპეციფიკით - თვითდასაქმების შემთხვევაში, შორს არიან თავიანთ პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციისაგან, დროთა განმავლობაში საერთოდ იდევნებიან შრომის ბაზრიდან და სოციალურად დაუცველთა კატეგორიებში ექცევიან. ამავე დროს საყურადღებოა ე.წ. „ფარული უმუშევრობის“ და „არასრული დასაქმების“ Pპრობლემები, რომელიც საკმაოდ არის გამოხატული ქალაქურ ყოფაში.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალი პერიოდი, სოციალურ სფეროში არაშესაშური შედეგებით აღინიშნება: შეირყა ოჯახის სოციალური, ეკონომიკური და

მორალური ასპექტები. თანაც, ბოლო ათი წლის მანძილზე პოზიტიური ტენდენცია ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი. (იხ. ცხ) ოჯახში შიდაკავშირურთიერთობები და დამოკიდებულებები თავად ოჯახის მიმართ საერთოა როგორც ქალების, ასევე კაცებისათვის და მათ შორის არანაირი განსხვავება არ არის. ისინი მხოლოდ ორი მოვლენის მიმართ ამჟღავნებენ განსხვავებულ დამოკიდებულებას: ქალები თვითრეალიზაციის აუცილებელ პირობად შვილების ყოლას უფრო ეთანხმებიან, ვიდრე მამაკაცები და ასევე შვილების აღზრდის სანაცვლოდ პროფესიულ კარიერაზე უარის თქმაც ქალებისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე კაცებისათვის.

ეკონომიკის რეფორმების პროცესს სჭირდება საბაზრო ეკონომიკის ახლებული გადაწყვეტა. Aაქედან გამომდინარე, თანამედროვე ქალი ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, მისი წვლილი ოჯახურ ბიუჯეტში ვეღარ შემოიფარგლება მხოლოდ ბავშვების აღზრდით და ოჯახური საქმიანობით, რაც თავისთავად ენერგოტევადი, და საბოლოო ჯამში საზოგადოებისათვის მეტად ფასეულია.

ქალის შრომა, რომელიც ისწრაფვის კერძო სექტორში დაწინაურდეს, პროფესიული პრობლემების წინაშე დგება. ბიზნესისაკენ ორიენტირებული ქალის ფსიქოლოგია და შესაბამისად მენეჯმენტი მეტადაა ორიენტირებული ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებაზე და ისწრაფის ქველმოქმედებითი საქმიანობისაკენ. აქედან გამომდინარე, ქალის ორმაგი როლის შესრულების ობიექტური სირთულეების გამო, იქმნება კანონით მინიჭებული უფლებების დამატებით დაცვისა და სოციალური შეღავათების საჭიროება. მართალია, სახელმწიფო ცდილობს განახორციელოს შეღავათიანი სპეციალური პროგრამები, რისთვისაც მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს, მაგრამ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და სიღატაკის ზღვარზე მისული ოჯახების დახმარებები და შეღავათები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ რეალურად ხელი შეეწყოს ამ პრობლემის გადაწყვეტას. შექმნილი ვითარება მნიშვნელოვნად აუარესებს ისედაც არასახარბიელო დემოგრაფიულ სიტუაციას. ეცემა შობადობა, და რაც მთავარია, რეპროდუქციული განწყობა.

დასაქმებულ ქალთა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შეფასებისას მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ არის განაწილებული და ათვისებული მისი სადღეღამისო და თავისუფალი დრო. ბუნებრივია, რომ მათი დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახის გარეთ იხარჯება. ესაა სამუშაო დრო, დანარჩენი ნაწილი არასამუშაო დროდD ითვლება, რომელიც საოჯახო მეურნეობასა და ოჯახის წევრთა მომსახურებაზე დახარჯულ დროს შეიცავს. არასამუშაო დროის ნაწილი, რომელიც ზემოთაღნიშნული დროის გამოკლების შემდეგ რჩება – თავისუფალი დროა. სწორედ, თავისუფალი დროის ხარჯვის პრიორიტეტებში უნდა ვეძიოთ რეპროდუქციული განწყობის რეზერვი.

ქალის არასამუშაო და თავისუფალი დროის ბიუჯეტის შესწავლა საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ის რეალური შესაძლებლობანი, რითაც იგი ახორციელებს ოჯახში ამა თუ იმ ფუნქციას. არასამუშაო დროის სტრუქტურაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი საოჯახო საქმიანობის წარმართვას უკავია. დასაქმებული ქალის დროის ბიუჯეტის შესწავლამ აჩვენა, რომ დროის განაწილება ოჯახში დიდადაა დამოკიდებული ბავშვთა რაოდენობაზე. მათი რიცხვის ზრდით მნიშვნელოვნად იზრდება ოჯახური შრომის ყველა სახეობაზე დანახარჯები.

ცნობილია, რომ პირველი ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით საოჯახო მეურნეობაზე დახარჯული დრო საშუალოდ 76%-ით იზრდება, ხოლო ორი ბავშვის შემდეგ დროის დანახარჯები კიდევ 22%-ით მატულობს. ქალს, რომელიც დასაქმებულია ოჯახის გარეთ და მართავს საოჯახო საქმიანობასაც, პრინციპულად განსხვავებული განაწილება აქვს სადღეღამისო დროისა, ვიდრე დიასახლისსა და მარტოხელა ქალებს. ამას კი მივყავართ იმ დროის შემცირებამდე, რომელიც საჭიროა როგორც პირადი განვითარებისათვის.

სამწუხაროდ, არავის დაუანგარიშებია, თუ რა დრო არის საჭირო იმ ქალის სასიცოცხლო ენერგიის აღსადგენად, რომელსაც ერთი ან მეტი ბავშვი ჰყავს და დასაქმებულია შინ და გარეთ.

ქალთა დასაქმების სტრუქტურა ნებისმიერ სფეროში არის ჰომოგენური და ემყარება როგორც დარგის სპეციფიკას, აგრეთვე არსებულ ტრადიციებს. თუმცა, აშკარაა, რომ წარმოების

ძირითადად სფეროებში ქალები ჯერ კიდევ უმცირესობაში არიან, ეს ციფრი თანდათან იზრდება. თავად ფაქტი კი იმას მიანიშნებს, რომ ეკონომიკაში კერძო სექტორის როლის ზრდასთან ერთად, გაჩნდა უამრავი ახალი სფერო, რომელთა მართვაში ქალთა მონაწილეობა არ იქნება მკაცრად რეგულირებული და პიროვნულ თვისებებზე და მეწარმეობრივ ტალანტზე იქნება დამოკიდებული. პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, და ზოგადად მთელს მსოფლიოში. კერძო სექტორში ქალთა როლთან დაკავშირებით, თანამდებობების განაწილების არსებული სტრუქტურიდან გამომდინარე, მომუშავე ქალები, მამაკაცებთან შედარებით, დაბალ ანაზღაურებას იღებენ, მაგრამ ეს არ არის ქალებისათვის დისკრიმინაციული ხელფასების არსებობის შედეგი.Mმომსახურების ინფრასტრუქტურის დაბალი დონე ქალებს აიძულებს მეტად მძიმე პირობებში მოახდინონ რეპროდუქციული ფუნქციის რეალიზაცია, ხოლო მწარმოებლური ფუნქციის განხორციელებისათვის მათ სჭირდებათ საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი ახალი პროფესიები.

ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე კიდევ უფრო გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევები, როგორც ოჯახში, ასევე სამუშაო ადგილზე. გაიზარდა ქალთა შრომითი პროცესი, რომლის დროსაც ქალები ხშირად ტრეფიკინგის მსხვერპლი ხდებიან. ქვეყნის გარეთ ქალები მათი კვალიფიკაციის სრულიად შეუსაბამო სამუშაოზე მუშაობენ, რაც სამუშაო ძალის სრულ დისკვალიფიკაციას იწვევს. მათთვის არ არსებობს სოციალური დაცვის გარანტიები. ყველაფერი ეს არასახარბიელო შედეგებს იძლევა როგორც დემოგრაფიული, ასევე ოჯახის ღირებულებების დევალვაციის თვალსაზრისით. თუ წინათ გარე შრომით მიგრაციაში უპირატესად მამაკაცები მონაწილეობდნენ, გარდამავალ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალების წილი, განსაკუთრებით შემაშფოთებელია გათხოვილ ქალთა შრომითი მიგრაცია, რაც ითხოვს ეკონომიკისა და საზოგადოებრივ სფეროში ქალის მდგომარეობის შემამსუბუქებელ ღონისძიებათა მთელ კომპლექსს. ეს არის შეღავათიანი კრედიტები, მიკროდაფინანსება, ქალთა შრომის დაცვის საკანონმდებლო ზომები, საბავშვო დაწესებულებათა განვითარება, საყოფაცხოვრებო მომსახურების

ქსელის გაფართოება და რაც მთავარია, ქალებისათვის შეღავათიანი სამუშაო დროის დაწესება.

ქალებთან მიმართებაში, ხშირად გამოიყენება ტერმინი "ორმაგი დასაქმება" რაც მოიცავს ქალის ორმაგ ფუნქციურ ასპარეზს: საწარმოო-საზოგადოებრივსა და საოჯახოს.

დღევანდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, სახელმწიფო უძლურია განკარგულებებისა და ბრძანებების მეშვეობით დანერგოს საზოგადოებასა და წარმოებაში ქალთა არასრული სამუშაო დღე. მისი დანერგვის სტიმულად უნდა იქცეს ის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი, რომელსაც მიიღებს სამუშაო ადგილების შემქმნელი, არასრული სამუშაო დღის დანერგვის შედეგად. დადებითი შედეგები მიღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებაში მოხდება ქალის შრომისადმი დამოკიდებულების გარდაქმნა, შეიცვლება როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სტერეოტიპები, რათა მოხდეს ეფექტური შერწყმა ქალის საზოგადოებრივ-საწარმოო საქმიანობისა და დედობრივი ფუნქციისა. რეპროდუქციის ფუნქცია კი ერთერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს გენოფონდისა და ტრადიციების გადარჩენისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. კეცხოველი. სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომი: „ქართველი ქალი ტრადიციულ და თანამედროვე კულტურაში" საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 0175, საქართველო 2008.
2. ქალთა მდგომარეობა საქართველოში (გაეროს განვითარები სპროგრამა, გენდერული გაერთიანების ასოციაცია), გამომც. "ნეკერი", თბ., 2000.
4. გენდერული პრობლემატიკა საქართველოში, თბ., 2002.
5. Сакохия. Гендерные проблемы местного самоуправления в Азербайджане и Грузии.AREAT– Центр исследований современных социальных процессов.http://www.gender-az.org
6. Калабихина И.Е. Гендерный фактор в экономическом развитии России. М., 2009.

7. Charmes J. Women Working in the Informal Sector in Africa: New Methods and New Data. Paper for the Delhi Group Meeting on Informal Sector Statistics, Ankara, 28-30th April 1998;
8. Women Hold Up Half the Sky. Goldman Sacks. Global Economics Paper. 2008. No. 164http://demoscope.ru/weekly/2013
9. http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo

Tamar Shinjiashvili
Natalia Chanturia
Shorena Metreveli

Interdependence Between Women's Employment and Their Reproductive Behavior in Post-Soviet Area

European Post-Soviet states are characterized with global economic crisis. Therefore, it's very urgent to study the problems of employment and especially women's employment in the context of their reproductive behavior considering the bad demographic situation.

Women's labor and public activities often counteract. Such activities prevent women from carrying out family duties. The term "double employment" is often used in the context of women. It implies the double function of women: public and domestic.

Transition to market economy brought on equality of men and women and provoked the changes of lifestyle and values. Traditional roles of men and women have changed together with the transformation of mentality.

Existing conditions further worsen the poor demographic situation, birthrate decreases and what is the most important, women are less inclined to reproduce.

It's desirable to change public opinion about women's labor, as well as stereotypes about women or men. In this case women's public activities and maternal functions will merge efficiently. Reproductive function is one of the most significant components to survive Georgian gene pool and traditions.

თამაზ ზუბიაშვილი

ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება საერთაშორისო შრომითი მიგრაციის რეგულირების სფეროში

მსოფლიოში დაგროვილია მიგრაციული პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი გამოცდილება, სხვადასხვა ქვეყნებში არსებობს სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომები საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების სახელმწიფო რეგულირების განსახორციელებლად; შემუშავებულია მეთოდები და ინსტრუმენტები ასეთი რეგულირებისათვის. ქვემოთ მოყვანილია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ქვეყნების კონკრეტული მაგალითები, საერთაშორისო მიგრაციაში მათი განსხვავებული ხარისხით მონაწილეობა, მიგრაციული პოლიტიკის სხვადასხვა ტიპები. ამასთან ძირითადი ყურადღება გადატანილია შრომითი მიგრაციის რეგულირებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც არის მსოფლიოში მიგრანტთა ყველაზე დიდი მიმღები ქვეყანა, ტრადიციულად ორიენტირებულია მიგრანტთა შემოდინებაზე, ე.ი. პირებზე, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად. ყოველწლიურად საშუალოდ დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი იღებს აშშ-ში მუდმივად ცხოვრების ლეგალურ უფლებას. ამასთან აშშ-ში მიგრაციული ნაკადების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ შრომითი მიგრანტები, რომლებიც განიხილებიან როგორც ნაციონალური შრომის ბაზრის მნიშვნელოვანი კომპონენტი. არსებობს ორი ძირითადი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ში შრომითი მიგრანტების შემოდინებას:

✓ "შრომითი იმიგრანტები," ე.ი. პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში ამერიკული კომპანიებისა და სამუშაოს მიმწოდებლების მოწვევით მუდმივ სამუშაოზე იმიგრაციისა და ნატურალიზაციის კანონის შესაბამისად ყოველწლიურად 140-ათასიანი კვოტის ფარგლებში;

✓ დროებითი შრომითი მიგრანტები ("არაიმიგრანტები"), რომლებიც შემოდიან აშშ-ში კონტრაქტის საფუძველზე ამერიკულ

კომპანიებთან ან ადგილობრივ მეწარმეებთან შეზღუდული პერიოდით. მათი რაოდენობა კანონმდებლობით არ იზღუდება და ამჟამად მათი რაოდენობა ყოველწლიურად შეადგენს 230 ათას კაცს.

შრომითი მიგრაცია აშშ-ში (როგორც მუდმივი, ისე დროებითი) ხორციელდება მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. კვოტებისა და ვიზების დეტალური სისტემით რეგულირდება შრომითი მიგრანტების არა მხოლოდ რაოდენობრივი და ხარისხობრივი შემადგენლობა, არამედ კონტროლდება მათი შრომითი საქმიანობა და ქვეყანაში მათი ყოფნა. პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში პირველი არხით, იღებენ "იმიგრანტის" სტატუსს და, შესაბამისად, საიმიგრაციო ვიზებს, რომლებიც უფლებას აძლევთ მათ დროთა განმავლობაში მიიღონ აშშ-ის მოქალაქეობა; ხოლო ის პირები, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში დროებით სამუშაოზე, კვალიფიცირდებიან როგორც "არაიმიგრანტები" და იღებენ "არასაიმიგრაციო" ვიზას მუშაობის უფლებით.

დიდი უმეტესობა მათი, ვინც შედის აშშ-ში "შრომითი მიგრაციის" არხით, – ესენი არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ტექნიკური და საინჟინრო მეცნიერებათა სფეროდან, მენეჯმენტიდან; პროგრამისტები; პირები, ვისაც გააჩნიათ განსაკუთრებული უნარი მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, აგრეთვე კვალიფიციური მუშები და სპეციალისტები სამუშაოს იმ სახეობებში, რომელთა შესასრულებლად თვით აშშ-ს არ ჰყავს ისინი.

"არაიმიგრანტებისათვის" გათვალისწინებულია დროებითი ვიზების სხვადასხვა კატეგორიები, რომლებიც აძლევთ მათ მუშაობის უფლებას.

არის პროფესიები, რომელთა წარმომადგენლებს აშშ-ში უხსნიან "მწვანე შუქს" სამუშაო ვიზის გაცემისას, რამდენადაც ნაციონალურ შრომის ბაზარზე არ ყოფნიათ იმ სფეროს სპეციალისტები, ხოლო მოთხოვნა მათზე იზრდება ქვეყანაში ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული სიტუაციის ობიექტური ცვლილებების შედეგად. ჟურნალების "U.შ. Nეწს" და "ჭორლდ ღეპორტ"-ის შეფასებით, XXI საუკუნის დასაწყისში ასეთი პროფესიებია: პროგრამისტები (პროგრამული უზრუნველყოფის

სპეციალისტები), გარემოს დაცვის სპეციალისტები (კერძოდ, ნარჩენების უტილიზაციის ინჟინრები), ბიომედიცინის (მოლეკულური ბიოლოგია, გენეტიკა, ბიოქიმია, გერონტოლოგია) სფეროს მკვლევარნი, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების პედაგოგები და ა.შ.

აშშ-ში მოქმედი მიგრაციული კანონმდებლობა უცხოელის ქვეყანაში დროებით სამუშაოდ შესასვლელად ითვალისწინებს რთულ პროცედურას არასაიმიგრაციო ვიზის გაცემისას. ვიზა (და შესაბამისად – სამუშაო ადგილი) ეძლევა უცხოელ მოქალაქეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელმა შრომის მიმწოდებელმა ვერ შეძლო ეპოვა (დასაქმების ადგილობრივი სამსახურისა და ადგილობრივი პრესის საშუალებით) შესაბამისი მუშაკი ადგილობრივ შრომის ბაზარზე. ეს დასტურდება აშშ-ის შრომის სამინისტროს დასკვნით, რომელიც აღნიშნავს, რომ მოცემული კონკრეტული უცხოელის შრომითი მოწყობა არ მოახდენს არავითარ გავლენას ანალოგიური სპეციალობის ამერიკელი მუშაკის ხელფასზე და შრომის პირობებზე.

განსაკუთრებული მკაცრი ზომებით გამოირჩევა ამერიკული პოლიტიკა სავიზო რეჟიმის დამრღვევების მიმართ. მაგალითად, თუ უცხოელი მოქალაქე ცდილობს შევიდეს აშშ-ში ყალბი დოკუმენტებით ან დოკუმენტების გარეშე საერთოდ, საიმიგრაციო ხელისუფლებას აქვს სრული უფლებამოსილება დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მისი დეპორტაციის შესახებ. თანაც ასეთ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილება გადასინჯვას აღარ ექვემდებარება. იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდა უცხოელი მოქალაქის არაკანონიერად ყოფნის ფაქტი აშშ-ის ტერიტორიაზე 6 თვის განმავლობაში, დეპორტაციის გარდა მას ეკრძალება აშშ-ში შესვლის უფლება სამი წლის განმავლობაში. ხოლო არაკანონიერად 12 თვის განმავლობაში ყოფნის გამო, მას ეკრძალება ქვეყანაში შესვლა 10 წლის განმავლობაში. თუ გამოვლინდა, რომ უცხოელი მოქალაქე, რომელიც იმყოფებოდა აშშ-ის ტერიტორიაზე ლეგალურად და დაარღვია თავისი ყოფნის ვადა თუნდაც ერთი დღით, ასეთ შემთხვევაში მას ეკრძალება შევიდეს ქვეყანაში 5 წლის განმავლობაში.

უცხოელი მოქალაქეების არაკანონიერად დაქირავების შემთხვევაში ამერიკელი სამუშაოს მიმწოდებლები ჯარიმდებიან 10 ათას დოლარამდე.

გერმანია, რომელიც არის ყველაზე დიდი სახელმწიფო უცხოელი მოქალაქეების რაოდენობის მიხედვით, ხშირად ცვლის მიგრაციული პოლიტიკის ზომებს უცხოური სამუშაო ძალის მიმართ, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ კონიუნკტურაზე და საერთაშორისო სიტუაციის ცვლილებებზე.

ოფიციალური მონაცემებით, უცხოელ მოქალაქეთა რაოდენობამ გერმანიაში 2009 წლის მონაცემებით შეადგინა თითქმის 8 მილიონი ადამიანი, ანუ ქვეყნის მთელი მოსახლეობის 10,0%. გერმანია ყოველწლიურად იღებს არა მხოლოდ ასი ათასობით იმიგრანტს, არამედ 400 ათასამდე დროებით მუშას, რომლებიც ავსებენ სწრაფად დაბერებადი ერის შრომითი რესურსების ნაკლებობას. 2005 წელს ქვეყანაში მუშაობდა 2 მილიონზე მეტი დროებითი უცხოელი მუშა, რომელთაგან დაახლოებით 30%-ს შეადგენდნენ თურქები, 10%-ს – იტალიელები, 10% შესული იყო სერბიიდან და ჩერნოგორიიდან, 6% - საბერძნეთიდან.

შრომითი რესურსების იმპორტის სფეროში გერმანიის სახელმწიფო პოლიტიკის ისტორიაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ეტაპი:

პირველი ეტაპი (1950-იანი წლების შუა პერიოდი – 1973 წელი). ეს არის უცხოელი მუშების აქტიური და ფართომასშტაბიანი მიწვევის პერიოდი, როდესაც გერმანია ახდენდა მუშახელის მწვავე ნაკლებობის კომპენსაციას, უპირველეს ყოვლისა მშენებლობაში და მძიმე ხელით სამუშაოების სფეროში. სახელმწიფო პროგრამისა და მთელი რიგი სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე ხდებოდა "სტუმარი მუშების" – გასტარბაიტერების მოზიდვა ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებიდან დროებით სამუშაოდ გერმანიის ეკონომიკაში. ხელმოწერილი იქნა ხელშეკრულებები ესპანეთთან (1960წ.), საბერძნეთთან (1960წ), თურქეთთან (1961წ.), მაროკოსთან (1963წ), პორტუგალიასთან (1964წ), ტუნისთან (1965წ.), იუგოსლავიასთან (1968წ.). გერმანიის დასაქმების ფედერალურმა სამსახურმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში დაარსა

სააგენტოების ქსელი სამუშაო ძალის დაქირავების მიზნით. ეს სააგენტოები უზრუნველყოფდნენ მუშაკების შერჩევას პროფესიული, ასაკობრივი და განათლების დონის ნიშნით, აგრეთვე ატარებდნენ პრეტენდენტთა სამედიცინო გამოკვლევას. ქვეყანაში შესული გასტარბაიტერების რიცხოვნობა იზრდებოდა წლიდან წლამდე. 1973 წლისათვის უცხოელი მუშების რაოდენობამ გერმანიაში გადააჭარბა 2,6 მილიონ ადამიანს. Kკონტრაქტის ვადის დასრულების შემდეგ ბევრმა დროებითმა მუშამ აღარ მოისურვა სამშობლოში დაბრუნება და, მაშინდელი გერმანიის ლიბერალური კანონმდებლობის საფუძველზე მათ მოახერხეს მიეღოთ გერმანიის მუდმივი მცხოვრების სტატუსი.

მეორე ეტაპი (1973წ. – 1980-იანი წლების დასასრული) – ეს არის შრომითი მიგრანტების შემოდინების მკაცრი შეზღუდვის პერიოდი, როდესაც 1973 წელს დაიწყო ენერგეტიკული კრიზისი და რომელსაც მოჰყვა ეკონომიკური დეპრესია და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. გერმანიის მთავრობამ ცალმხრივად გააუქმა შეთანხმებები უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვის შესახებ და ქვეყანაში ოფიციალურად აკრძალა უცხოელი მუშების შრომის გამოყენება. გამონაკლისი შეეხოთ იმ პირებს, რომელთა პროფესია იყო განსაკუთრებულად დეფიციტური და პრესტიჟული (კვალიფიციური ექიმები, სპორტსმენები, არტისტები და ა.შ.).

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გერმანია მსოფლიოში გამოირჩეოდა ყველაზე მკაცრი საიმიგრაციო კანონმდებლობით, რომელიც შრომითი მიგრაციის შეზღუდვის ადმინისტრაციული ზომების გარდა ითვალისწინებდა მაღალ გადასახადებსა და ჯარიმებს სამუშაოს მიმწოდებლებისათვის უცხოელი მუშების მოწვევისა და მათი არაკანონიერი შრომის გამოყენების გამო.

მესამე ეტაპი (1990-იანი წლები) დაკავშირებულია გერმანიის ეკონომიკურ ზრდასთან და საზღვარგარეთიდან დამატებითი სამუშაო ძალის მოზიდვის განახლებასთან. 1991 წელს გაუქმდა აკრძალვა გერმანიაში იმ ქვეყნების მოქალაქეთა დასაქმების შესახებ, რომლებიც არ შედიოდნენ ევროკავშირში. მსოფლიო სოციალისტური სისტემის რღვევამ შექმნა შედარებით იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალის მიმწოდებელი ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში. გერმანიის მთავრობამ გამოიყენა ეს ფაქტი

თავისი შრომის ბაზრის შესავსებად და დადო ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან დროებითი შრომითი მიგრანტების მოსაზიდად. ეს ხელშეკრულებები ეხებოდა მუშათა სამ ჯგუფს;

- სტუმარ მუშებს (ხელშეკრულებები ითვალისწინებენ ყოველწლიურ რაოდენობრივ კვოტებს იმ პირთათვის, რომლებიც შემოდიან ქვეყანაში როგორც გასტარბაიტერები თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში: მაგალითად, ხელშეკრულება რუსეთთან ითვალისწინებს ყოველწლიურად 2000 ადამიანის შესვლას გერმანიაში დროებით სამუშაოდ, პოლონეთიდან – 1000 ადამიანის, ჩეხეთიდან – 1400 ადამიანის, უნგრეთიდან – 2000 ადამიანის, სლოვაკეთიდან – 700 ადამიანის, ბულგარეთიდან – 1000 ადამიანის და ა.შ.);
- სეზონურ მუშებს სამუშაოდ სოფლისა და სატყეო მეურნეობაში, სასტუმროების სექტორში, ტურიზმის სფეროში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის დასამუშავებლად და ხის სახერხ საწარმოებში;
- მუშებს, რომლებსაც მოიზიდავენ უცხოური ფირმებისა და კონტრაქტორების გარკვეული პროექტების შესასრულებლად. ამჟამად ეს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული ფორმაა, როდესაც უცხოური ფირმა-კონტრაქტორი იყენებს თავის მუშებს სამშენებლო და მომსახურების სხვადასხვა სფეროში და იძლევა გარანტიას, რომ მათ უზრუნველყოფს სოციალური გარანტიებით, გადაუხდის ხელფასებს, და პროექტის დასრულების შემდეგ დააბრუნებს მათ სამშობლოში.

მეოთხე ეტაპი (2000 წლის 1 აგვისტოს შემდეგ) დაკავშირებულია გერმანიის იმიგრაციული პოლიტიკის რეფორმირებასთან, რაც გამოწვეული იყო პროფესიონალთა მწვავე ნაკლებობით კომპიუტერული ტექნიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, აგრეთვე გერმანიის ეკონომიკის ზოგიერთ სხვა სფეროებში. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოზიდვა შეიძლება მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, მათ შორის ვინც არ შედიან ევროკავშირში, და გერმანიის შრომის სამინისტროს მიერ მათი კანდიდატურის მოწონების შემთხვევაში, შრომით მიგრანტთა სხვა კატეგორიებთან

შედარებით, მათ ეძლევათ უპირატესობა მიიღონ გერმანიაში ხანგრძლივად ცხოვრებისა და მუშაობის უფლება.

ახალი წესდება ითვალისწინებს უცხოელ სპეციალისტებზე რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, "მწვანე ბარათების" გაცემას, რომელიც მათ ნებას რთავს იმუშაონ ქვეყანაში ხუთი წლის განმავლობაში. ამ პროგრამის მოქმედების სამი წლის განმავლობაში ქვეყანაში შევიდა დაახლოებით 14,5 ათასი სპეციალისტი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდან. შრომითი მიგრანტების უმეტესობა, რომლებმაც მიიღეს "მწვანე ბარათი," არიან ინდოეთიდან გამოსულები (26%), რაოდენობრივად მეორე ჯგუფს ქმნიან რუსეთის, ბელორუსიის, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების მოქალაქეები (13%).

მთლიანობაში გერმანიის შრომის ბაზარზე შესვლა ევროკავშირის წევრი და არაწევრი ქვეყნებისათვის პრინციპიალურად განსხვავებულია. ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებს არ ჭირდებათ ნებართვა გერმანიაში სამუშაოდ, მათ მხოლოდ უნდა მიიღონ ფორმალური ნებართვა საცხოვრებლად, რომელიც მათ ავტომატურად აძლევთ შრომითი მოწყობისა და სწავლების უფლებას (5 წლამდე ვადით). რაც შეეხება იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც არ შედიან ევროკავშირში, მათ შეუძლიათ შევიდნენ გერმანიაში ზემოთდასახელებული სახელმწიფოთაშორისი სამი ტიპის შეთანხმებიდან ერთ-ერთის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ გერმანიაში არის განსაკუთრებული მოთხოვნა მათ პროფესიაზე ან კვალიფიკაციაზე (მეცნიერ მუშაკები, მასწავლებლები, სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროდან, ხელოვნების მოღვაწენი, სპორტსმენები), და ამასთანავე თუ არის შრომის ფედერალური უწყების თანხმობა.

იტალიამ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით გვიან მიიღო შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის სტატუსი. 1950-1970-იან წლებში იტალია იყო სამუშაო ძალის უმსხვილესი მიმწოდებელი დასავლეთ ევროპის ქვეყნების შრომის ბაზარზე. 1973 წლის კრიზისის შემდეგ სიტუაციამ დაიწყო შეცვლა: დაიწყო იტალიური წარმოშობის მიგრანტთა ნაკადების უკან დაბრუნების პროცესი; გარდა ამისა, იტალიის შრომის ბაზარზე, რომელიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით არ იყო დაცული

საკანონმდებლო ბარიერებისაგან, ნაწილობრივ ორიენტაცია აიღეს შრომითი მიგრაციის ნაკადებმა აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე იმ პერიოდში იტალიის ეკონომიკის სწრაფი განვითარება. ამას გარდა 1980-იანი წლების ბოლომდე, მიუხედავად იმიგრანტთა შედარებით დიდი ნაკადების შემოდინებისა (150 ათას კაცამდე წელიწადში), იტალიაში პრაქტიკულად ტარდებოდა ღია კარის პოლიტიკა როგორც მუდმივი, ისე დროებითი მიგრანტების მიმართ. თუმცა მთავრობის მხრიდან უყურადღებობამ მიგრანტთა რაოდენობის ზრდის კონტროლისადმი გამოიწვია სიტუაციის გამწვავება ადგილობრივ შრომის ბაზარზე, გავრცელდა სიღარიბე, გახშირდა კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე.

1990 წელს მიღებულმა კანონმა № 39, რომელიც ცნობილია მარტელის კანონით, გამოაცხადა მიგრაციული პოლიტიკის ახალი კონცეფცია, რომელიც ერთის მხრივ უზრუნველყოფდა ქვეყანაში მყოფი მიგრანტების, მათ შორის არალეგალების სოციალურ დაცვას, მათთვის ლეგალური სტატუსის მინიჭებას, ხოლო მეორეს მხრივ იგი ითვალისწინებდა ქვეყანაში შესვლის უფლებების გამკაცრებას, ე.ი. ახალი მიგრანტთა ნაკადების შეზღუდვას. ასეთი კონცეფცია მთლიანობაში შეესაბამება ევროკავშირის ერთიან მიგრაციულ პოლიტიკას.

კანონმა № 39 იტალიაში პირველად შემოიტანა ცნება მიგრაციული ნაკადების მართვის შესახებ. ასეთი მართვის მექანიზმად შემუშავებული იქნა პრიორიტეტების სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო როგორც ეკონომიკურ პრინციპებზე (მუშაკთა ნაკლებობა ეკონომიკის გარკვეულ დარგებში), ისე კულტურულ უპირატესობებზე (იტალიური წარმოშობის პირები და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები). შრომით მოწყობისას აგრეთვე გამოიყენება პრიორიტეტების სისტემა, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

1) იტალიისა და ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეები;
2) ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც აქვთ იტალიაში დროებითი ცხოვრების ნებართვა (მუდმივი მაცხოვრებლები);
3) ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც აქვთ იტალიაში დროებითი ცხოვრების ნებართვა;

4) ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მოქალაქეები, რომელთაც არა აქვთ იტალიაში ცხოვრების ნებართვა.

ვიზების 20 კატეგორიიდან, რომლითაც ამჟამად კანონიერად შეიძლება შესვლა იტალიაში, მხოლოდ 2 კატეგორია აძლევს უფლებას პირებს შევიდნენ ქვეყანაში სამუშაოდ:

✓ ვიზა "დამოუკიდებელი მუშაკებისთვის," (დამოუკიდებელი ხასიათის სამუშაო: მეწარმეები, "თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები" და ა.შ.),

✓ ვიზა" დამოკიდებელი მუშაკებისთვის," ე.ი. დაქირავებული მუშაკებისთვის. ყველაზე გავრცელებული ვიზის მეორე ტიპი მოითხოვს, რომ სამუშაოს მიმწოდებელს გააჩნდეს კონკრეტული უცხოელი მუშაკის დაქირავების ნებართვა მოცემული პროვინციის შრომის დეპარტამენტიდან, რათა ადგილობრივი შრომის ბაზარი დაცული იყოს ჭარბი კონკურენციისგან. ამას გარდა, სამუშაოს მიმწოდებელი უნდა იძლეოდეს გარანტიას, რომ უცხოელ მუშაკს მიეცემა თანაბარი სოციალური გარანტიები ადგილობრივ დაქირაბებულ მუშაკთან ერთად და კონტრაქტის დასრულების შემდეგ იგი აუცილებლად დატოვებს ქვეყანას.

მსოფლიოს ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის იაპონია არის ერთ-ერთი ყველაზე ჩაკეტილი ქვეყანა იმიგრაციული პოლიტიკის თვალსაზრისით. იმიგრაციული სისტემის ფორმირებისათვის ტრადიციებისა და ნაციონალური თვითმყოფადობის შენარჩუნების სწრაფვა აღმოჩნდა უფრო ძლიერი სტიმული, ვიდრე სამუშაო ძალის დეფიციტი. მუშახელის უკმარისობა 1960-1990-იან წლებში იაპონიაში კომპენსირდებოდა შრომის დამზოგავი ტექნოლოგიების შემუშავებით, წარმოების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სრულყოფით, აგრეთვე ნაწილობრივ წარმოების საზღვარგარეთ გატანით. საზღვარგარეთიდან არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მოზიდვამ, როგორც ოფიციალურად თვლიან იაპონიაში, შეიძლება შეაფერხოს ქვეყნის განვითარება, რომელიც ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიურ დარგებზე.

თუმცა XX საუკუნის ბოლოს დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობამ აიძულა იაპონიის მთავრობა გარკვეული ზომით გადაესინჯა თავისი პოლიტიკა

უცხოური სამუშაო ძალის მოზიდვის მიმართ. მოსახლეობის ბუნებრივი მატების ტემპების შემცირებამ გამოიწვია ეროვნული სამუშაო ძალის რაოდენობის შემცირება. ამავე დროს კი იზრდება მოთხოვნა სამუშაო ძალაზე: იზრდება მშენებლობისა და მომსახურების სფეროს წილი, რომელთაც სჭირდებათ უფრო მეტი სამუშაო ძალის რაოდენობა და რომელთაც უფრო ნაკლებად, ვიდრე მსხვილ წარმოებას, სჭირდებათ თანამედროვე ავტომატიზაცია. იაპონელი ახალგაზრდობა, რომელიც არის განათლებული და ორიენტირებულია მაღალტექნოლოგიური დარგების სამუშაოებზე, უარყოფს ფიზიკურ, შემთხვევით, არაპრესტიჟული სახეობის სამუშაოებს. ეს იწვევს მუშახელის მზარდ დეფიციტს მცირე წარმოების სფეროში, აგრეთვე დამხმარე და სამომსახურებო საქმიანობის სფეროში.

სამუშაოს მიმწოდებლების ზეწოლით 1990 წელს გადაისინჯა იაპონიის საიმიგრაციო კანონი, რომელიც ოფიციალურად მკაცრად კრძალავდა არაკვალიფიციური სამუშაო ძალის მოზიდვას საზღვარგარეთიდან. კანონის ახალმა ვერსიამ ორი სახის გზა გაუხსნა უცხოურ სამუშაო ძალას, რომელსაც კანონიერ საფუძველზე შეუძლია შეასრულოს არაკვალიფიციური სამუშაო. პირველი დასაშვები გზა – ეს არის იაპონური წარმოშობის უცხოელთათვის (იაპონიიდან მასიური ემიგრაციის შედეგად XX საუკუნის პირველ ნახევარში მრავალრიცხოვანი იაპონური დიასპორები გაჩნდა ბრაზილიაში, პერუში, არგენტინაში, კანადაში, აშშ-ში). მათ ეძლევათ იაპონიაში ხანგრძლივად ცხოვრების უფლება. მეორე გზა – ეს არის უცხოელი სტაჟიორების მოზიდვა კვალიფიკაციის ასამაღლებლად იაპონიის მსხვილ საწარმოებში. დასაწყისში უცხოელი სტაჟიორების მოწვევა შეეძლო მხოლოდ მსხვილ კომპანიებს, რადგან არსებობდა სტაჟიორების მიღების მკაცრი შეზღუდვა: 20 იაპონელ მუშაკზე მოდიოდა ერთი სტაჟიორი. 1990 წელს ეს მდგომარეობა შეიცვალა, და მცირე და საშუალო კომპანიებს, რომელთა პერსონალი შეადგენდა 50 ადამიანამდე, ნება მიეცათ მიეწვიათ 3 სტაჟიორი. შემდგომ საიმიგრაციო კანონმდებლობა სტაჟიორების მიმართ კიდევ უფრო შერბილდა. კერძოდ, მათ ნება მიეცათ გაეგრძელებინათ ქვეყანაში ყოფნის ვადა, რომელიც ადრე მკაცრად იყო განსაზღვრული 6 თვემდე. ფაქტიურად უცხოელი სტაჟიორები იაპონიაში

წსავლობენ არა მარტო მოწინავე საწარმოო ჩვევებს, არამედ ისინი ასრულებენ დამხმარე არაკვალიფიციურ სამუშაოებს (ნაგვის გამტანები, მტვირთავები, დამლაგებლები და ა.შ.) მინიმალური ანაზღაურების საფასურად. იაპონიის კანონმდებლობით რაოდენობრივი შეზღუდვები მოწვეულ სტაჟიორთა რაოდენობაზე არ არსებობს, და ყოველწლიურად მათი რაოდენობა სულ უფრო მატულობს. მაგალითად, 1992 წელს იაპონიაში შევიდა 44 ათასი უცხოელი სტაჟიორი, ხოლო 1999 წელს მათმა რაოდენობამ უკვე 70 ათასი შეადგინა.

რაც შეეხება კვალიფიციური მუშაკების მოზიდვას სხვა ქვეყნებიდან, იაპონია, როგორც სხვა განვითარებული ქვეყნები, ცდილობს მიიღოს მაქსიმალური უპირატესობა გლობალიზაციის ობიექტური პროცესიდან და გააფართოვონ თავისი სამეცნიერო-კვლევითი, კულტურული და სხვა სახის პოტენციალი უცხოელი სპეციალისტების ხარჯზე. ქვეყანაში უცხოელი მოქალაქეების ყოფნის სტატუსების არსებული სისტემა განასხვავებს უცხოელთა კატეგორიებს, რომელთაც ქვეყანაში შესვლის ნება მიეცათ, მათი პროფესიული კვალიფიკაციით, განათლების დონით, სამუშაო სტაჟით, ფინანსური მდგომარეობით და ა.შ. სულ დამტკიცებულია 28 სტატუსი, მათგან 16 ითვალისწინებს შრომით საქმიანობას იაპონიაში. თვითეულ სტატუსს მიცემული აქვს პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უცხოელს შეუძლია დაჰყოს იაპონიის ტერიტორიაზე. როგორც წესი, ეს პერიოდი არ აჭარბებს 3 წელს. მაგალითად, ცალკეული "სტატუსები" გათვალისწინებულია იურისტებისთვის, ინვესტორებისათვის, მედიცინის მუშაკთათვის, ინჟინრებისთვის, მასწავლებლებისათვის (ძირითადად უცხო ენის), უნივერსიტეტის პროფესორთათვის, ხელოვნების მუშაკთათვის (კომპოზიტორები, პოეტები, მხატვრები, მოქანდაკეები), შოუ-ბიზნესის მუშაკთათვის, პროფესიონალთათვის (სხვადასხვა სფეროებში – არქიტექტურიდან ეროვნულ სამზარეულომდე). სტატუსის მინიჭებით უცხოელს უფლება ეძლევა დროის გამოყოფილ პერიოდში აწარმოოს იმ სახის საქმიანობა, რომელსაც კონკრეტული სტატუსი ითვალისწინებს. მინიჭებული სტატუსის ჩარჩოებიდან არასანქცირებული გამოსვლა ითვლება ქვეყანაში ყოფნისა და საქმიანობის რეჟიმის სერიოზულ დარღვევად. 2000

წლიდან იგი კვალიფიცირდება როგორც დანაშაული და ექვემდებარება დასჯას, თვით ციხის პატიმრობასაც კი 3 წლის ვადით.

თურქეთი წარმოადგენს იმ ქვეყნების მაგალითს, რომელიც რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში აქტიურად ატარებს შრომითი რესურსების ექსპორტის წახალისების სახელმწიფო პოლიტიკას.

თურქეთი ჩაერთო საერთაშორისო შრომით მიგრაციაში 1961 წელს, ქვეყნის კონსტიტუციის მიღების შემდეგ, რომელიც თურქეთის მოქალაქეებს აძლევდა უფლებას თავისუფლად წასულიყვნენ საზღვარგარეთ. მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალმა ტემპებმა ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურის პირობებში განაპირობა მოსახლეობის გადანაწილება აგრარულ სექტორში და უმუშევრობის ზრდა როგორც ღია ისე ფარული ფორმით.Aამავე დროს დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა (უწინარეს ყოვლისა გერმანიამ, რომელსაც სხვა ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ გააჩნდა კოლონიები, საიდანაც შეეძლო შემოეყვანა დამატებითი სამუშაო ძალა) ყურადღება მიაქცია თურქეთის შრომის ბაზარს, როგორც იაფი არაკვალიფიციური სამუშაო ძალის წყაროს, რომელიც იმ პერიოდში საჭირო იყო ევროპული ეკონომიკის აღსადგენად.

თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი დაინტერესება სამუშაო ძალის მასობრივ ექსპორტში, რითაც ის შეარბილებდა ქვეყნის შიგნით დასაქმების პრობლემას, ხოლო მუშა-მიგრანტები მიიღებდნენ პროფესიულ მომზადებას და თანამედროვე სპეციალობებს; გარდა ამისა ქვეყანაში შევიდოდა უცხოური ვალუტა მიგრანტთა ფულადი გზავნილების სახით. ხელი მოეწერა ორმხრივ სახელმწიფოთაშორის შეთანხმებას თურქეთის სამუშაო ძალის გამოყენების შესახებ: 1961 წელს – გერმანიასთან, 1964 წელს – ავსტრიასთან, ბელგიასთან და ნიდერლანდებთან, 1965 წელს – საფრანგეთთან, 1967 წელს – შვეციასთან და ავსტრალიასთან. ამრიგად, ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებიც თურქეთზე ადრე შევიდნენ დასავლეთ ევროპის შრომის ბაზარზე და სადაც შრომითი მიგრაცია უპირატესად არაორგანიზებული ხასიათის იყო, თურქეთში

თითქმის დასაწყისშივე სამუშაო ძალის ექსპორტს მხარს უჭერდა და არეგულირებდა ქვეყნის ხელიუფლება.

1960-იან წლებში დასაქმების ეროვნულ სამსახურთან შეიქმნა საზღვარგარეთ დასაქმების სახელმწიფო საშუამავლო სააგენტოების ქსელი, რომლებიც ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად არეგულირებდა საზღვარგარეთ გამსვლელთა რაოდენობას და რიგითობას, მიგრანტებს უზრუნველყოფდა სამედიცინო გამოკვლევით, აუცილებელი დოკუმენტაციის გაფორმებით, მათ შორის თურქი მუშების უცხოელ სამუშაოს მიმწოდებლებთან შრომითი კონტრაქტების პირობებით. 1961 წლიდან 1975 წლამდე ამ სააგენტოებმა ევროპაში განათავსეს 800 ათასზე მეტი თურქი მუშა. 1970-იანი წლების შუა პერიოდში ყოველი მესამე შრომითი მიგრანტი დასავლეთ ევროპაში იყო თურქი.

საზღვარგარეთ დასაქმების მიმზიდველობამ დიდად გაზარდა განმცხადებელთა რაოდენობა და 1973 წლისათვის ქვეყნის ეროვნული სამსახურის მიერ თითქმის 1 მილიონი ადამიანი იყო დარეგისტრირებული საზღვარგარეთ სამუშაოდ გასამგზავრებლად. რამდენადაც წასვლის ნებართვის მიღება შესაძლებელი ხდებოდა მიმღებ ქვეყანაში კონკრეტული სამუშაო ადგილის არსებობის შემთხვევაში, მოლოდინი ხშირად გრძელდებოდა რამოდენიმე წელს. სახელმწიფომ წარმატებით გამოიყენა ეს სიტუაცია და დაიწყო "სოფლის განვითარების კოოპერატივების" შექმნა. კოოპერატივების წევრები ღებულობდნენ უპირატესობას საზღვარგარეთ შრომით მოწყობაში იმის სანაცვლოდ, რომ მათ მიერ სამშობლოში გამოგზავნილი ფულის ნაწილი გამოყენებული იქნებოდა როგორც კოოპერატივის კაპიტალდაბანდება.

საერთოდ, მიგრანტთა ფულადი გზავნილები სამშობლოში იყო თურქეთის მთავრობის პოლიტიკის მიზანმიმართული საგანი, რომელიც ხელს უწყობდა გამომუშავებული თანხების რაც შეიძლება მეტი ნაწილის გადმორიცხვას სამშობლოში. ამისათვის მუშა-მიგრანტებს მიეცათ ნებართვა გაეხსნათ ანგარიშები სახელმწიფო ბანკებში, რომლებიც სთავაზობდნენ შეღავათიან კურსს ადგილობრივი ვალუტით გადახდის შემთხვევაში (თურქეთის ეროვნული ვალუტა არ იყო კონვერტირებადი 1990

წლამდე). მიგრანტთა ფულადი გზავნილების ეროვნულ ეკონომიკაში ჩადების სტიმულირებისათვის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა მუშათა საინვესტიციო ბანკი, რომელიც საზღვარგარეთ მყოფი თურქი მუშების სახსრებს აბანდებდა ინდუსტრიულ პროექტებში ე.წ. "მუშათა კომპანიების" მეშვეობით. "მუშათა კომპანიების" აქციონერებს სამშობლოში დაბრუნებისას შეეძლოთ მიეღოთ იქ შრომითი მოწყობის გარანტია. Aმას გარდა, ხელისუფლების მიერ შემოღებული იქნა საბაჟო შეღავათები მიგრანტების მიერ შემოტანილ ხანგრძლივი გამოყენების სამომხმარებლო საქონელზე და საწარმოო დანიშნულების საქონელზე.

ყველა ეს ზომები ხელს უწყობდა თურქი შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების სწრაფ ზრდას: 1964 წელს მათმა ფულადმა გზავნილებმა შეადგინეს 8 მილიონი დოლარი, 1965 წელს – 70 მილიონი დოლარი, 1970 წელს – 273 მილიონი დოლარი, 1973 წელს – 1 მილიარდი, 1978 წელს – 2 მილიარდი. 1990-იანი წლების ბოლოს თურქი მიგრანტების ფულადმა გზავნილებმა უკვე გადააჭარბა 3 მილიარდ დოლლარს; ხოლო 2006 წელს შეადგინა 7.5 მილიარდი დოლარი.

როდესაც 1973 წელს ნავთობის კრიზისის შემდეგ შრომითი მიგრაციის ნაკადები დასავლეთ ევროპის მიმართულებით მკვეთრად შემცირდა, თურქეთის მთავრობამ გადადგა აქტიური ნაბიჯები თავისი სამუშაო ძალისთვის ალტერნატიული ბაზრების მოსაძებნად. 1970-1980-იან წლებში ასეთი ბაზრები აღმოჩნდა ნავთობმომპოვებელ არაბულ ქვეყნებში. 1986 წელს დაახლოებით 200 ათასი თურქი მუშა იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ამასთან თურქეთის ხელისუფლების სტრატეგია სამუშაო ძალის ექსპორტის მიმართ შეიცვალა: შეიქმნა პირობები თურქეთის კერძო ფირმების მსოფლიო ბაზარზე დასაწინაურებლად, უპირველეს ყოვლისა შედარებით კონკურენტუნარიანი სამშენებლო სექტორისათვის. თავის მხრივ, ეს ფირმები კონკრაქტის საფუძველზე იზიდავდნენ თურქეთის სამუშაო ძალას სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად.

ასეთი ტაქტიკის მხარდაჭერას განაგრძობდა თურქეთის ხელმძღვანელობა, როდესაც 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იან წლებში "გაიხსნა" ახალი ბაზრები აღმოსავლეთ ევროპის

ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მაგალითად, 1987 წელს ხელმოწერილი იქნა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულება თურქეთში რუსული გაზის მიწოდების შესახებ და კონტრაქტის პირობის თანახმად გაზის საფასურის 20%-ს თურქეთის მხარე გადაიხდიდა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებით ჯერ კიდევ მაშინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ამრიგად, თურქეთის მთავრობამ შექმნა "პლაცდარმი" მსხვილი თურქული კერძო სამშენებლო ფირმებისათვის. 1990-იანი წლების შუა პერიოდში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე უკვე მოქმედებდა 200-ზე მეტი თურქეთის სამშენებლო ფირმა (წვრილი კონტრაქტორების ჩათვლით), ხოლო თურქეთის მუშები (დაახლოებით 40 ათასი) რაოდენობრივად შეადგენენ რუსეთში ლეგალური უცხოური სამუშაო ძალის მესამე ჯგუფს უკრაინელებისა და ჩინელების შემდეგ.

Tamaz Zubiashvili

Experience of Some Countries in Regulation of International Labour Migration

Abstract

The International labour migrants' legal provision for many decades is a subject of activity of the international organizations, first of all the United Nations Organization and the International Labour Organization (ILO). More than a half of the world countries support the necessity of the state efforts concerning the migration, directed on increase, preservation or reduction of its scales.

For the last decades numerous reports, programs, recommendations were made by the United Nations and the International Labour Organization, containing the analysis of global migratory situation, conceptual approaches of migratory policy, the basic directions and mechanisms of its realization.

Today significant experience in carrying out of migration policy is accumulated in the world. In different countries there are various

conceptual approaches to the realization of the state regulation of international migratory streams; methods and tools of such regulation are developed. Below there are provided concrete examples of the countries representing different regions of the world, a different degree of participation in international migration, different types of migration policy. Thus the basic attention is concentrated on the regulation of labour migration.

ელგუჯა მენაბდიშვილი

ოჯახის ტრადიციული ტიპიდან თანამედროვე დემოკრატიულ მოდელზე გადასვლა

არავინ დავობს იმ საკითხზე, რომ ოჯახი ყველაზე ფასეული სოციალური ინსტიტუტია, რომელიც ადამიანის ყველაზე ფუნდამენტურ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საჭიროებებს პასუხობს. საზოგადოების ყოველი წევრი, დაბადების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე, სოციალურ სტატუსთან და ეთნიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად ფლობს ისეთ მახასიათებელს, როგორიცაა საოჯახო ქორწინებითი მდგომარეობა. ადამიანები ოჯახს ქმნიან არა იმიტომ, რომ იგი საზოგადოებაში სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს, არამედ იმიტომ, რომ იგი მილიონობით ადამიანისათვის უდიდეს ფასეულობას წარმოადგენს.

ოჯახის თანამედროვე მოდელზე გადასვლას განვიხილავთ სოციალურ ფასეულობათა ცვლილების საფუძველზე. რადგან ფასეულობითი ორიენტაცია პიროვნების შინაგანი სტრუქტურის დიდმნიშვნელოვანი ელემენტია. ჩამოყალიბებული ფასეულობითი ორიენტაციები წარმოადგენენ ცნობიერების თავისებურ ღერძს. ის კი უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს გარკვეული ქცევისადმი. ამდენად, ფასეულობითი ორიენტაცია განსაზღვრავს პიროვნების მოტივაციის დეტერმინირებას და რეგულირებას.

რესპონდენტებს მივეცით ფასეულობათა ჩამონათვალი. მასში შედიოდა ხუთი ფასეულობა: მატერიალური მდგომარეობა, განათლება, კარიერა, ოჯახის შექმნა, შვილის ყოლა. ჩამოთვლილი ფასეულობებიდან უნდა ამოერჩიათ სამი მათგანი და დაელაგებინათ ისინი მნიშვნელობის მიხედვით: ყველაზე მნიშვნელოვანი, მეორე მნიშვნელობის და მესამე მნიშვნელობის.

დიაგრამა 1. ჩამოთვლილთაგან თქვენთვის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი?(%)



ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობებს თუ განვიხილავთ სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში აღმოჩნდება, რომ მამრობითი სქესის ყველა ასაკის რესპონდენტში პირველ ადგილზეა მატერიალური მდგომარეობა, ხოლო მეორეზე ოჯახი. გამონაკლისს წარმოადგენენ 18-დან 20 წლამდე ასაკის რესპონდენტები. მათ მატერიალური მდგომარეობის მერე აირჩიეს განათლება, კარიერა და ოჯახი. შვილის ყოლა კი ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობათა მიღმა აღმოჩნდა.

დიაგრამა 2. ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობები მამაკაცებში ასაკის მიხედვით(%)



მდედრობითი სქესის რესპონდენტებში ჩამოთვლილი ფასეულობებისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მათთან ოჯახს მესამე ადგილი უკავია მატერიალური მდგომარეობისა და განათლების მერე. გამონაკლისს აქაც 18-დან 20 წლამდე რესპონდენტები წარმოადგენენ. მათ ყველაზე მნიშვნელოვან ფასეულობებში პირველი ადგილი მიანიჭეს განათლებას, შემდეგ კარიერას, მატერიალურ მდგომარეობას და შვილებს თანაბრად და, ბოლოს, ოჯახს.

დიაგრამა 3. ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობები ქალებში ასაკის მიხედვით(%)



საზოგადოებისათვის ოჯახის შექმნის თვალსაზრისით, ქორწინება უმნიშვნელოვანეს ფუნქციის მატარებელ ინსტიტუტად იყო აღიარებული. თუმცა ფასეულობათა გადაფასებამ ამ მოსაზრებაში ბზარი შეიტანა. გამოკვლევამ გამოავლინა ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულების გაძლიერება. ასეთი ქმედება სულ უფრო დასაშვები ხდება. მნიშვნელობას კარგავს წყვილის ქორწინების გარეშე ცხოვრების ნეგატიური პოზიციის დაცვა. რესპონდენტების უმეტესობა (53,1%), თვლის რომ წყვილს შეუძლია ქორწინების გარეშეც იცხოვროს ერთად. 16,9%-ს ამ საკითხისადმი გამოკვეთილი აზრი არ აქვს.

შეიცვალა არა მხოლოდ დამოკიდებულება ქორწინების რეგისტრაციის გარეშე ცხოვრებისადმი, არამედ რეალურად რესპონდენტების 15,4% თავის პარტნიორთან ერთად ცხოვრობს

იურიდიული და რელიგიური ქორწინების გარეშე. ასეთი აღმოჩნდა მამაკაცი რესპონდენტების 18,9% და ქალის 12,7%.

ოჯახურ-ქორწინებითი ურთიერთობების მორალური იმპერატივის რყევაზე მიგვანიშნა ქორწინების გარეშე ბავშვების დაბადებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებამ. შეიცვალა სქესობრივი ურთიერთობების ნორმები. არც თუ ისე ადრე დამკვიდრებული მორალური იმპერატივი, რომ სქესობრივ ურთიერთობებსა და ბავშვის გაჩენას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ქორწინება, დღეს უკვე კარგავს მნიშვნელობას. რესპონდენტებს უნდა გამოეხატათ მოსაზრება საკითხზე: „გამართლებულია თუ არა ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა.“ ამგვარი ქცევა „ყოველმხრივ გამართლებულად“ მიიჩნია რესპონდენტთა 14,6%-მა, ხოლო „ყოველმხრივ გაუმართლებელია“ 21% და „ზნეობრივად გაუმართლებელია“ 11,4%-სთვის.

დიაგრამა 4. გამართლებულია თუ არა ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის გაჩენა(%)?



რესპონდენტებმა ტოლერანტულობა გამოამჟღავნეს ქორწინების გარეშე ბავშვების გაჩენისადმი იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს მათ ახლობელს ეხება. შეკითხვაზე: „თქვენმა ახლობელმა

ქალმა (შვილი, და, ნათესავი, მეგობარი) ქორწინების გარეშე, რომ გააჩინოს შვილი, როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება მისდამი?“ კატეგორიულად უარყოფითი პოზიცია გამოხატა მხოლოდ მცირე ნაწილმა. „არ მოვუწონებ და გავწყვეტ მასთან ურთიერთობას“ – 4,1%. „არ მოვუწონებ, მაგრამ ურთიერთობას არ გავწყვეტ“ – 32,8%. ინდიფერენტული განწყობა გამოხატა 14,4%-მა, მათ აღნიშნეს, რომ „არანაირი რეაქცია არ ექნებათ“. „მოუწონებს და ყველანაირად დაეხმარება“ 17,6%, ხოლო „როგორც არასასურველ ფაქტს შეეგუება და ყველანაირად დაეხმარება“ 31,3%.

ფასეულობათა გადაფასებამ, ოჯახის, როგორც ყველაზე მნიშვცნელოვანი ფასეულობის შეცვლამ მიგვიყვანა ოჯახის მოდერნიზაციამდე, რამაც აუცილებლად ასახვა უნდა ჰპოვოს ოჯახის სტრუქტურაზე.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ოჯახის სტრუქტურაზე და ტიპებზე სასაუბროდ, მათ დასახასიათებლად, მათში მიმდინარე ცვლილებების აღსაწერად საკმარისი არ არის სოციოლოგიური გამოკვლევა, აუცილებელია აღწერის მასალები. უკვე დაიწყო მზადება მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის. მალე მივიღებთ ზუსტ და სრულყოფილ ინფორმაციას სასურველ საკითხზე. ამ ეტაპზე კი ჩვენი მიზანია საზოგადოების დამოკიდებულების, განწყობის კვლევა წამოყენებული საკითხისადმი.

იმ შემთხვევაში როცა ახლად დაქორწინებული წყვილი ცალკე მშობლების გარეშე სახლდება და საკუთარ „მკვიდრ“ ოჯახს აფუძნებს, სახეზე გვაქვს ფინანსურად და ვრცეულად დამოუკიდებელი ერთეული „ნეოლოკალური“ სტრუქტურა. სადაც ყველა პრობლემა მეუღლეთა შორის ურთიერთობიდან, მათი გრძნობად-ემოციური დამოკიდებულებიდან წარმოდგება. საინტერესოა, მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. როგორ ფიქრობენ, მშობლებთან ერთად ან დამოუკიდებლად ცხოვრება ახდენს თუ არა გავლენას მათ ოჯახურ ბედნიერებაზე. მამაკაცი რესპონდენტების 74,3% არ დაეთანხმა მოსაზრებას:

„იმისათვის, რომ ქორწინება იყოს ბედნიერი აუცილებელია წყვილმა იცხოვროს მშობლების ოჯახში“. ამ საკითხისადმი გამოკვეთილი აზრი არ აქვს 16,6%-ს, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი იზიარებს ამ მოსაზრებას (9,1%). ქალმა რესპონდენტებმაც მამაკაცის მსგავსი დამოკიდებულება გამოავლინეს. მოსაზრებას არ დაეთანხმა 81,4%, საკითხისადმი გამოკვეთილი აზრი არ გააჩნია 13,4%-ს, ხოლო 5,2% მოსაზრებას იზიარებს. იმავე საკითხზე კითხვა სხვაგვარადაც იყო დასმული. „რამდენად ეთანხმბით შემდეგ მოსაზრებას: იმისათვის რომ ქორწინება იყოს ბედნიერი აუცილებელია წყვილმა იცხოვროს დამოუკიდებლად?“ პასუხები თითქმის ისეთივე იყო. მოსაზრებას დაეთანხმა მამაკაცების 77,7% და ქალების 82,6%. გამოკვეთილი აზრი არ აქვს მამაკაცების 11,3% და ქალების 11,4%-ს. არ ეთანხმება მამაკცების 11% და ქალების 6%. რესპონდენტების უმეტესობა (91,8%) მიიჩნევს, რომ თუ ბინაში ცხოვრობს ორი ან მეტი ოჯახი, სასურველია მათი ცალკე ცხოვრება.

ცხრილი 1. რესპონდენტთა დამოკიდებულება „მკვიდრი“ ოჯახისტიპისადმი(%)

	აუცილებელია წყვილმა იცხოვროს მშობლების ოჯახში			აუცილებელია წყვილმა იცხოვროს დამოუკიდებლად			თუ ბინაში ცხოვრობს ორი ან მეტი ოჯახი სასურველია მათი ცალკე ცხოვრება		
	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
ვეთანხმები	9,1	5,3	7,0	77,7	82,6	80,4	89,8	93,5	91,8
არ ვეთანხმები	74,2	81,4	78,1	11,0	6,0	8,2	10,2	6,5	8,2
მიჭირს პასუხი	16,7	13,3	14,9	11,3	11,4	11,4	0,0	0,0	0,0

მეოცე საუკუნეში ე.წ. გაფართოებული ოჯახები ნელ-ნელა „მკვიდრ“ ოჯახებად გადაიქცა. ოჯახების ასეთ მოწყობას დროთა

განმავლობაში მეტი უპირატესობა მიენიჭა, რადგან ოჯახის სტრუქტურის სახეცვლილებამ უფრო მეტი ინდივიდუალიზმისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობა მისცა ახალ თაობას, წინამორბედებთან შედარებით.

დიაგრამა 5. ამჟამად ცხოვრობთ თქვენს საკუთარ მშობლებთან ერთად (რესპონდენტის ასაკისა და სქესის მიხედვით %)?



იმ მიზეზებიდან რის გამოც რესპონდენტები არ ცხოვრობენ მშობლებთან ერთად ყველაზე მეტია მამაკაცებში დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი – 50%, ხოლო ქალებში დაქორწინების შემდეგ მეუღლის ოჯახში ცხოვრება – 54,8%, ასევე დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილი – 19%.

დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილს ორივე სქესის წარმომადგენლები უკვე 20 წლის ასაკიდან ამჟღავნებენ. ეს ტენდენცია გამოკვეთილია იმ რესპონდენტებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ. ამ უკანასკნელთაგან უახლოეს ხუთ წელიწადში ცალკე ცხოვრებას აპირებს 28,1%.

ცხრილი 2. რატომ არ ცხოვრობთ თქვენს მშობლებთან ერთად(%)?

	მშობლები გარდაცვლილები არიან			მსურს დამოუკიდებლად ცხოვრება			ოჯახში შექმნილი სუბიექტური მიზეზების გამო			დავქორწინდი და ვცხოვრობ მეუღლის ოჯახში		
	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
< 20	0,0	0,0	0,0	16,7	53,8	42,1	83,3	46,2	57,9	0,0	0,0	0,0
20-24	0,0	0,0	0,0	63,0	31,9	43,2	37,0	23,4	28,4	0,0	44,7	28,4
25-29	3,8	1,6	2,3	53,8	21,0	30,7	30,8	3,2	11,4	11,6	74,2	55,7
30-34	6,7	1,2	2,7	60,0	21,0	31,5	20,0	11,1	13,5	13,3	66,7	52,3
35-39	19,4	12,1	14,9	63,0	19,0	36,2	8,3	5,2	6,4	8,3	63,8	42,6
40-44	24,0	25,4	24,8	56,5	15,5	31,6	6,5	5,6	6,0	13,0	53,5	37,6
45+	44,7	50,5	47,8	32,9	8,1	19,6	16,5	1,0	8,2	5,9	40,4	24,5
სულ	23,0	17,9	19,8	50,0	19,0	30,4	19,0	8,4	12,4	8,0	54,8	37,4

შევეცადეთ გაგვერკვია ის მიზეზები, რომლის გამოც ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ რესპონდენტები. მათ შევთავაზეთ ხუთი მიზეზი: მათი ფინანსური მდგომარეობა, სამუშაო, საცხოვრებელი პირობები, ჯანმრთელობა, მათი მშობლების ჯანმრთელობა. რესპონდენტებს უნდა აღენიშნათ, მათი გადაწყვეტილება იმის შესახებ, მომავალი ხუთი წლის გამნავლობაში, დაიწყებენ თუ არა მშობლებისაგან ცალკე ცხოვრებას, რამდენადაა დამოკიდებული ჩამოთვლილ მიზეზებზე. მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი არის რესპონდენტის ფინანსური მდგომარეობა (36,6%).

დიაგრამა 6. თქვენი გადაწყვეტილება იმის შესახებ, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, დაიწყოთ თუ არა მშობლებისაგან ცალკე ცხოვრება, არის თუ არა დამოკიდებული შემდეგ გარემოებებზე (%)?



ცალკე უნდა გამოვყოთ დაოჯახებული რესპონდენტები. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების 27,1% უახლოეს ხუთ წელიწადში აპირებს მშობლებისაგან ცალკე ცხოვრებას. 19,1%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, ხოლო ნახევარზე მეტი (53,7%) არ აპირებს. ტრადიციულად ქართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია უმცროსი ვაჟის მშობლებთან ერთად ცხოვრება, ან მხოლოდ ქალიშვილის შემთხვევაში ძესიძედ შესვლა, ე.ი. მატრილოკალური სტრუქტურა.

იმ მიზეზებიდან, რის გამოც ახალგაზრდა ოჯახები, დამოუკიდებლად ცხოვრების სურვილის მიუხედავად, ჯერ კიდევ მშობლებთან ცხოვრობენ, ყველაზე ხშირია ფინანსური დამოკიდებულება. ოჯახში წევრთა ფინანსური მდგომარეობა, სოციოლოგთა აზრით, განსაზღვრავს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის წევრები არა მხოლოდ მატერიალურად არიან დამოკიდებულნი ერთმანეთზე, არამედ უფლებრივადაც. გამოდის რომ, თუ ახალგაზრდა ოჯახი მატერიალურად მშობლებზეა დამოკიდებული, მათ არ შეუძლიათ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ოჯახი.

დიაგრამა 7. ქორწინებაში მყოფ რესპონდენტთა გადაწყვეტილება იმის შესახებ, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში, დაიწყონ თუ არა მშობლებისაგან ცალკე ცხოვრება არის თუ არა დამოკიდებული შემდეგ გარემოებებზე(%)?



ქართულ ყოფაში ოჯახის მართვის ისეთი ფორმაა ტრადიციული, სადაც მეუღლეთა პარტნიორობაში დომინირებულია ქმარი. იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენი რესპონდენტების ცხრა მეათედზე მეტი (94,3% – სულ, მათ შორის მამაკაცების 90,5% და ქალების 97,4%) თვლის, რომ მეუღლეები ოჯახში საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეთდნენ. რესპონდენტების ნახევარზე მეტის აზრით აუცილებელია ოჯახში

ლიდერის არსებობა (53,4%). ჩვენი საზოგადოებისათვის მისაღებია ე.წ. პარტნიორული ოჯახი, საოჯახო საკითხების შეთანხმებული განხილვით, თუმცა აუცილებელია ოჯახში იყოს ლიდერი.

ცხრილი 3. რესპონდენტთა დამოკიდებულება ოჯახში ლიდერის აუცილებლობის შესახებ (%).

	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი
ვიზიარებ	65,1	43,8	53,4
არ ვიიარებ	24,9	44,5	35,6
არ მაქვს გამოკვეთილი აზრი	10,0	11,7	11,0

აქამდე საუბარი გვქონდა მხოლოდ რესპონდენტთა დამოკიდებულებაზე წამოჭრილი საკითხის მიმართ. ახლა განვიხილოთ რეალურად რა მდგომარეობაა ამ მხრივ თავად რესპონდენტთა ოჯახებში. ვინ იღებს გადაწყვეტილებას ოჯახისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე მეტია პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, რომელიც ხასიათდება მეუღლეთა თანაბარი გავლენით ოჯახში(43,5%).

დიაგრამა 8. ვინ იღებს გადაწყვეტილებას ოჯახისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე(%).



იმ ოჯახებში სადაც რესპონდენტები 25 წელზე ნაკლებისანი არიან გადაწყვეტილებას ოჯახისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე

ძირითადად იღებენ უფროსი თაობის წარმომადგენლები, ხოლო იმ ოჯახებში სადაც რესპონდენტთა ასაკი აღემატება 25 წელს გადაწყვეტილებას ძირითადად ის და მისი მეუღლე იღებს. თუმცა 35 წლამდე კვლავ მაღალია უფროსი თაობის როლი.

მამაკაცი რესპონდენტების ყველაზე დიდმა ნაწილმა (38,9%) უპასუხა, რომ გადაწყვეტილებას ის და მისი მეუღლე თანაბრად იღებს, ხოლო 21,9%-მა აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებას თვითონ იღებს. ერთ პროცენტსაც ვარ აღწევს იმ მამაკაცი რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილებას მისი მეუღლე იღებს.

ცხრილი 4. მამაკაცი რესპონდენტები ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვტის შესახებ(%)

	მე	მეუღლე	მე და მეუღლე თანაბრად	ვისაც მეტი შემოსავალი აქვს	უფროსი თაობა	ყველა ერთად
< 20	8,3	0,0	0,0	5,6	72,2	13,9
20-24	13,2	0,0	9,3	4,7	60,4	12,3
25-29	13,9	0,0	31,9	4,2	44,4	51,6
30-34	24,3	0,0	42,9	0,0	31,4	1,4
35-39	33,3	1,4	45,8	2,8	11,1	51,6
40-44	21,7	2,9	66.7	0,0	2,9	5,8
45+	30,5	0,8	58,5	0,8	5,9	3,4
სულ	21,9	0,7	38,9	2,4	29,7	6,4

ქალი რასპონდენტები მამაკაცებზე უფრო ხშირად აღნიშნავენ (47,1%) თავის და მეუღლის თანაბარ წვლილს ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. ამასთან უფრო ხშირად მიუთითებენ საკუთარ როლზე (14,6%), ქმრის როლთან შედარებით (5,9%).

ძალაუფლების მიხედვით ოჯახების შესწავლამ დაგვანახა, რომ დომინანტურია მეუღლეთა პარტნიორობის სინკრეტული ტიპი. თუმცა კვლავ მაღალია უფროსი თაობის ავტორიტეტი ოჯახში, რაც ჩვენი კულტურის ტრადიციითაა განპირობებული.

ცხრილი 5. ქალი რესპონდენტები ოჯახისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის შესახებ(%)

	მე	მეუღლე	მე და მეუღლე თანაბრად	ვისაც მეტი შემოსავალი აქვს	უფროსი თაობა	ყველა ერთად
< 20	6,4	2,1	0,0	4,3	78,7	8,5
20-24	14,4	3,6	15,3	2,7	56,8	7,2
25-29	4,5	12,4	51,7	5,6	20,2	5,6
30-34	6,3	7,1	58,0	2,7	23,0	2,7
35-39	15,1	2,3	73,3	0,0	5,8	3,5
40-44	24,5	7,4	57,4	2,1	6,4	2,1
45+	24,8	4,8	54,4	4,8	4,8	6.4
სულ	14,6	5,9	47,1	3,2	24,2	5,0

ოჯახის სტრუქტურის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ დროთა განმავლობაში იცვლება ოჯახის სტრუქტურა ცალკეული კულტურის შიგნით. ეს ცვლილება ძირითადად გამოწვეულია ამ კულტურათა ფასეულობების, იდეალების, ნორმების ცვლილებით. ამ ცვლილებებს კი აჩქარებს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი.

დასკვნები:

პიროვნულ ფასეულობებში ოჯახმა პირველობა დაუთმო მატერიალურ მდგომარეობას და თუ ადრე საზოგადოებისათვის ოჯახის შექმნის თვალსაზრისით, ქორწინება უმნიშვნელოვანეს ფუნქციის მატარებელ ინსტიტუტად იყო აღიარებული, ახლა, ფასეულობათა გადაფასებამ გამოიწვია ის, რომ ოჯახურ-ქორწინებით ურთიერთობებს შორის თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულება მკვეთრად გაიზარდა.

შეიცვალა სქესობრივი ურთიერთობის ნორმები, არც თუ ისე ადრე დამკვიდრებული მორალური იმპერატივი, რომ სქესობრივ ურთიერთობებსა და ბავშვის გაჩენას აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს ქორწინება, დღეს უკვე კარგავს მნიშვნელობას. მოდერნიზაცია განიცადა ოჯახის ძირითადმა ფუნქციამ, თუ ადრე მომავალი თაობის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო ოჯახის შექმნა, ახლა საზოგადოებისათვის მისაღებია ქორწინების გარეშე შობადობა.

საზოგადოებას მკვეთრად გამოხატული დადებითი დამოკიდებულება აქვს „მკვიდრი“ ოჯახის ტიპისადმი. რადგან ოჯახის სტრუქტურის ამგვარი სახეცვლილება უფრო მეტი ინდივიდუალიზმისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობას აძლევს ახალგაზრდა თაობას.

გაფართოებული ოჯახების, დაქორწინების შემდეგ კვლავ მშობლებთან ცხოვრების, ერთ-ერთი მნიშვნელივანი მიზეზი არის რესპონდენტის ფინანსური მდგომარეობა, მატერიალურად მშობლებზე დამოკიდებულება. ოჯახში წევრთა ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ძალაუფლების განაწილებას ოჯახში. რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოჯახის წევრები არა მხოლოდ მატერიალურად არიან დამოკიდებულები ერთმანეთზე, არამედ უფლებრივადაც. გამოდის, რომ თუ ახალგაზრდა ოჯახი მატერიალურად მშობლებზეა დამოკიდებული, მათ არ შეუძლათ დამოუკიდებლად მართონ საკუთარი ოჯახი.

საზოგადოებისათვის მისაღებია ე.წ. პარტნიორული ოჯახი, მეუღლეთა შორის საოჯახო საკითხების შეთანხმებული განხილვით, თუმცა აუცილებელია ოჯახში იყოს ლიდერი.

დომინანტურია მეუღლეთა პარტნიორობის სინკრეტული ტიპი, რომელიც ხასიათდება მეუღლეთა თანაბარი გავლენით ოჯახში.

Elguja Menabdishvili

From the traditional type of family to the modern democratic model

Many sociological research seems that famiy is an important value for our community. But values are not eternal and unchanged. It is determined by time, cultural and personal responses. Social, political and economical change gives rise to the value of community. Recently, the ongoing processes sharply changed political and social-economical enveroment, which, of course, has followed revaluation of values. Between an important values of country community, first is financial condition, which is the logical result of processes being in Georgia during last twenty year. Also, it

is important that for women respondents family is the next in important values hierarchy, than for men. How much young are women respondents, much lower are family and children as important values role in their values hierarchy. In many cases, given the age and gender in front of the family is not only financial condition but education, children and career. It is noteworthy that, from interviewed towned (Tbilisi, Kutaisi, Kaspi) family as an important value is only in Tbilisi and the last is in Kaspi.In terms of family creation for community marriage was an important value. Changes values influenced on that opinion. Respondents were tolerant children birth without marriage in case that this refered to a friend. Revaluations value, change the family as important value has brought us modernization of family.

Revaluation of values causes that loyal dependence has increased to the coexistence institution between family marriage relationships. More of respondents (53.1%) thinks that couple can live together without marriage.

Birth-rate is admission for society. Sociaty has sharply emerging positive dependence to indigenous family type. It is thougt that for family happiness it is important to live without parents.Many of respondents (91.8%) think that if two or more family live together it is desirable to live separable.

One of important reason of advanced families, to live with parents after marriage is financial structure of respondents financially depend on family.

ლელა მენაბდიშვილი

ოჯახის ფორმირების პრობლემები

პირველი მოვლენა, რომელსაც მოსდევს შეუღლება არის პარტნიორის არჩევა. სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში პარტნიორის არჩევის ფაქტორები განსხვავებულია. მათ შორის ფართოდ გავრცელებული და მნიშვნელოვნად მოქმედია სოციოკულტურული ფაქტორი.

თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინების ძირითადი საფუძველი სიყვარულია. თუმცა მას სხვა მოტივებიც განსაზღვრავენ. ქორწინების მიზანი ორი ადამიანის ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარებაა მათი საერთო ბედის თუ ყოფიერების მოწყობაში. ეს პასუხისმგებლობა თავს მოხვეული კი არ არის, არამედ თავისი ნებითაა დაკისრებული. საქორწინო პარტნიორის არჩევაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლობას, თავისუფალ არჩევანს, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტს (52,6%) დაქორწინებისას მშობლების თანხმობაც კი არ მიაჩნიათ აუცილებლად.

მამაკაცების უმეტესობას(59,6%) მშობლების თანხმობა არ მიაჩნია აუცილებლად, ხოლო ქალები პირიქით, უმეტეს შემთხვევაში(53,2%), მშობლების თანხმობას აუცილებლად თვლიან. რაც იმის მაჩვენებელია, რომ მამაკაცები, ქალებთან შედარებით, არჩევანში უფრო მეტად დამოუკიდებლები არიან. რაც უფრო ახალგაზრდაა რესპონდენტი მით უფრო მეტად აუცილებლად მიაჩნია დაქორწინებისას მშობლების თანხმობა. ასაკის მატებასთან ერთად ამის საჭიროება კლებულობს. ხოლო 40-41 წლის რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი კვლავ მაღალია. რაც, სავარაუდოდ, გამოწვეულია საკითხის შეფასებით მშობლის პოზიციიდან.

დიაგრამა 1. დაქორწინებისას აუცილებელია თუ არა მშობლების თანხმობარესპონდენტთა ასაკის მიხედვით (%)



იმისათვის, რომ საქორწინო პარტნიორის არჩევანი გააკეთო საჭიროა ნაცნობობა. რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ვრცეულ სიახლოვეზე. ნაცნობობა შეიძლება სხვადასხვა ხანგრძლივობის იყოს. დაოჯახებულ რესპონდენტთა ნახევარი ერთ წლამდე ნაცნობობის მერე დაქორწინდა. ერთიდან სამ წლამდე ნაცნობობა ჰქონდა 31,7%-ს, ხოლო 18,2%-ს კი ოთხი და მეტი. ქორწინება ხშირ შემთხვევაში ეფუძნება ხანგრძლივ ნაცნობობას და არა ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. ნაცნობობის ხანგრძლივობა ხელს უწყობს საქორწინო პარტნიორების პირადი მახასიათებლების შეწყობის გარკვევას, რაც ჰარმონიული ოჯახური ცხოვრების აუცილებელი პირობაა.

ახალგაზრდა ადამიანში, ქორწინების ასაკში, ვლინდება წარმოდგენები იდეალური პარტნიორის შესახებ, იმ ნიშან-თვისებებზე, რომლებიც უნდა ჰქონდეს მას, რათა ცოლქმრული ცხოვრება შეესაბამებოდეს ოცნებას. პიროვნების ნიშან-თვისებები და თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა, რომელიც თავს იჩენს მისწრაფებაში შექმნას საკუთარი დამოუკიდებელი ცხოვრება, აყალიბებს წარმოდგენას პარტნიორის შესახებ, რომელიც მათი რეალიზაციის საშუალებას შექმნის.

ჰომოგამიას განიხილავენ, როგორც საქორწინო პარტნიორის არჩევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რადგან მიჩნეულია, რომ მსგავსი ინდივიდუალური მახასიათებლების მქონე

ინდივიდებს შორის ქორწინება უფრო მეტადაა შესაძლებელი, ვიდრე იმ ინდივიდებს შორის ვისი მახასიათებლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ერთი და იგივე სოციალური ჯგუფის ადამიანებს, ძალიან დიდი ალბათობით, ერთნაირი შეხედულებები, მრწამსი, ფასეულობები და ნორმები აერთიანებთ. ამიტომ ასეთი პარტნიორები ერთმანეთს უფრო მეტად შეეფერებიან ვიდრე განსხვავებული სოციალური ჯგუფის. რესპონდენტების უმეტესობა (51,3%) სოციალურ მიკუთვნებულობას, მეუღლის არჩევის დროს, ყურადღებას დიდად არ აქცევს. რაც, სავარაუდოდ, განქორწინების მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზია.

მეუღლის არჩევისას მნიშვნელოვანია ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობა. საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მიუთითებს მათი ჰომოგამიურობის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე საქორწინო პარტნიორის არჩევისას და, ამასთან, სარწმუნოების ჰომოგამიურობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ვიდრე ეროვნების.

ცხრილი 1. მეუღლის არჩევის დროს სარწმუნოებისა და ეროვნების მნიშვნელობა(%)

	ეროვნება			სარწმუნოება		
	ქალი	მამაკაცი	ორივე სქესი	ქალი	მამაკაცი	ორივე სქესი
ვეთანხმები	59,4	51,7	55,9	87,1	81,9	84,7
არ მაქვს გამოკვეთილი აზრი	10,1	12,2	11,1	4,8	5,1	5,0
არ ვეთანხმები	30,5	36,0	33,0	8,1	13,0	10,3

რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს საეკლესიო ქორწინების იურიდიული აღიარება (69,5%). ამ მოსაზრებას იზიარებს ორივე სქესის რესპონდენტები, თუმცა სიხშირით ქალები ჭარბობენ მამაკაცებს.

დიადრამა 2. რესპონდენტთა დამოკიდებულება ქორწინების ფორმებისადმი (%)



დაქორწინებულ რესპონდენტებში რეალურად ყველაზე მეტია იმ რესპონდენტების წილი, რომლებსაც ერთდროულად იურიდიულადაც გაფორმებული აქვთ ქორწინება და რელიგიურ ქორწინებაშიც იმყოფებიან (45,2%).

დიაგრამა 3. დაქორწინებულ რესპონდენტთა განაწილება ქორწინების ფორმის მიხედვით (%)



რესპონდენტების დიდ ნაწილს ქორწინება რელიგიურადაც და იურიდიულადაც ერთდროულად აქვს გაფორმებული. ნაწილში კი უმნიშვნელო სხვაობით (მხოლოდ 0,2) სამოქალაქო ქორწინება დროში უსწრებს რელიგიურს.(ჯერ ხელი მოაწერა და მერე ჯვარი დაიწერა 10,3%, ჯერ ჯვარი დაიწერა და მერე ხელი მოაწერა 10,1%). რელიგიური ქორწინების შემთხვევაში სამართლებრივი ნორმები

ჯერჯერობით არ ვრცელდება. ვფიქრობთ ეს საკითხი სასწრაფოდ მოსაგვარებელია. მით უფრო, რომ ეს საზოგადოების დაკვეთაა.

საზოგადოებაში ქორწინების საუკეთესო ასაკად ქალებში 25,0, ხოლო მამაკაცებში 27,0 წელია მიჩნეული. მამაკაცი რესპონდენტები ქალის ქორწინების საუკეთესო ასაკად საშუალოდ 23,6 წელს თვლიან, მაშინ როცა მამაკაცებისთვის ის 27,1 წელია. ქალი რესპონდენტები კი ქალებისათვის ქორწინების საუკეთასო ასაკად მიიჩნევენ 24,7 წელს, ხოლო მამაკაცებისთვის 28,0 წელს. ქალისათვის ქორწინების საუკეთესო ასაკი დაქორწინებულ, ქვრივ და ქორწინებაში არასოდეს მყოფ რესპონდენტებში მერყეობს 24,0 წლიდან 24,4 წლამდე. რაც შეეხება განქორწინებულებს, მათი აზრით, ქალის ქორწინების საუკეთესო ასაკი საშუალოდ 25,7 წელია. იგივე ტენდენცია გამოიკვეთა მამაკაცის ქორწინების საუკეთესო ასაკის შეფასებისას. იმ რესპონდენტებში, რომლებიც დაქორწინებულები, ქვრივები და ქორწინებაში არასოდეს მყოფნი არიან მამაკაცის ქორწინების ოპტიმალური ასაკი მერყეობს 27,3-დან 27,7 წლამდე, ხოლო განქორწინებულებში მისაღებია 30,1 წელი. ვფიქრობთ, ეს განპირობებული უნდა იყოს ქორწინებაში გამოცდილი პირადი მარცხით.

დიაგრამა 4. რესპონდენტთა ქორწინებითი მდგომარეობა და მათი შეხედულება ქორწინების საუკეთესო ასაკზე



განათლების დონის მიხედვით, საზოგადოებაში იცვლება შეხედულება ქორწინების საუკეთესო ასაკზე. მაღალი განათლების

მქონე მოსახლეობაში ქორწინების საუკეთესო ასაკი შედარებით მაღალია.

დიაგრამა 5. ქორწინების საუკეთესო ასაკის შეფასება რესპონდენტთა განათლების დონის მიხედვით



ქორწინებისთვის საუკეთესო ასაკი ასევე იცვლება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში (ქალებისთვის 25 წელი, მამაკაცებისთვის 28,5 წელი), ხოლო ყველაზე დაბალი ოც წლამდე ასაკობრივ ჯგუფში.

დიაგრამა6. ქორწინების საუკეთესო ასაკი რესპონდენტთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



რესპონდენტების 32,5% არ არის დაოჯახებული. მათი 32,4% უახლოეს ხუთ წელიწადში აპირებს ოჯახის შექმნას. 42,8%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, ხოლო 24,8% უახლოეს ხუთ წელიწადში ოჯახის შექმნას ნამდვილად არ აპირებს. ჩვენი რესპონდენტები 18-დან 50 წლის ასაკისანი იყვნენ. როცა 22 წლის ახალგაზრდა პასუხობს, რომ უახლოეს პერიოდში არ აპირებს დაქორწინებას შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ 25 წელს გადაცილებულთათვის ქორწინების გადავადება კიდევ ხუთი წლით უკვე დაგვიანებულია.

ცხრილი 2. აპირებთ თუ არა დაქორწინებას უახლოეს ხუთ წელიწადში(%)?

	ორივე სქესი							
	< 20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+	სულ
ნამდვილად ვაპირებ	19,8	31,5	47,3	39,7	51,4	29,7	21,4	32,4
ჯერ არ გადამიწყვეტია	56,8	53,1	47,3	44,8	28,6	13,5	14,3	42,8
ნამდვილად არ ვაპირებ	23,5	15,4	5,5	15,5	20,0	56,8	64,3	24,8

ქორწინების გადავადების მიზეზების შესწავლის მიზნით, რესპონდენტებს ვთხოვეთ აღენიშნათ, როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები, თუკი ისინი დაქორწინდებიან უახლოეს ხუთ წელიწადში. მათ უნდა გამოეთქვათ მოსაზრება დაქორწინებით გაუმჯობესდება, არ შეიცვლება, თუ გაუარესდება მათი შესაძლებლობები აკეთონ ის რაც უნდათ: მათი დასაქმების შესაძლებლობა, მათი ფინანსური მდგომარეობა, მეგობრებთან და მშობლებთან ურთიერთობა. უმეტესად აღინიშნა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები, მათი დაქორწინების შემდეგ ან არ შეიცვლება ან გაუმჯობესდება. მცირე იყო პასუხები გაუარესების შესახებ. 11,4%-ის აზრით, დაქორწინების შემთხვევაში გაუარესდება მისი შესაძლებლობა აკეთოს ის რაც უნდა, ხოლო 11,2%-ისთვის გაუარესდება მათი ფინანსური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა რომ, გამოკითხული მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილისათვის დაქორწინება გააუმჯობესებს ან არ შეცვლის მათი ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, მათ 67,6%-ს ან ჯერ არ გადაუწყვეტია, ან არ აპირებს უახლოეს

პერიოდში დაოჯახებას. რაც განპირობებული უნდა იყოს გარკვეული გარემოებებით. საზოგადოების აზრით, ეს გარემოება არის: სასურველი პარტნიორის შერჩევა, ფინანსური მდგომარეობა, სამუშაო და საცხოვრებელი პირობები. მხოლოდ მცირე ნაწილისათვისაა ქორწინება დამოკიდებული თავის მშობლებზე. 43,2% საკუთარი ქორწინების გადავადებას ფინანსურ მდგომარეობას უკავშირებს, 39% სამუშაოს, ხოლო 33% საცხოვრებელ პირობებს. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობის ამ ნაწილს ქორწინების გადავადება მოუხდა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ორივე სქესის წარმომადგენლებში საკმაოდ მაღალია ქორწინების გადავადება სასურველი პარტნიორის შერჩევის გამო (მამაკაცების 80,4%, ქალების 74,2%). მამაკაცები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ქორწინების გადავადებაზე ფინანსური მდგომარეობის მიზეზით (62,9%). ასევე სამუშაოსა (60,2%) და საცხოვრებელი პირობების გამო (46,9%). მაშინ როცა ქალი რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი (63,5%) მიიჩნევს, რომ ქორწინება მის ფინანსურ მდგომარეობას გააუმჯობესებს.

ზოგადად ქალებისათვის გვიანი ქორწინების მიზეზები სიხშირის მიხედვით ასე განაწილდა: სასურველი პარტნიორის შერჩევა, სამსახური, კარიერა, ცუდი ეკონომიკური პირობები, განათლება, უმუშევრობა. ამ ძირითად მიზეზებს ემატება დამოუკიდებლობა, ამპარტავნება, უშვილობა, ჯანმრთელობა და ცუდი ხასიათი. მამაკაცებისათვის კი ცუდი ეკონომიკური პირობები, სასურველი პარტნიორის შერჩევა, უმუშევრობა, საბინაო პირობები. ამათ გარდა მითითებული იყო ისეთი მიზეზები როგორიცაა: გარეგნობა, თვითშეფასება, ცუდი ხასიათი, ბედი, ლოთობა, გარე მიგრაცია. მაგრამ ისინი იმდენად მცირე ნაწილმა მიუთითა, რომ ერთ პროცენტსაც ვერ აღწევს.

ქალებისათვის გვიანი ქორწინების მიზეზები, როგორც ქალი ისე მამაკაცი რესპონდენტების აზრით, ამგვარადაა განაწილებული: სასურველი პარტნიორის შერჩევა, სამსახური,

კარიერა, ცუდი ეკონომიკური პირობები, განათლება და უმუშევრობა. თანმიმდევრობა არ იცვლება რესპონდენტთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დიაგრამა 7. გვიანი ქორწინების ძირითადი მიზეზები (%)



მამაკაცებისათვის გვიანი ქორწინების მიზეზები განსხვავდება გამოკითხული მოსახლეობის სქესის მიხედვით. ქალებში ამგვარი თანმიმდევრობაა: ცუდი ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, სასურველი პარტნიორის შერჩევა, სამსახური, კარიერა, საბინაო პირობები და განათლება. მამაკაცებში კი ქალებისაგან განსხვავებით სიხშირის მიხედვით მეორე ადგილზეა სასურველი პარტნიორის შერჩევა და შემდეგ უმუშევრობა. განსხვავებაა პასუხებში გამოკითხულთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. 30-დან 39 წლამდე და 45 წელს გადაცილებული ქალები ცუდი ეკონომიკური პირობების მერე ასახელებენ უმუშევრობას და შემდეგ სასურველი პარტნიორის შერჩევას. იგივე ტენდენციაა ოც წლამდე ასაკის მამაკაცებში, მაშინ როცა ორივე სქესის ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფში ჯერ სასურველი პარტნიორის შერჩევაა და მერე უმუშევრობა.

დიაგრამა 8. გვიანი ქორწინების ძირითადი მიზეზები რესპონდენტთა სქესის მიხედვით(%)



ქორწინების გადავადების უმთავრესი მიზეზი მამაკაცებში, ორივე სქესის წარმომადგენელთა აზრით, ცუდი ეკონომიკური პირობებია. ქალები ამ მიზეზთან ერთად ყურადღებას ამახვილებენ უმუშევრობაზე. როგორც ჩანს საზოგადოებაში კვლავ მყარადაა დამკვიდრებული მოსაზრება მამაკაცის, როგორც „ოჯახის თავისა“ და “მარჩენლის“ შესახებ. მამაკაცს, პირველ რიგში, უნდა შეეძლოს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. რასაც ადასტურებს გამოკვლევით მიღებული შედეგები. ქალი ირჩევს „სასურველ პარტნიორს“. „სასურველში“ იგულისხმება ისეთი თვისება, როგორიცაა ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა. რადგან ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი ქორწინებისგან სწორედ მატერიალურ უზრუნველყოფას მოელის.

დასკვნები:

- მეუღლის არჩევა ძირითადად ხდება ხანგრძლივი ნაცნობობის საფუძველზე და არა ნაუცბათევი გადაწყვეტილებით. ნაცნობობის ხანგრძლივობა კი ხელს უწყობს საქორწინო პარტნიორების პირადი მახასიათებლების შეწყობის გარკვევას. რაც ჰარმონიული ოჯახური ცხოვრების აუცილებელი პირობაა;
- საქორწინო პარტნიორის შერჩევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამოუკიდებლობას, თავისუფალ არჩევანს. რესპონდენტთა ნახევარზე მეტს დაქორწინებისას მშობლების თანხმობა არ მიაჩნია აუცილებლად;
- საქორწინო პარტნიორის არჩევისას მნიშვნელოვანია მისი აღმსარებლობა და ეთნიკური წარმომავლობა. ოღონდ, აღმსარებლობის ჰომოგამიურობას უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ეთნიკურს;
- საზოგადოებაში სოციალურ მიკუთვნებულობას მეუღლის არჩევის დროს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ. რაც, სავარაუდოდ, განქორწინების მაღალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზია;
- საზოგადოებაში დამკვიდრებული მოსაზრებით ქორწინების საუკეთესო ასაკად ქალისათვის მიჩნეულია 25 წელი, ხოლო მამაკაცისათვის 27-28 წელი;
- რესპონდენტები უმეტესად აღნიშნავდნენ, რომ ისეთი ასპექტები, როგორიცაა: აკეთონ ის რაც უნდათ; მათი დასაქმების შესაძლებლობა; მათი ფინანსური მდგომარეობა; მეგობრებთან და მშობლებთან ურთიერთობა მათი დაქორწინების შემდეგ არ შეიცვლება ან გაუმჯობესდება, მაგრამ მიუხედვად ამისა მათ 67.6%-ს ან ჯერ არ გადაუწყვეტია, ან არ აპირებს უახლოეს პერიოდში დაოჯახებას. გამოკითხული იყო 18-50 წლის მოსახლეობა, როცა 22 წლამდე ახალგაზრდა პასუხობს, რომ უახლოეს ხუთ წელიწადში არ აპირებს დაქორწინებას შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ 25 წელს გადაცილებულისთვის ქორწინების გადავადება კოდევ ხუთი წლით უკვე დაგვიანებულია;
- ზოგადად ქორწინების გადავადების მიზეზებში სახელდება როგორც სუბიექტური ისე ობიექტური მიზეზები. ქალებისათვის გვიანი ქორწინების მიზეზები სიხშირის მიხედვით ასე განაწილდა, სასურველი პარტნიორის შერჩევა; სამსახური, კარიერა; ცუდი ეკონომიკური პირობები; განათლება; უმუშევრობა. „სასურველში“ ხშირ შემთხვევაში იგულისხმება ისეთი თვისება, როგორიცაა

ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, რადგან ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი, ქორწინებისგან მატერიალურ უზრუნველყოფას მოელის. მამაკაცებისათვის გვიანი ქორწინების უმთავრესი მიზეზია ცუდი ეკონომიკური პირობები; სასურველი პარტნიორის შერჩევა; უმუშევრობა და საბინაო პირობები;

- გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა პირდაპირპროპორციულად ახდენს გავლენას ქორწინებაზე. ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქორწინების გადავადების შემცირებას.

Lela Menabdishvili

Problems of family formation

The main basis of marriage is love (98%). Matrimonial selection is occurred long knowing to each other and not fast decision. To choosing wedding partner it is important independence, freedom choice. It is not necessary parents' consent for 52.6% of respondents. Excepting respondents of Kutaiseli. For more then half of them it is important. Affiliation influence choosing of future matrimonial. Many of respondent indicates to the special signification when choosing a wedding partner (84.7%) and this is very important for them then an ethnicity (55%). Many of respondent (69.5%) thinks it is necessary pariash marriage was legalize by government. 42.5% of respondent have marriage legalized by legally and by church, but 12.3% is only at pariash marriage. Because this marriage is not legalized, this makes many problems. This issue must be solved in haste. More because it is society request. Also, if this problem solved, we will avoid uncertainties statistical data, which is connected marriage and birth registration.

To choosing wedding partner it is important his or her confession and ethnic origin. But confession homogamies has more attention than ethnic. About the idea of the society the best age of marriage for women is 25 year, for men 27-28 year.

There are as objective as subjective aspects to postpone of marriage. According to frequency later marriage reasons for women distributed so: choosing desired partner, job, career, bad economical conditions, education, unemployment. Later marriage reasons for men are: bad economical conditions, choosing desired partner, unemployment, housing conditions.

ნანა მენაბდიშვილი

მეუღლეთა ურთიერთობები და მოვალეობათა განაწილება თანამედროვე ოჯახში

ოჯახური ცხოვრება განიხილება არა მასში მონაწილე ცალკეული ადამიანების მიხედვით, არამედ მათი როლებით განპირობებული ურთიერთობებით. ჩვეულებრივ, ერთი ოჯახის წევრები ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ და ერთი საოჯახო მეურნეობაცაქვთ. ოჯახი ქცევის მდგრად და ურთიერთქმედების ნიმუშებს ემყარება. მის წამყვან კომპონენტად შიდაოჯახური ურთიერთობები გვევლინება.

ოჯახური ურთიერთდამოკიდებულებიდან უმთავრესი ცოლქმრული ურთიერთდამოკიდებულებაა, რომელიც განსაზღვ-რავს ოჯახის სახეს. ოჯახური სიმტკიცის ზნეობრივი საფუძველი ცოლქმრული სიყვარული, ერთგულება და ურთიერთპეტივისცემაა. ოჯახის სიმტკიცის აუცილებელ პირობად საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს (98%) სიყვარულით ქორწინება მიაჩნია.

ცხრილი 1. თქვენი აზრით ოჯახის სიმტკიცისათვის ქორწინების რომელი ფორმაა მისაღები

	თბილისი	ქუთაისი	კასპი	სულ
სიყვარულით	97,8	98,3	98,1	98,0
გარიგებით	2,0	1,3	1,9	1,7
ინტერნეტით	0,2	0,4	0,0	0,3

ამ მოსაზრებას დაეთანხმა როგორც ქალი (98,3%), ისე მამაკაცი (98,7%) რესპონდენტების უმეტესობა. მათ ასეთივე პოზიცია დაიკავეს, როცა საქმე ეხებოდა მხოლოდ ქმრის ერთგულებას. განსხვავება ორივე მეუღლისა და ქმრის ერთგულებაში ძალიან დაბალია. მოსაზრება: „დაქორწინებულ წყვილთაგან მხოლოდ ქმარს შეიძლება ჰყავდეს მეგობარი (საყვარელი)“ არ გაიზიარა რესპონდენტთა 91,2%-მა. მამაკაცი რესპონდენტების 12,4% დაეთანხმა ამ მოსაზრებას, 83,5% კი არა. ქალი რესპონდენტების 97,4% ეს მოსაზრება არ გაიზიარა, აშკარად

გამოკვეთილია საზოგადოების დადებითი დამოკიდებულება მეუღლეთა ერთგულებისადმი.

ტრადიციულად ოჯახში მამაკაცი ასრულებდა „მარჩენლის“ როლს, ხოლო ქალი ქმრის და ბავშვების მოვლით იყო დაკავებული. დღეს მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. „ორთოდოქსალური“ ოჯახებიდან, სადაც ცოლი „სახლის დიასახლისია“, ქმარი კი „მარჩენალი,“ მივედით თანამედროვე ოჯახებამდე, სადაც ორივე მეუღლე მუშაობს და ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ორივე აგვარებს.

ახლა ქალი აღარ არის დამოკიდებული ქმარზე, ხშირ შემთხვევაში მისი შემოსავალი კიდეც აღემატება ქმრისას. ადრე ეს მიუღებლად და მამაკაცის ღირსების შემლახავად ითვლებოდა, რადგან მიიჩნეოდა, რომ მამაკაცი იყო „ოჯახის თავი“. საზოგადოების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი თანდათან შეიცვალა. რესპონდენტების 47,3% თვლის, რომ თუ ქალს მამაკაცზე მეტი შემოსავალი აქვს, ეს მათ ურთიერთობებზე ცუდად არ მოქმედებს. ამგვარი პოზიცია გამოხატა როგორც ქალი (46,8%), ისე მამაკაცი (47,9%) რესპონდენტების უმეტესობამ.

დიაგრამა 1. თუ ოჯახში ქალს აქვს მეტი შემოსავალი, ვიდრე მამაკაცს ეს ცუდად მოქმედებს მათ ურთიერთობაზე?



თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი „ეგალიტარული“ ოჯახი, რომელიც გულისხმობს ცოლ-ქმარს შორის საოჯახო მოვალეობების სამართლიან განაწილებას,

თითოეული პარტნიორის ინტერესებისა და საჭიროების გათვალისწინებას და თანაბარ პატივისცემას. საზოგადოებაში გამოკვეთილია დადებითი დამოკიდებულება იმისადმი, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ (94,3%), მათ შორის ქალი რესპონდენტების 97,4% და მამაკაცების 90,5%. თუმცა რეალურად რესპონდენტთა შორის ასეთი ოჯახები არც თუ ისე ბევრია (მამაკაცების 38,9%, ქალების 47,1%).

ასევე დადებითი დამოკიდებულებაა იმისადმი, რომ ქალსა და მამაკაცს ერთნაირი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში (75,5%). ამ მოსაზრებას იზიარებს როგორც ქალი (78,9%), ისე მამაკაცი (71,3%) რესპონდენტების უმეტესობა.

დიაგრამა 2. რესპონდენტთა დამოკიდებულება ოჯახში საოჯახო საქმიანობის განაწილებისადმი



რეალურად ქორწინებაში მყოფ რესპონდენტთა ნახევარში (50,4%) ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფას ახდენა მამაკაცი. 31,3%-ის შემთხვევაში ეს როლი ორივეს აკისრია, ხოლო ისეთი ოჯახები, სადაც ქალია „შემომტანი“ ძალიან მცირეა (4,4%). 13,9%-ის შემთხვევაში ამ ფუნქციას ოჯახის სხვა წევრი ასრულებს, ამდენად ასეთ ოჯახებში მეუღლეები მატერიალურად ოჯახის სხვა

წევრებზე არიან დამოკიდებულნი, რაც, სავარაუდოდ, ზღუდავს მათი დამოუკიდებული ცხოვრების შესაძლებლობას.

დიაგრამა 3. მოვალეობათა განაწილება ოჯახებში



დედობა და მამობა არა მხოლოდ დიდი ბედნიერება, არამედ დიდი პასუხისმგებლობა და სამუდამო მოვალეობაა. ტრადიციულად ბავშვების აღზრდით ქალი იყო დაკავებული. ამჯერადაც ყველაზე ხშირია ის ოჯახები, სადაც ბავშვების აღზრდა ძირითადად დედის მოვალეობაა, თუმცა გაზრდილია იმ ოჯახების რაოდენობა, სადაც ეს ფუნქცია ორივე მშობელს აკისრია (28,4%). ჩვენს საზოგადოებაში ბავშვების აღზრდაში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ბებია-პაპა, მით უფრო თუ ორივე მშობელი მუშაობს. ამჯერადაც რესპონდენტის ოჯახების მეხუთედში ბავშვების აღზრდა ოჯახის სხვა წევრებს აკისრია.

ოჯახში წმინდა ქალური საქმეებია სახლის დალაგება, სადილის მომზადება. პროდუქტის ყიდვა ყველაზე ხშირ შემთხვევაში ქალის მოვალეობაა, თუმცა არც თუ მცირეა ისეთი ოჯახები, სადაც ეს საქმე ორივე მეუღლის ან მხოლოდ ქმრის ფუნქციაა.

ოჯახს გააჩნია თავისი სპეციფიკური, მისთვის დამახასიათებელი სირთულეები, რასაც თან ახლავს ძლიერი უარყოფითი ემოციები და კონფლიქტები. მეუღლეთა შორის კონფლიქტები განსხვავებული ხასიათისა და შინაარსისაა. ის

შეიძლება დაკავშირებული იყოს საკუთარი „მე“-ს მნიშვნელობისა და ღირსების გამომხატველ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობასთან, პარტნიორის მხრიდან უპატივცემლო დამოკიდებულებასთან, ერთ-ერთი ან ორივე მეუღლის სექსუალურ დაუკმაყოფილებლობასთან, საოჯახო საქმის განაწილებასთან, ბავშვების აღზრდა-მოვლასთან, დასვენებისა და თავისუფალი დროს გატარების მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილებასთან, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებებისადმი დამოკიდებულებასთან. რესპონდენტებს შევთავაზეთ იმ მიზეზების ჩამონათვალი, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მეუღლეებს შორის უკმაყოფილება. მათ ამ მიზეზებიდან უნდა აერჩიათ ყველაზე მნიშვნელოვანი, რიგით მეორე და რიგით მესამე მნიშვნელობის მიზეზები.

დიაგრამა 4. თქვენი აზრით რა შეიძლება გახდეს მეუღლეთა შორის უკმაყოფილების მიზეზი?



მამაკაცები ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებს შორის ყველაზე ხშირად ასახელებენ ოჯახისადმი უყურადღებობას, ეკონომიკურ საკითხებს და ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიას. 20 წლამდე და 25-29 წლის მამაკაცები მეუღლეთა უკმაყოფილების მიზეზებს შორის ყველაზე წინ აყენებენ ინტიმურ საკითხებს. 20-24,

30-34 და 45 და მეტი წლის – ბავშვის აღზრდის საკითხებს; 35-39 წლის – მშობლებს, ხოლო 40-44-ის ოჯახისადმი უყურადღებობას.

ცხრილი 2. მამაკაცი რესპონდენტების ასაკობრივი სტრუქტურა და მათი შეხედულება მეუღლეთა შორის უკმაყოფილების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზების შესახებ

	< 20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+
ოჯახისადმი უყურადღებობა	6,3	15,3	10,4	18,1	14,6	15,3	20,0
ეკონომიკური საკითხები	6,7	15,7	14,2	13,4	11,9	11,2	26,9
მშობლები	0,0	12,5	12,5	0,0	37,5	12,5	25,0
ბავშვის აღზრდის საკითხები	0,0	28,6	0,0	28,6	14,3	0,0	28,6
ალკოჰოლიზმი, ნარკომანია	8,4	23,7	15,3	7,6	7,6	12,2	25,2
ეჭვიანობა	0,4	29,8	12,8	17,0	10,6	10,6	14,9
ხასიათის შეუთავსებლობა	5,7	18,9	13,2	13,2	22,6	15,1	11,3
ინტიმური საკითხები	8,7	21,7	17,4	13,0	17,4	8,7	13,0

ქალებმა ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზებში პირველ-მეორე ადგილზე დაასახელეს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ეკონომიკური საკითხები. 20 წლამდე ქალებში სახელდება ეჭვიანობა; 20-24, 30-34 და 40-44 წლისები ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად მშობლებს ასახელებენ; 25-29 წლის – ინტიმურ საკითხებს; 35-39 – ბავშვის აღზრდის საკითხებს და 45 წელს გადაცილებულები ეკონომიკურ საკითხებს.

ხშირ შემთხვევაში მეუღლეთა შორის ურთიერთობას აფუჭებს, ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს პიროვნული სისუსტე, რაც გამოიხატება ალკოჰოლური სასმელების და ნარკოტიკული საშუალებებისადმი დამოკიდებულებაში. სამწუხაროდ ეს ჩვენი საზოგადოების სენია. ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკომომიკურმა მდგომარეობამ. მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური საკითხი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალ

დონეზე. სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება შეამცირებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხვს, გააუმჯობესებს ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი.

ცხრილი 3. ქალი რესპონდენტების ასაკობრივი სტრუქტურა და მათი შეხედულება მეუღლეთა შორის უკმაყოფილების ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზების შესახებ

	< 20	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45+
ოჯახისადმი უყურადღებობა	5,7	12,2	13,0	17,9	13,8	19,5	17,9
ეკონომიკური საკითხები	7,9	21,2	11,5	13,9	11,5	10,3	23,6
მშობლები	0,0	28,5	14,5	28,5	0,0	28,5	0,0
ბავშვის აღზრდის საკითხები	0,0	0,0	22,2	11,1	44,4	11,1	11,1
ალკოჰოლიზმი, ნარკომანია	7,3	16,1	10,6	20,1	11,6	17,6	17,6
ეჭვიანობა	11,7	13,4	18,3	21,6	6,7	10,0	18,3
ხასიათის შეუთავსებლობა	6,7	20,0	14,7	13,3	18,7	10,7	16,0
ინტიმური საკითხები	3,7	14,8	29,6	7,4	23,2	3,7	18,5

არ არსებობს ოჯახი, სადაც მეუღლეთა ურთიერთობაში თუნდაც მცირე უკმაყოფილებას არ ჰქონდეს ადგილი. ე.ი. სრული ჰარმონია საკმაოდ იშვიათია. მაგრამ ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებისათვის საჭიროა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრა და პრობლემების გადაჭრა. ოჯახის წამყვან კომპონენტად შიდაოჯახური ურთიერთობები გვევლინება, რომელიც გამოდის როგორც ოჯახის წევრებს შორის კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების კონკრეტული სისტემა. ოჯახურ ურთიერთობებს განსაზღვრავენ წევრთა გრძნობები, აღზრდით მიღებული ტრადიციები, აღმსარებლობა, სამართლის ნორმები. რომელთა მეშვეობითაც ხდება ოჯახის წევრთა შეკავშირება. იქმნება შინაგანი კულტურული გარემო, სადაც ხორციელდება ოჯახის მნიშვნელოვანი ფუნქციები.

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ მეუღლესთან ურთიერთობით კმაყოფილება ათ ბალიანი სკალის მიხედვით, სადაც 0 აღნიშნავდა სრულიად უკმაყოფილოს, ხოლო 10 – სრულიად კმაყოფილს. მამაკაცებში კმაყოფილების ქულათა საშუალო 9,5-ის ტოლია, ხოლო ქალებში – 9,2-ის. მეუღლესთან ურთიერთობით კმაყოფილების საშუალო ქულა ყველაზე მაღალია 25-29 წლის ასაკის რესპონდენტებში (9,7), შემდეგ მოდის 30-34 წლის რესპონდენტები საშუალოდ 9,6 ქულით და მესამე ადგილს იკავებენ 20-24 წლისანი 9,4 ქულით.

ცხრილი 4. მეუღლესთან ურთიერთობით კმაყოფილების საშუალო ქულა რესპონდენტთა ასაკის მიხედვით

20-24	9,4
25-29	9,7
30-34	9,6
35-39	9,2
40-44	9,3
45+	9,2

წარმატებული ქორწინება საერთო სულიერ და ზნეობრივ იდეალებს, საერთო გემოვნებასა და მისწრაფებას ნიშნავს, რომელიც ოჯახური თანაცხოვრების პირობებში ხასიათის მსგავსება თანხმობაში გადადის. მეუღლეთა სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა ოჯახს აქცევს იმ ადგილად, სადაც მეუღლეები სულიერ სიმშვიდეს განიცდიან. ცოლქმრობის სრული წარმატება საკმაოდ იშვიათია, რადგან ოჯახში უამრავი პრობლემა იყრის თავს, რომელიც გამოწვეულია როგორც გარეგანი, ისე შინაგანი ძალებით. თუმცა პრობლემების არსებობა არ ნიშნავს ოჯახის აუცილებელ დეზორგანიზაციასა და დაშლას. ამაზე მეტყველებს ჩვენი რესპონდენტების კმაყოფილება მეუღლესთან ურთიერთობით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 10 ქულა „სრულიად კმაყოფილს“ აღნიშნავდა, დასახელებულთა შორის კი ყველაზე დაბალი იყო 9,2, ნათელი გახდება რომ სრული ჰარმონიული ოჯახები ნაკლებადაა, მიუხედავად ამისა ოჯახში მეუღლეთა შორის უთანხმოებები ხშირ შემთხვევაში მოგვარებადი და დავიწყებულია.

დასკვნები:

- ოჯახის სიმტკიცის აუცილებელ პირობად საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს სიყვარულით ქორწინება მიაჩნია;
- მეუღლეთა შორის ურთიერთობის უმთავრესი საფუძველი არის ერთგულება ორივე მეუღლის მხრიდან (98,5%);
- საზოგადოებაში გამოკვეთილია დადებითი დამოკიდებულება იმისადმი, რომ მეუღლეები ოჯახში ყველა საკითხს შეთანხმებულად უნდა წყვეტდნენ (94,3%), რომ ქალსა და მამაკაცს ერთნაირი წვლილი უნდა შეჰქონდეთ საოჯახო საქმიანობაში (75,5%). თუმცა ეს არ გამორიცხავს ოჯახში ქალისა და მამაკაცის მოვალეობების განსხვავებას. ცოლის მოვალეობებში კვლავ მნიშვნელოვანია ბავშვების აღზრდა, ყოველდღიური სადილის მომზადება, სახლის დალაგება. თუმცა გაიზარდა მამის როლი ბავშვების აღზრდის საქმეში. 28,4% ოჯახები სადაც ამ ფუნქციას ორივე მშობელი თანაბრად ასრულებს;
- ხშირ შემთხვევაში მეუღლეთა შორის ურთიერთობას აფუჭებს და ოჯახურ კონფლიქტებს იწვევს პიროვნული სისუსტე რაც გამოიხატება ერთ-ერთი მეუღლის ალკოჰოლური სასმელების და ნარკოტიკული საშუალებებისადმი დამოკიდებულებაში. ამას ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა სოციალურ-ეკომომიკურმა მდგომარეობამ. მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური საკითხი, რომელიც თავის მხრივ მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებული უმუშევრობის მაღალ დონეზე. სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დასაქმება შეამცირებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რიცხვს, გააუმჯობესებს ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი;
- მეუღლესთან ურთიერთობით კმაყოფილების საშუალო ქულა ასაკის მიხედვით მერყეობს 9,2-დან 9,7-მდე და ყველაზე მაღალია 25-29 წლის ასაკის მოსახლეობაში (9,7). ნათელია, რომ სრული ჰარმონიული ოჯახები ნაკლებადაა, თუმცა ოჯახში მეუღლეთა შორის უთანხმოებები ხშირ შემთხვევაში მოგვარებადი და დავიწყებულია.

Nana Menabdishvili

Matrimonies relationships and duties distributing in modern family

In this year, according to sociological research, it was confirmed that the marriage through love is the necessary condition for family strength. The main issue in the family relations is devotion of wives. Respondents did not share consideration that maybe both of married couple has a girlfriend/boyfriend (98.5%). They have the same position about devolution of husband. By 91.2%, married man would not have a girlfriend.

Towards the husband as “a bread-winner” dimension public perception has changed. By some of respondent (47.3%), if woman has much salary than man, it does not influence on their relations. Also they accept that wives solve family issues by themselves (94.3%), but such respondent are not more (men 38.9%, women – 47.1%). It is positive perception that a woman as a man has the same bit in family activity (75.5%). In fact, according to the half of respondents which are in marriage (50.4%), men supports family by financial? By 31.3%, both are the responsible for this role. But the families where woman is “bread-winner” are very few (4.4%). In the case of 13.9% the other member of the family is responsible for this function. This means that, wives are depending on the other member of family. Maybe this limits their independence.

Between important reasons of disapproval wives, the first is alcoholism and drug addiction (27.2%), second – economical issues and third is negotiation toward the family.

The average point of satisfaction with matrimony relationship is from 9.2 to 9.7 and very high is within 25-29 years respondents (9.7). It is obvious that full harmonic families are less. But problems between matrimonies are solved and forgotten.

ციცინო გვრიტიშვილი
ნინო გომელაური

ფამილისტიკის მეთოდოლოგიური საკითხები

მე-20 საუკუნის ბოლო ათლწლეულებში და 21-ე საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის მკვლევართა ყურადღების ცენტრში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ოჯახთან დაკავშირებული საკითხების და პრობლემების კვლევა. ეს ყურადღება განაპირობა თანამედროვე ოჯახის კრიზისმა, მის მიერ ძირითადი ფუნქციების ეფექტური შესრულების უნარების შემცირებამ და კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენის აუცილებლობამ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების, კაცობრიობის წარმოშობის და ისტორიის გაცნობიერების ყველა მცდელობას შორეული წარსულიდან მოყოლებული (დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე) ყოველთვის თან სდევდა ინტერესი ქორწინების, ოჯახის, ნათესაობისადმი, როგორც თაობათა განახლების, არსებობის, აღზრდის და დაცვის სპეციფიკური ფორმებისადმი [1 გვ. 23-24ნ 628; 2 გვ. 304-305, 310].

ოჯახს, როგორც მეცნიერული შესწავლის ობიექტს ანალოგი არ ჰყავს, რადგანაც ქორწინების და ოჯახის პრობლემების შესწავლა მოითხოვს ეკონომიკური, ისტორიული, ეთნოგრა-ფიული, იურიდიული, დემოგრაფიული, სოციოლოგიური, გენდერული, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სხვა ასპექტების ანალიზს.საზოგადოებრივი ცოდნის დიფერენციაციის პროცესში ოჯახის მრავალასპექტიანი შესწავლის აუცილებლობამ ობიექტურად განაპირობა მეცნიერული მიმართულების – ფამილისტიკის ჩამოყალიბება, რომელსაც ხშირად ოჯახმცოდნეობადაც მოიხსენიებენ.

ფამილისტიკა (ოჯახმცოდნეობა) – ზოგადი მეცნიერებაა ოჯახსა და საოჯახო მოვლენებზე, ფენომენებზე, ფამილისტიკურ პროცესთა ამა თუ იმ ასპექტების შემსწავლელი ყველა მეცნიერების საერთო სახელწოდებაა და იგი მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან იღებს სათავეს.

ტერმინი „ფამილიზმი'' აღნიშნავს ოჯახსა და საოჯახო ცხოვრების წესზე ურთიერთდაკავშირებულ ფასეულობათა სისტემის მიმართულებას; საზოგადოების, სოციალურ ინსტიტუტთა, გაერთიანებათა, ჯგუფების, ინდივიდების დონეზე ახასიათებს ოჯახისა და შვილების ფასეულობათა უპირატესობას ყველა სხვა ფასეულობათა მიმართ.

უძველეს დროში სიტყვა „ფამილია'' (ლათ. familia-დან) აღნიშნავდა სამეურნეო-იურიდიულ ერთეულს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ არა მხოლოდ სისხლით ნათესავები, არამედ მონებიც კი და იგი „ოჯახის'',„გვარეულობის'' სინონიმი იყო. შემდგომში „ფამილია'' გახდა საფუძველი გვაროვნული დასახელებისა, რომელსაც ადამიანი დაბადებისას იღებდა.

ფამილისტიკის, როგორც მეცნიერების საგანს წარმოადგენს ოჯახი, როგორც ზოგადსაკაცობრიო მოვლენა. მისი კვლევა თავისი არსით კომპლექსურია, დაკავშირებულია ფიზიოლოგიურ პროცესებთან, ურთიერთობების ფსიქოლოგიურ დინამიკასთან, ტრადიციებთან, კულტურის ნორმებთან და ფასეულობებთან, ბაზრისა და წარმოების ეკონომიკურ პირობებთან და ისტორიულ ტრანსფორმაციებთან მთლიანად. ოჯახის მნიშვნელობა განპირობებულია მისი უნიკალური როლით ადამიანური მოდგმის აღწარმოებასა და საოჯახო წარმოებაში, საოჯახო ეკონომიკაში უმნიშვნელოვანესი როლით. ამერიკელი სოციოლოგი კარლ ციმერმანი თვლის, რომ ''საზოგადოებრივი ფორმაციები თვალნათლივ არის დამოკიდებული საოჯახო სისტემებზე, რომლებიც საზოგადოებას კარნახობენ მართვის და სოციალური კონტროლის ფორმებს''[3გვ. 19]. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ფ.ენგელსის აზრიც, რომ ისტორიაში განმსაზღვრელი მომენტია ერთის მხრივ შრომის ''განვითარების საფეხური'', მეორეს მხრივ კი ოჯახის ''განვითარების საფეხური''[4 გვ.4].

სწორედ ასეთი მნიშვნელობა ოჯახისა საფუძვლად უდევს ოჯახისა და ქორწინების ფამილისტიკური შესწავლის მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც ოჯახი გვევლინება ერთის მხრივ, როგორც სოციალური ინსტიტუტი, მეორეს მხრივ კი მცირე სოციალური ჯგუფი. სოციალური ინსტიტუტის ცნება გვიხსნის ოჯახის მნიშვნელობას სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან მიმართებაში, მისი მოდერნიზაციის, განვითარების, ცვლილებების

სოციალურ პროცესებთან კავშირსა და ფართო სოციალურ პერსპექტივებს. ხოლო ოჯახის არსი, როგორც მცირე სოციალური ჯგუფისა ფოკუსირებულია ოჯახის, როგორც ავტონომიური მთლიანობის წარმოქმნის, ფუნქციონირების დარღვევის კანონზომიერებებზე. ოჯახის, როგორც მცირე სოციალური ჯგუფის კვლევისას აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ნებისმიერი ქვეყნის მილიონობით ოჯახი იმყოფება საოჯახო სიცოცხლის ციკლის სახვადასხვა სტადიაზე, მათ აქვთ განსხვავებული სტრუქტურები და ცხოველმყოფელობის სპეციფიკა, ამავდროულად ცალკე აღებული ოჯახი თავის ქცევაში ავლენს დამოუკიდებელი სოციალური ერთეულის ნიშნებსაც და იმ ნიშნებსაც, რაც მის ბუნებასთან, როგორც სოციუმის შემადგენელთან არის დაკავშირებული. ოჯახი ხომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე სოციუმის არსებობის და ცხოველმყოფობის საბაზისო საფუძველს წარმოადგენს. მის განმასხვავებელ მახასიათებელს სოციალური სისტემების და მცირე სოციალური ჯგუფების სისტემაში წარმოადგენს ის, რომ იგისოციალურისა და ბიოლოგიურის ნაერთია. სწორედ ეს მდგომარეობა განსაზღვრავს ოჯახის და საზოგადოების ერთიანობასა და დაპირისიპირებულებაში დიალექტური მეთოდის გამოყენების აუცილებლობას. რადგანაც სოციალური ინსტიტუტები – ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული, დროსა და სივრცეში ცვალებადი ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებია. ისინი ხასიათდებიან თავისი საქმიანობის მიზნით, კონკრეტული ფუნქციებით, სოციალური პოზიციების დაროლების ნაკრებით, რაც ტიპიურია მოცემული ინსტიტუტისთვის; ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტის წარმოქმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოციალური მოთხოვნილება, ასე მაგ., ოჯახის ინსტიტუტი აკმაყოფილებს ადამიანური მოდგმის აღწარმოების და ბავშვთა აღზრდა – შენახვის, პირველადი სოციალიზაციის მოთხოვნილებებს, ახდენს სქესთა, თაობათა შორის ურთიერთობების რეალიზებას და ა.შ. სწორედ დიალექტიკის, როგორც ბუნებისა და საზოგადოების მარად მოძრავ და ცვალებად მოვლენათა შემეცნების მეცნიერული მეთოდის გამოყენება იძლევა იმ საშუალებას, თუ ისტორიის მსვლელობისას, როგორ ვითარდება

სოციალური მოვლენები, როგორ წარმოიქმნებიან სოციალური ინსტიტუტები, როგორ ვითარდება მათ შორის ურთიერთობები და რა გავლენას ახდენენ ისინი ერთმანეთზე.

ოჯახის ფუნქციის არსია ის, რომ მან როგორც მთლიანმა სოციალურმა სისტემამ განახორციელოს საზოგადოების მიზნები და ინტერესები. იგი მოქმედებს იმ დადგენილი ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ სტანდარტიზებულ სოციალურ ქმედებებს და რომლებიც კონტროლდება თვით ოჯახის, საზოგადოების და მისი ინსტიტუტების მეშვეობით. ყველა პროცესი, რომელიც ოჯახში მიმდინარეობს, აისახება საზოგადოების ყველა სფეროზე, რაც საოჯახო ფუნქციათა სოციალურობას განაპირობებს, როგორც სოციალური ინსტიტუტისა საზოგადოების სხვა ინსტიტუტებს შორის.

ფამილისტიკური მეთოდოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი გულისხმობს ფამილისტიკური პრობლემების მთელი წრის განხილვას მაკრო და მიკროდონეებზე,რაც გვიხსნის, თუ როგორ ხდება ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის ფუნქციის შეთანაწყობა, ოჯახის, როგორც მცირე სოციალურიჯგუფის ავტონომიურ მთლიანობასთან. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში, ანალიზის ამ ორი დონის სინქრონული გამოყენებით შეიძლება გარკვეულ იქნას ოჯახის ფენომენალური თვისება –დიქოტომია [6 გვ. 119] – მისი ორმაგი ბუნება – იყოს ერთდროულად მცირე სოციალური ჯგუფიც და სოციალური ინსტიტუტიც.

ოჯახის მიკროსოციოლოგიურ დონეზე შესწავლისას უნდა გვახსოვდეს, რომ საქმე გვაქვს არა ერთ ოჯახთან, არამედ ცალკეულ ოჯახთან, ანუ უნდა გამოვლენილ იქნას მილიონობით მაგალითის საფუძველზე ის საოჯახო მოვლენები, სტარტიდან ფინიშამდე, რომლებიც მეორდება შემთხვევათა მასაში. ოჯახის მიკროსოციოლოგიის ამოსავალი ხომ სწორედ ოჯახის სიცოცხლის ციკლის, ცალკეულ ოჯახთა ჩამოყალიბების, ფუნქციონირების და რღვევის შესწავლას ემსახურება.

ადამიანები ქორწინდებიან რა, შინაგანად ეწინააღმდეგებიან განქორწინებას. მაგრამ განქორწინებები მაინც ხდება. ოჯახები თავისი არსებობის მანძილზე ოჯახის სიცოცხლის სრული ციკლის სხვადასხვა სტადიებს გადიან. ზოგი ოჯახი ათწლეულების

განმავლობაში არსებობს და მისი გაქრობა მხოლოდ ოჯახის ყველა წევრის გარდაცვალებას უკავშირდება, სხვები კი თავის არსებობაში თვეებს, კვირებს და ხანდახან დღეებს და საათებსაც კი ითვლიან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ეს ცალკეულ ინდივიდთა ქცევის დახასიათებაა და არა ოჯახის.

ოჯახის მიკროსოციოლოგიური შესწავლის მიზანია ბიოგრაფიული მიდგომის და ოჯახის სიცოცხლის სრული ციკლის სტადიების ანალიზის მეშვეობით გამოავლინოს გადახრა ოჯახის იდეალური მოდელისგან, რომელშიც თანმიმდევრულად ხორციელდება საოჯახო ყოფის ყველა ფაზა. მხოლოდ ასეთი ანალიზის დროს შეიძლება გამოვკვეთოთ ყველაზე უფრო განმეორებადი და გავრცელებული კონფიგურაციები საოჯახო ისტორიათა მთელ სიმრავლეში.

შემდგომ საფეხურს კვლევისას წარმოადგენს სოციოლოგიური და სტატისტიკური მონაცემების შერწყმა, რაც საოჯახო ბედთა სხვადასხვაგვარობის გამოვლენის და ისეთი მოვლენების დადგომის ალბათობის განსაზღვრის საშუალებას იძლევა, როგორიცაა განქორწინება, უბედური შემთხვევა, იძულებით გაყრა და ა.შ. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვლინდეს საოჯახო დინამიკის მაგისტრალური მიმართულებებიდან გადახრები.

ცალკე აღებული ოჯახი სიცოცხლის ციკლის კონტექსტში მიკროობიექტის კვლევის ერთი მხარეა. მეორე არანაკლებ რთული და მნიშვნელოვანია ოჯახის ქცევის შესწავლა.ოჯახს სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევის სხვადასხვა სახე ახასიათებს. მაგრამ ოჯახის მიკროსოციოლოგიური კვლევისას მთავარი საოჯახო ქცევის სპეციფიკური სახეების – რეპროდუქციულის (შვილთაშობის) და სოციალიზაციური (ბავშვთა აღზრდის), საქორწინო ან მატრიმონიალური (ქორწინების, ცოლქმრობის ფუნქციონირების და ოჯახის რღვევის) ქცევებია. საოჯახო ქცევის კიდევ ერთი სახეობა, რომელიც მიკროსოციოლოგიური კვლევის თვალთახედვის არეში ხვდება არის თვითშენახვითი ქცევა. ეს ტერმინი შემოღებულ იქნა ა.ანტონოვის მიერ 1970-იანი წლების ბოლოდან და სოციოლოგიურ-დემოგრაფიულ გამოკვლევებში გამოიყენება როგორც პიროვნების ქცევა საკუთარი ჯანმრთელობის შენარჩუნებაზე და ღრმა სიბერემდე მიღწევის მცდელობის

აღმნიშვნელი. მართალია „თვითშენახვითი'' ქცევის ცნებაში არ იგულისხმება პიროვნების ზრუნვა ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობასა და სიცოცხლის შენარჩუნებაზე (რაც უფრო ალტრუისტული ქცევის ნაირსახეობაა), მაგრამ ოჯახის ზემოქმედებით შვილებს უყალიბდებათ გარკვეული ჩვევები თვითშენახვითი ქცევისა, რაც ოჯახის სოციალიზაციურ ქცევასთან გადაკვეთის აშკარა გამოვლინებაა.

ოჯახის მიკროსოციოლოგიური კვლევის მესამე და მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებების და ურთიერთობები ოჯახური ერთობის, სტაბილურობის და სიმყარის მისაღწევად. მისი იმ განსაკუთრებული თვისებების გამოვლენა, როგორიცაა ოჯახის წევრთა სოციალურ-ფსიქოლოგიური ერთობა, მთლიანობა, პირველადი პრივატული ინტერაქციები, რომელთა წყალობით ქორწინება და ოჯახი მიმზიდველი ხდება ეგოცენტრული ინდივიდებისათვის, რაც ოჯახის მყარ ფუნქციონირებას განაპირობებს და ოჯახი საზოგადოების მიმართ თავის ეგზისტენციალური ფუნქციებს განახორციელებს.

ოჯახის მიკროსოციოლოგიისაგან განსხვავებით, მაკროსოციოლოგია არ ისწრაფვის გაიგოს ცალკეული ოჯახის განვითარების კანონები და ისტორია. ამიტომ ოჯახის მაკროსოციოლოგიურ დონეზე კვლევისას უნდა გამოძებნილ იქნეს ის პრინციპები რომლებიც ოჯახთა მთელი მასის მოძრაობის და ცვლილებების არსს აგვიხსნის და ასახავს მათ ურთიერთქმედებას სოციალურ მაკროსტრუქტურებთან, სოციალურ ინსტიტუტებთან დროში.

მე-20 საუკუნის შუახანებში სოციოლოგებმა წარმატებით მოახდინეს ოჯახის, როგორც სისტემის ანალიზის ორი – მაკრო და მიკროდონეების ინტეგრაცია და ამ დონეს მეზოსოციოლოგია ან მეზოანალიზი უწოდეს. მეზოანალიზი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი საკითხების კვლევისას, როგორიცაა ოჯახის სამეურნეო ფუნქციები, სტრუქტურა, ცხოვრების დონე და სხვა ასპექტები.

ფამილისტიკის, როგორც მეცნიერების სპეციფიკას და მეთოდოლოგიურ მახასიათებელს ოჯახის ინსტიტუციური შესწავლისას წარმოადგენს ოჯახის შუამავლური როლის არსის

კვლევა. ანალიზის ცენტრში ამ დროს ექცევა ოჯახი, როგორც პიროვნების და საზოგადოების ურთიერთკავშირის შემანარჩუნებელი რგოლი.ოჯახის მიმართება საზოგადოებასთან და მის სოციალურ ინსტიტუტებთან, ასევე პიროვნებასთან ისტორიული კატეგორიაა. ოჯახი საზოგადოების და პიროვნების ჩვეულ დაპირისპირებაში მათი ინტერესების დამაახლოვებელი როლის მატარებელია. „ოჯახის ფუნდამენტალური მნიშვნელობა მდგომარეობს მისი როგორც შუამავლის როლში და ფუნქციაში. საზოგადოება ვერ იარსებებს თუ მისი ისეთი მოთხოვნილებები, როგორიცაა მატერიალური დოვლათის წარმოება და განაწილება, ბავშვების და მოხუცების, ავადმყოფების და ორსულების, მოზარდი თაობის სოციალიზაციის და ა.შ. მოთხოვნილებები არ იქნება დაკმაყოფილებული. საზოგადოება მხოლოდ იმ შემთხვევეაში გადარჩება, თუ ინდივიდების ქცევა მოტივირებული იქნება საზოგადოების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად'' [7 გვ. 18].ოჯახის შუამავლური როლის დაცემა ნიშნავს, რომარც პიროვნება და არც საზოგადოება არ ემსახურებიან ოჯახის, როგორც სოციოკულტურული მთლიანობის საჭიროებებს და ხდება ამ დანიშნულების განადგურება, სახეზეა ოჯახის შუამავლური ფუნქციის ინსტიტუციური კრიზისი.

სწორედ მაკროსოციოლოგიურმა მიდგომამ უნდა გასცეს პასუხი ფამილისტიკის წინაშე მდგარ ამოცანებს: როგორ ხდება ოჯახის და შვილების, თაობათა საოჯახო მემკვიდრეობითობის და საოჯახო კაპიტალის გადაცემის ფასეულობების შენარჩუნება ან რღვევა. გარკვეულ უნდა იქნეს, რომელი ფაქტორები ცვლიან საზოგადოების პრიორიტეტების და პიროვნების ფასეულობათა სისტემას, რამდენად ხანგრძლივია ამ ფაქტორების ზემოქმედება და რასთან არის ისინი დაკავშირებული, ადამიანთა ქმედებებთან, სოციალურ ინსტიტუტთა და სახელმწიფოს მხრიდან ოჯახში ჩარევასთან, თუ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან, როგორია გლობალურ სოციალურ ცვლილებათა და ლოკალურ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და სხვა სახის პროცესთა ზეგავლენა?

ფამილისტიკის, როგორც მეცნიერების მეთოდოლოგიაზე მსჯელობისას, გვერდს ვერ ავუვლით ოჯახის ინსტიტუტის ეფექტურობის კრიტერიუმების განხილვას.ფამილისტიკაში

გამოიყენება ოჯახის ინსტიტუტისეფექტურობის ფუნქციონური ინტერპრეტაცია. იგი ოჯახს განიხილავს როგორც საზოგადოების ავტონომიურ ქვესისტემას, რომელიც საგრძნობ ზეგავლენას ახდენს სხვა ინსტიტუტებზე, მ.შ. სახელმწიფოზე და ასევე ინდივიდებზე. ოჯახის ინსტიტუტი მიმზიდველი უნდა იყოს ოჯახის ყველა წევრისათვის; მისი ეფექტურობა გულისხმობს, რომ იგი უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების მიმართ (ბავშვთაშობა, მათი შენახვა-აღზრდა, სოციალიზაცია) და პიროვნების მიმართ (ინდივიდის მე-ს) სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ საბაზისო მოთხოვნილებათა შესრულებას.

ამერიკელი სოციოლოგი დ.პოპენოე თვლის, რომ „არსებობს ინსტიტუტის ძალის, სიმყარის სამი საკვანძო განზომილება: 1) ინსტიტუციური შეკავშირება, ან გავლენა, რომელსაც იგი თავის წევრებზე ახდენს; 2) საზოგადოებაში სხვა ინსტიტუტებზე გავლენა; 3) ძირეულფუნქციათა შესრულების ეფექტურობა. მეცნიერული მონაცემები მოწმობენ, რომ ოჯახი, როგორც ინსტიტუტი შესუსტდა ყველა მიმართულებით!.. ოჯახის დაკნინება შეიძლება ფუნქციურიც იყოს და სტრუქტურულიც. იყო რა ერთადერთი და პოლიფუნქციური ინსტიტუტი, ოჯახმა დაკარგა მისთვის დამახასიათებელი ფუნქციები ისეთი ინსტიტუტების მიმართ, როგორიცაა რელიგია, განათლება, სამუშაო, მთავრობა... ოჯახმა შეინარჩუნა მხოლოდ ორი ფუნქცია: ბავშვთაშობის და ოჯახის ყველა წევრის უზრუნველყოფის ზრუნვით და ურთიერთობით... ოჯახის სტრუქტურული დანაკარგები დიდ შეშფოთებას იწვევენ... ნუკლეარული ოჯახი ძალზედ იზოლირებული ხდება ნათესავებისაგან... კიდევ ერთი ცვლილება – ეს ოჯახის ავტორიტეტის შესუსტებაა... ოჯახის დაკნინება შეიძლება ექსტრაორდინალურად და საფრთხის შემცველად ჩაითვალოს'' [3 გვ. 63-65].

დ.პოპენოეს მოსაზრებასთან კავშირში საჭიროდ მივიჩნევთ ოჯახის მიერ ძირითად ფუნქციათა შეუსრულებლობის ხარისხის მიხედვით განვიხილოთ ისეთი ცნებები, როგორიცაა ოჯახის დეზორგანიზაცია, კრახი და კრიზისი.

დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონში ოჯახის კრიზისი განმარტებულია ოჯახის როგორც სოციალური ინსტიტუტის დეგრადაცია, რაც გამოიხატება ოჯახის მიერ

საზოგადოებისათვის აუცილებელი ისეთი ფუნქციების შემცირებაში, როგორიცაა მოსახლეობის აღწარმოება და ახალი თაობების აღზრდა [8გვ.222]. (დეგრადაცია – ფრანგ. degradation – თანდათან გაუარესება რაიმე თვისებისა; დაქვეითება, დაცემა) [6გვ.99]. იმ შემთხვევაში თუ ოჯახები შეწყვეტენ შვილთაშობას, ან გამოავლენენ შვილების შენახვის საერთოდ უუნარობას, რაც გამოიწვევს წესრიგის დამრღვევთა და დამნაშავეთარიცხოვნობის ზრდას, მაშინ საქმე ეხება ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის სრულ დეგრადაციას, ანუ კრახს, საზოგადოების ფამილისტიკურ მოწყობასთან კავშირის გაწყვეტას.

ოჯახის კრიზისის განხილვისას ყველაზე უფრო მარტივია რეპროდუქციული ფუნქციის შესრულების შეფასება. ამ შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს დემოგრაფიული კრიტერიუმი – გათხოვილი ქალის მიერ 2,15 შვილის გაჩენა ან 2,6 შვილისა ეფექტურ ქორწინებაზე – რაც საიმედო მაჩვენებელია ბავშვთა იმ რიცხვისა, რომელიც აუცილებელია დეპოპულაციის თავიდან ასაცილებლად. ბავშვების საშუალო რიცხვი 2,15 გულისხმობს ოჯახთა 2% არსებობას 5 და მეტი შვილით, ოჯახების 14% – 4 შვილით, 35% – 3 შვილით, 35% – 2 შვილით, 10%-ერთი შვილით და 4% უშვილო ოჯახებისა[3 გვ. 176]. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი უარს ამბობს ამ კრიტერიუმის მიზანშეწონილობაზე ოჯახის ოპტიმალური მოდელის შესანარჩუნებლად, რადგანაც ერთი საქმეა – მოსახლეობის აღწარმოების კრიტერიუმი, მეორე მის საფუძველზე ოჯახის რეპროდუქციული ფუნქციის ეფექტურობის შეფასება. ვთვლით, რომ ბორისოვის ინდექსი, რომელიც ბუნებრივი შობადობის ჰიპოთეზური მინიმუმის რეალიზაციის ფარდობითობის ხარისხის მაჩვენებელია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ქვეყნის ოჯახების (მათ შორის ეთნიკური ერთობებისათვის, ხალხებისათვის, ერებისათვის), რეპროდუქციული ფუნქციის შესრულების ხარისხის და დონის დასახასიათებლად.

რაც შეეხება სოციალიზაციის ფუნქციას, აქ უპირველეს ყოვლისა უნდა გაირკვეს სოციალიზაციის ხასიათის ზემოქმედება აღზრდის ხარისხზე. ოჯახის ოპტიმალურ მოდელში მოძებნილ უნდა იქნას ბავშვთა სოციალიზირებულობის ორი თვისების საუკეთესო შეთანაწყობა – როგორც საზოგადოების

თვალსაზრისის, ასევე მშობლების; ერთ-ერთ ობიექტურ კრიტერიუმად კი შეიძლება მიჩნეულ იქნას მოზარდების მიერ სამართალდარღვევათა და დევიაციურ ქმედებათა შემთხვევების მინიმიზაცია.

ოჯახის ინსტიტუტი არსებობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასრულებს საზოგადოებისთვის აუცილებელ სასიცოცხლო ფუნქციებს, არამედ იმიტომ რომ იგი მილიონობით ადამიანის ღრმა პირადულ მოთხოვნილებებს პასუხობს. საოჯახო სფეროში ადამიანები ისწრაფვიან იმისკენ, რაც მათ სურთ და არა იმისკენ, რაც საზოგადოებრივად სასარგებლოა ან რასაც რაიმე დიდი მასშტაბის უარყოფითი ხასიათის შედეგები არ მოსდევს. სწორედ ამიტომ არის რთული და მწვავე პრობლემა პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა ჰარმონიზაციის მიღწევა დემოგრაფიული აღწარმოების და სოციალიზაციის საკითხებში ურთიერთდაპირისპირებულობის და წინააღმდეგობების აღმოფხვრის ან შერბილების თვალსაზრისით. რადგანაც პირადი მოტივებისა და სურვილების შესუსტება შვილთაშობისა და ბავშვთა ოჯახში პირველადი სოციალიზაციის მიმართ თვალნათლივ გამოხატავს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტუტის კრიზისს, და ვფიქრობთ თვით საზოგადოების კრიზისსაც.

ამრიგად, ფასეულობითი კონფლიქტი პიროვნებას და საზოგადოებას შორის ბავშვთაშობასთან და სოციალიზაციასთან მიმართებაში, ოჯახის მიერ რეპროდუქციული და სოციალიზაციის ფუნქციების არაეფექტურად შესრულება, რასაც თან სდევს ოჯახის, როგორც ნათესავთა კავშირის, მეუღლეთა, მშობლებისა და შვილების კავშირებისშესუსტება, ცოლქმრობის – მშობლობის – ნათესაობის სამმაგი ერთიანობის შესუსტება საოჯახო წარმოებისა და მშობლებისა და შვილების ერთობლივი საქმიანობის გაქრობის გამო, ოჯახცენტრიზმის ეგოცენტრიზმით შეცვლა შეიძლება ოჯახის კრიზისად იწოდოს.

მეორეს მხრივ, ოჯახის მიერ ძირითად ფუნქციათა შეუსრულებლობა, გამოწვეული სტიქიური უბედურებებით, ეპიდემიებით, ომებით, ამ მოვლენებით გადავადებული შვილებზე მოთხოვნილებების რეალიზაცია, საქორწინო კავშირების რღვევა და ბავშვების დაობლება, ჩავარდნები საოჯახო სოციალიზაციაში,

არ ნიშნავს ოჯახის კრიზისს, თუ საქმე არ ეხებაშვილების, მშობლების, ოჯახის ფასეულობათა დევალვაციას. ამ შემთხვევაში საქმე ოჯახის დეზორგანიზაციას ეხება.

ამრიგად, ოჯახის ფამილისტიკური კვლევის თეორიული არეალი დაკავშირებულია პრობლემათა ფართო წესთან, რომლებიც მის ფუნქციებს განსაზღვრავენ: კერძოდ, როგორია ოჯახისა და საზოგადოების ურთიერთ და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან კავშირები და რა ხასიათისაა მათი ურთიერთზემოქმედება, რა ნიშნების მატარებელია ოჯახისა და პიროვნების ურთიერთკავშირი სოციალურ კონტექსტში და პირველადი, პიროვნებათშორისი ურთიერთობების დონეზე. ოჯახის, როგორც სისტემის ანალიზი მოითხოვს საზოგადოების, ასევე ინდივიდუალური, საოჯახო ქცევის დონეზე მიმდინარე მაკრო და მიკროპროცესების დიალექტიკურ შესწავლას, რაც საფუძვლად უნდა დაედოს ფამილისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციის – სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის დასაბუთებას და ღონისძიებათა შემუშავებას მისი რეალიზაციისათვის, რომელიც „... წარმოგვიდგება, როგორც მიკროდონეზე ოჯახის პრიორიტეტული ინტერესების ბევრად უფრო ადეკვატური გამოხატვის საშუალება და შეესაბამება ადამიანის დემოკრატიულ უფლებათა თანამედროვე გაგებას დემოგრაფიაში“ [9 გვ. 67].

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Демографический энциклопедический словарь. Главный редактор Д.И. Валентей. 1985 г.
2. Е.П.Агапов, О.А.Нор-Аревян. Семьеведение. Москва, 2010 г.
3. Социология семьи, под редакцией А. Антонова, Москва, 2012 г.
4. Энгельс Ф. Происхождение семьи, частной собственности и государства. В связи с исследованиями Л. Г. Моргана. Москва, 1970 г.
5. Попеное Д. Упадок американской семьи (1960-1999 гг.) Вестник МГУ, Серия 18,социология и политология, 1996 г. №3.
6. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგენელი მ.ჭაბაშვილი, თბ. 1964 წ.
7. Гуд У. Социология семьи/социология сегодня, Москва, 1965 г.

8. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, შემდგენელი გ.წულაძე, თბილისი,2006 წ.
9. სულაბერიძე ა. ფიქრები ქართულ ოჯახსა და დემოგრაფიაზე, თბილისი, 2007 წ.

Tsitsino Gvritishvili
Nino Gomelauri

Methodological issues of family science

Abstract

This article discusses regularity of formation of interdisciplinary science connected to family – family science, its essence, the research object and methodological issues: which means analyzing the family as an autonomous system, at the same time as a social institution and a small social group at macro and micro levels; the family as research of intermediary role between individual and the society; working out evaluation criteria of performing specific and non-specific functions by the family and the opportunity to strengthen in the society state family policy – as family lifestyle, family and children values based on family centrism.

From the standpoint of family science in historical context there is discussed formation of the family and changes of the specific and nonspecific functions going in it, the family as a place of social institution among other institutions, etc. There is given definitions of the family crisis, the disorganization and collapse.

ავტორები:

1. **ლეო ჩიქავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
2. **ავთანდილ სულაბერიძე** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
3. **ელგუჯა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
4. **მზია შელია** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისადა სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
5. **ვლადიმერ სულაბერიძე** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
6. **ვანო შუშტაკაშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ეკონომიკის დოქტორი, მკვლევარი
7. **ლელა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
8. **ნანა მენაბდიშვილი** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
9. **თამაზ ზუბიაშვილი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკისაკადემიური დოქტორი
10. **თამარ შინჯიაშვილი** – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შტატგარეშე მკვლევარი, ეკონომიკის დოქტორი
11. **ნინო გომელაური** – ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დემოგრაფიისადა სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი

12. **ციცინო გვრიტიშვილი –** ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი
13. **შორენა წიკლაური –** ილიას სახელმწიფო უნივესიტეტის დოქტორანტი, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი
14. **ნატალია ჭანტურია –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შტატგარეშე ასოცირებული მკვლევარი
15. **შორენა მეტრეველი –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Authors:

1. **Leo Chikava** – corresponding member of Georgian National Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor
2. **Avtandil Sulaberidze –** Director of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economic Sciences, Professor
3. **Elguja Menabdishvili –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economic Sciences
4. **Mzia Shelia –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
5. **Vladimer Sulaberidze –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
6. **Vano Shushtakashvili –** Deputy Director of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics, Researcher
7. **Lela Menabdishvili –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
8. **Nana Menabdishvili –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University, Doctor of Economics
9. **Tamaz Zubiashvili –** Associate Professor, Tbilisi State University, Academic Doctor of Economics

10. **Tamar Shinjiashvili –** Associate Professor, Sokhumi State University, Freelancer researcher of the Institute of Demography and Sociology, Doctor of Economics
11. **Nino Gomelauri – –** Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University
12. **Tsitsino Gvritishvili – Assistant-**Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University
13. **Shorena Tsiklauri –** Doctoral student of Ilia State University, Researcher of the Institute of Demography and Sociology
14. Natalia Chanturia – Associate Professor, Georgian Technical University, Freelancer Associate Researcher of the Institute of Demography and Sociology, Ilia State University
15. Shorena Metreveli – Associate Professor, Georgian Technical University